გურამ ძაგანია

ყველაფერი ოლიმპიურ თამაშებზე

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

ანტიკური ოლიმპიური თამაშები 4

თანამედროვე ოლიმპიური თამაშები 13

ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშები (ჩატარების რიგი, თარიღი, ქალაქები, მონაწილე ქვეყნების, სპორტსმენთა და სპორტის სახეების რაოდენობა) 18

კონტინენტები და ქვეყნები, სადაც ჩატარდა ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშები 20

ქვეყნები, რომლებმაც ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტი მედლები მოიპოვეს სპორტის სახეობების მიხედვით 26

მედლები ოლიმპიურ თამაშებზე 27

თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები 28

სპორტსმენები, რომლებმაც ყველაზე მეტჯერ იასპარეზეს ოლიმპიურ თამაშებზე 31

ყველაზე ტიტულოვანი ოლიმპიური ჩემპიონები 35

სპორტსმენები, რომლებმაც იასპარეზეს როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე და ოლიმპიური მედლები მოიპოვეს 44

სპორტის სახეობები, რომლებშიც ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტი მედლები თამაშდება. 50

ოლიმპიური თამაშების ყველაზე აზალგაზრდა მონაწილეები და ჩემპიონები 52

ოლიმპიური თამაშების ყველაზე ხანდაზმული მონაწილეები და ჩემპიონები 61

რეკორდსმენი გულშემატკივარი 64

სახელგანთქმული ოლიმპიური ჩემპიონების სამსახიობო კარიერა 65

სამეფო ოჯახის წევრები ოლიმპიურ თამაშებზე 67

პირველად ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში 75

ოლიმპიური თამაშების პირველი მრავალგზის ჩემპიონები: 78

პირველები, ვინც ყველაზე მეტი ოქროს მედალი მოიპოვეს ერთ ოლიმპიურ თამაშებზე 81

ყველაზე ხანდაზმული ოლიმპიური რეკორდები 82

ქვეყნები, რომლებსაც ოლიმპიურ თამაშებზე 1896 წლიდან 2016 წლის ჩათვლით ყველაზე მეტი მედლები აქვთ მოპოვებული 87

რამდენს უხდიან ოლიმპიადაში გამარჯვებულებს და პრიზიორებს? 88

სხვა ამბები ოლიმპიურ თამაშებზე 91

პირველი ოლიმპიელი ქალი სპორტსმენები 98

პარაოლიმპიური თამაშები 99

პროფესიონალები ოლიმპიადაზე 100
მედლის დიზაინის შეცვლა 101
ოჯახური წყვილები ოლიმპიური პრიზიორები და ჩემპიონები 102
ტყუპები ოლიმპიურ თამაშებზე 108
დოპინგი და მასთან დაკავშირებული სკანდალები 115
ყველაფერი ქართველი ოლიმპიელების შესახებ 122
ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ყველა მედალი 134
ოლიმპიური ჩემპიონები საქართველოდან 149
ოლიმპიური თამაშების ემბლემები 186
ზამთრის ოლიმპიური თამაშების ემბლემები 187
ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ემბლემები 191

წინასიტყვაობა

ოლიმპიური თამაშები ერთ-ერთი უპირველესი და გამორჩეული მოვლენა იყო ძველ საბერძნეთში და დღეისათვის მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორია იწყება 1896 წლიდან, როდესაც ათენში ჩატარდა პირველი ოლიმპიური თამაშები. მას შემდეგ 124 წელი გავიდა. დღეისათვის ოლიმპიური თამაშები ჩვენი პლანეტის ყველაზე მასშტაბური და მთავარი სპორტული დღესასწაულია. ოლიმპიური თამაშების წყალობით ასეულობით სპორტ-სმენი იქცა სახელგანთქმულ და აღიარებულ ადამიანად. ამ ხნის მანძილზე ათასობით სპორტსმენმა მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონისა და პრიზიორის ტიტული. მაგრამ ოლიმპიური თამაშების ისტორიაში არიან ისეთი ლეგენდარული პიროვნებები, რომ-ლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ოლიმპიური მოძრაობის განვითარების საქმეში და ოქროს ასოებით ჩაწერეს თავიანთი გვარები ოლიმპიური სპორტის ისტორიში.

წიგნში საუბარი გვექნება ანტიკურ და თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებზე, ყველაზე ტიტულოვან ოლიმპიურ ჩემპიონებზე, ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენებზე და ქვეყნებზე სადაც ჩატარდა ოლიმპიური თამაშები,

სპორტსმენებზე, რომლებმაც ყველაზე მეტჯერ იასპარეზეს ოლიმპიურ თამაშებზე, ოლიმპიური თამაშების ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ხანდაზმულ მონაწილეებსა და ჩემპიონებზე, სამეფო ოჯახის იმ წევრებზე, რომლებმაც იასპარეზეს ოლიმპიურ თამაშებზე, ოლიმპიადაში მონაწილე ოჯახურ წყვილებზე, ტყუპებზე და სხვა მრავალ საინტერესო შემთხვევებზე და კურიოზებზე.

ვაცნობიერბ, რომ წიგნი ვერ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან და, აქედან გამომდინარე, ველოდები შენიშვნებს და რჩევებს, რომელსაც აუცილებლად გავით-ვალისწინებ მომავალ მუშაობაში.

გთხოვთ შენიშვნები და რჩევები გამოაგზავნოთ მისამართზე www

jemal.dzagania@gmail.com

ანტიკური ოლიმპიური თამაშები

ოლიმპიური თამაშები – უძველესი და ყველაზე პოპულარული სპორტული შეჯიბრებაა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ძველ საბერძნეთში.

პირველი ოლიმპიური თამაშები ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წელს ჩატარდა. ძველბერძნული ოლიმპიური თამაშები 1170 წლის განმავლობაში უწყვეტად ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა და ამ მხნის მანძილზე 293-ჯერ ჩატარდა.

ოლიმპიური თამაშების ჩასახვის თაობაზე ბერძნულმა ტრადიციამ მრავალი წერილობითი წყაროები შემოინახა, თითქმის სამიათასწლოვანი ასპარეზობის დასაბამი მითებისა და ლეგენდების პოეტურ სამყაროში იკარგება, რომლებსაც ზევსის, ჰერაკლეს, პელოპსის, იფიტესა და ლიკურგეს სახელებს უკავშირებენ,

ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვითბ უსასრულოდ ძლიერი და სასტიკი იყო ღმერთების პირველი მბრძანებელი – კრონოსი, დედამიწის ქალღმერთმა გეამ კრონოსს უწინასწარმეტყველა, რომ საკუთარი შვილი დაგამხობსო: ამიტომ კრონოსი ახალშობილ ჩვილებს ყლაპავდა, რომ თავისი ბატონობა უზრუნველეყო.

ასე შთანთქა ყველანი: ზევსის გარდაბ რომელიც რეამ ცბიერებით გადაარჩინა. დავაჟკაცებისთანავე ზევსმა ომი გამოუცხადა თავის საშინელ მამას და დაამარცხა იგი, ამ გამარჯვების აღსანიშნავად დაარსა ოლიმპიური თამაშები.

მეორე ლეგენდა ოლიმპიური თამაშების ჩასახვას თავის უპირველეს ეროვნულ გმირს – ერაკლეს სახელს უკავშირებს, ელიდის მეფე-ავგეამ, რომელსაც ურიცხვი საქონლის ჯოგი ჰყავდა, ერაკლეს შესთავაზა გაეწმინდა საქონლის ნაკელისაგან უზარმაზარი ბოსელიბ რომელიც ოცდაათი წელი არავის გახსენებია. ერაკლე დათანხმდა ავგეას წინადადებას და პირობა დადო, რომ ერთ დღეში მოათავებდა ამ საქმეს, სამაგიეროდ ის ჯოგის მეათედს ითხოვდა, ავგეამ თანხმობა განაცხადა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ერთ დღეში ამ დავალების შესრულება შეულებელი იყო, მეფის ამ უზარმაზარ ბოსელს ორი მხრიდან ჩაუდიოდა მდინარეები – აფეოსი და პენეოსი, ჰერაკლემ ბოსელის კედლები მოპირდაპირე მხარეებში გაარღვია: მდინარეებს კალაპოტი უცვალაბ წყალი მიუშვა ნაკელს და ერთ

დღეში გაწმინდა ბოსელიყ ავგეამ პირობა დაარღვია ჰერაკლეს უარი უთხრა საქონლის მეათედზე. რამოდენიმე წლის შემდეგ ჰერაკლემ შური იყია მეფე ავგეაზეყ მან ჯარი შეაგროვაბ ააოხრა ქალაქი და მუხანათი მეფე ისრით განგმირაყ ოლიმპოს ღმერთების პატივსაცემად დააარსა ოლიმპიური თამაშები.

იმ დროისათვის შეჯიბრება იმართებოდა მხოლოდ ერთ სახეობაში - სირბილში ერთ სტადიაზე, ჰერაკლემ დისტანცია თავად გადაზომა და იგი ,%% ტერფსბ ანუ დღევანდელ №?,, მეტრსა და ,,. სმ უდრიდა, მრავალი წლის მანძილზე ათლეტები მხოლოდ ამ სახეობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

შემდგომში, როდესაც ასპარეზობას სხვა ვარჯიშებიც დაემატა, მასში თვით ჰერაკლემაც მიიღო მონაწილეობა და ორ სახეობაში – ჭიდაობასა და პანკრატიონში (ჭიდაობისა და კრივის ნაერთი) გაიმარჯვა, მომდევნო წლებში ამ სახეობაში გამარჯვებულებს – „ჰერაკლეში“ გამარჯვებულებს უწოდებდნენ და მას სახელად მეორე ჰერაკლეს არქმევდნენ.

შემდგომი ლეგენდა მოგვითხრობს ზევსის შვილიშვილის პელოპსის გამარჯვებაზე ქალაქ პისის მეფე – ენომაოსზე. პელოპსი, სახელგანთქმული ლიდიელი გმირი, სულ მცირე ხანს მეფობდა თავის ქალაქში, ტროას ძლიერმა მეფე ილოსმა ომი გამოუცხადაბ სძლია და განდევნა იგიყ პელოპსმა მცირე აზია მიატოვა და დასახლდა შორეულ ნახევარკუნძულზე. ერთხელ ელიდაში თვალი მოჰკრა პისის მეფის ენომაოსის ასულს – მივენიერ ჰიპოდამიას და განიზრახა მისი ცოლად შერთვა.

ეს არ იყო იოლი საქმე, ომის ღმერთის არესისა და მდინარის ღმერთის - ასოპოსის ასულის შვილი – მრისხანე ენომაოსი თავის ასულს მიათხოვებდა მხოლოდ მას ვინც ეტლის რბოლაში დაამარცხებდაყ მეფეს მამის ნახუქარი მერნები ჰყავდაბ ქარის უსწრაფესად დაჰქროდა მისი ეტლიბ სასიძოებს დაეწეოდაბ ზურგში შუბს სცემდა და სიცოცხლეს ასალმებდაყ მოასპარეზეს ეტლით უნდა გაევლო გრძელი გზა პისიდან ისთმოს პოსეიდონის საკურთხევლამდე, მაგრამ ბევრ ვაჟკაცს არ ეწერა ისთმომდე მისვლაყ ენომაოსი არავის ინდობდა, რადგან მისანს ნათქვამი ჰქონდა, რომ სიძის ხელით დაიღუპებიო. პელოპსის საქმე რთულად იყობ რამეთუ უკვე თორმეტი სასიძო განეგმირა პისის მბრძანებელსყ პელოპსმა იცოდა, რომ ვერაფერი იხსნიდა თუ არა მზაკვრობაყ ამიტომ წინასწარ ენომაოსის მეეტლე – მირტილე მოისყიდა, რომელსაც მდიდრული საჩუქრები და სამეფოს ნაწილი აღუთქვაყ იმანაც ენომაოსის ეტლის ბორბლებს რკინის მანების ნაცვლად ცვილის გაუკეთა, რითაც უზრუნველყო პელოპსის გამარჯვება, პელოპსმა შეირთო მისი ასული ჰიპოდამია და ხელთ იგდო ელიდის ტახტი. ღმერთების საპატივსაცემოდ და მადლობის ნიშნად პელოპსმა ოლიმპიაში ტაძარი ააგო და დააფუძნა თამაშები.

- კიდევ ერთი ლეგენდა გვაუწყებსბ თუ როგორ გადაიქცა თამაშები საერთო ბერძნულ დღესასწაულადყ დელფიურმა მისანმა იწინასწარმეტყველა, რომ ელიდის მეფე – იფიტე და სპარტას მბრძანებელი – ლიკურგე შეთანხმდებოდნენბ რომ თამაშებში ყველა ბერძნული ქალაქების ათლეტები მიიღებდნენ მონაწილეობასყ მოლაპარაკების თანახმად თამაშების ჩატარების დროს უნდა დამყარდეს საყოველთაო მშვიდობაბ შეწყდეს ყოველგვარი საომარი მოქმედებები.
- **ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონი** გახდა პროფესიით მზარეული ათენიდან - **კოროიბოსი.**



ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების **12 გზის ჩემპიონი გახდა როდოსის** მკვიდრი – **ლეონიდე.** მან ეს ჯილდოები ოთხ ოლიმპიადაზე მოიგო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 164-152 წლებში.

- მეთოთხმეტე ოლიმპიურ თამაშებზე (9„§წელი ჩვ.წ.-აღრიცხვამდე0 პროგრამაში შეაქვთ რბენა ორ სტადიაზე.
- მე-№: თამაშებიდან მოყოლებული კი შეჯიბ-რებები უფრო გრძელ დისტანციაზე: ჯერ 6, შემდეგ №%ბ№„, და №§ სტადიებზე იმართება;
- ჩვენს წელთაღრიცხვამდე .%; წლის ოლიმპი-ური თამშების პროგრამაში ჩნდება პენტატლონი – რომელშიც სიგრძეზე ხტომა, სირბილი, ბადრო, შუბი და ჭიდაობა შედიოდა;
- „;; წლის თამაშების პროგრამაში შეტანილ იქნა შეჯიბრება კრივში;
- „;% წლიდან ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედის შეჯიბრებები ეტლების რბოლაში, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა.

- ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-. საუკუნის შუა პერიოდიდან 9,§;წყ0 ოლიმპიური თამაიშების პროგრამაში შეაქვთ – პანკრატიონი (ჭიდაობისა და კრივის ნაერთი);



პანკრატიონი

- ,“„ წლის ოლიმპიურ თამაშებზე უკვე ახალგაზრდებიც ღებულობენ მონაწილეობას, რადგან აქამდე ასპარეზობაზე მხოლოდ №; წელს მიღწეული სრულუფლებიანი მოქალაქეები დაიშვებოდნენ, თანაც ისეთები, რომლებსაც სისხლი არ ემართათ და წინასწარ გავლილი ჰქონდას ერთთვიანი წვრთნა ოლიმპიაში. მონაწილეთა უსაფრთხოება მგზავრობისა და თამაშის მიმდინარეობისას კანონით იყო დაცული;

- 520 წლის მე-6 თამაშებიდან პროგრამაში შეაქვთ რბენა საჭურველით (იარაღით);



- “?, წლიდანბ 9?,-ე თამაშებიდან ოლიმპიადის პროგრამაში შეაქვთ მესაყვირეთა და მაცნეთა რბენა, ამის შემდეგ ოლიმპიური თამაშების პროგრამისათვის სხვა სპორ-ტის სახის დამატების შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვებაყ
- ძველბერძნული ცივილიზაციის გასაოცარ მონაპოვართა შორისბ რომლებიც დაკავშირებული იყო ოლიმპიურ თამაშებთანბ უნდა აღინიშნოს ტრადიცია იმის შესახებ, რომლის თანახმადაც ქალაქ-სახელმწიფოებს ეკრძალებოდათ საომარი მოქმედებების წარმოება ოლიმპიური თამაშების ჩატარების პერიოდში. სავარა-უდოდ ელადაში საყოველთაო ზავი ანუ – ეკეხერია სამ თვემდე გრძელდებოდაყ ეს დრო საჭირო იყო ატლეტების მოსამზადებლად, თამაშებში მონაწილეობის მისაღებად და მგზავრობაზე ოლიმპიადაზე და უკან. ამ ტრადიციას ბერძნები მკაცრად იცავდნენ – მაშინაც კი როდესაც ქალაქ-სახელმწიფოებს უმძიმესი ჟამი ედგათ.

ოლიმპიადებში გამარჯვებულებს – ოლიმ-პიონიკებს, ჯილდოდ პალმის რტო და ზეთისხი-ლის გვირგვინი ეძლეოდათყ რტო ოქროს დანით უნდა მოეჭრა ბავშვს, რომელსაც მშობლები ცოცხალი ჰყავდაყ გამარჯვებულებს ასევე დამა-ტებით ეძლეოდა საჩუქრები და ძლევის სიმბო-ლო – პალმის რტოყ წმინდა ჭალაში მათი ძეგლი იდგმებოდა, უმართავდნენ ნადიმს, ოდებში ადი-დებდნენ ისეთი უპირველესი პოეტები, როგორებიც იყვნენ პინდარე და სიმონიდეყ მშობლიური მხარე მათ ცალკე უწყობდა ზეიმსყ გენიალური პინდარეს თითქმის

მთელი შემოქმედება გმირთა დიდებაა, ოლიმპიურ და სხვა ასპარეზობათა მონაწილეების და გამარჯვებულთა ხოტბაა.

- ძველბერძნულ ოლიმპიურ ასპარეზობებზე ჩამოდიოდნენ შორეული კოლონიებიდან, მცირე აზიიდან და სხვა ქვეყნებიდანყ ეწყობოდა სახელმწიფოთა ელჩების საზეიმო მიღებაყ იმართებოდა პაექრობა მუსიკაში, ლექსების კითხვაში, მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-ბაზრობები.
- ჩვენ წელთაღრიცხვამდე §§§ წელს, ;§-ე თამაშებიდან მოყოლებული, ოლიმპიური თამაშების ნაწილად იქცა კონკურსები ხელოვნებაში. ბერძნები დიდად არ მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან ხელოვნებაში თუ სპორტში დაოსტატება-დახელოვნებასყ ოლიმპიაში თალესის, ჰერაკლიდეს, პლატონის, სოკრატეს და დიოგენეს ფილოსოფიური აზრები და სიბრძნე ჟღერდა, იკითხებოდა სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიები, პინდარეს ოდებიყ ;§-ე თამაშებზე წაიკითხა ჰეროდოტემ თავისი ,ისტორიის ნაწილებიბ რისთვისაც ოლიმპიადის ჩემპიონის დაფნის გვირგვინი მიიღო. აღსანიშნავია ისიც, რომ ისტორიკოსი პლუტარქე პანკრატიონში იყო ოლიმპიური ჩემპიონი.



პლუტარქე



ჰეროდოტე

- სახელოვანმა მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა პითაგორამ ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა ჭიდაობაში.
- პითაგორა გამორჩეული მწვრთნელი – დამრიგებელიც ყოფილა, როგორც გამოჩენილი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი გვამცნობს, პითაგორას აღზრდილი იყო სახელოვანი კროტონელი ფალავანი, ნახევრად ლეგენდარული მოჭიდავე – მილონი, რომელმაც 7-ჯერ მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის წოდება ჭიდაობაში.

- მილონის სახელი უკვდავყოფილია არა მარტო ოლიმპიური თამაშების ლეგენ-დებსა და მითებში არამედ ხელოვნებაშიც. საფრანგეთის ორმა გამოჩენილმა სკულპტორმა პიერ პიუჟემ და მორის ფალკონემ შთამომავლობას კროტონელ მილონზე დაუტოვეს შესანიშნავი ქმნილებები მარმარილოში.

პითაგორა

პლატონი

- პლატონი, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კლასიკური ხანის ბერძენი ფილოსო-ფოსი იყო, ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი პანკრატიონში.
- ჩვენ წელთაღრიცხვამდე „„; წლიდან ოლიმპიურ თამაშებში ბერძნებთან ერთად ასპარეზობენ რომაელებიც. მას შემდეგ რაც რომაელმა დამპყრობლებმა ბოლო მოუღეს ბერძნების დამოუკიდებლობას, რომის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ ძველბერძნული ოლიმპიადები გადაექციათ იმპერიულ თამაშებადყ
- ჩვენ წელთაღრიცხვამდე ;% წელს რომის დიქტატორმა ლუციუს კორნელიუს სულამ, რომელიც ცნობილი იყო თავისი სისასტიკით (სულას დიქტატორობის პერიოდში მოხდა სპარტაკის აჯანყების განადგურება, ბრძანა, რომ რიგით №.:-ე ოლიმპიური თამაშები გადმოეტანათ რომში, მაგრამ ამ იდეას მხარდაჭერები არ გამოუჩნდნენ და თამაშები კვლავ ძველ ადგილას – ოლიმპიაში გაიმართა.
- ჩვენ წელთაღრიცხვის „ წელს „№№-ე ოლიმპიადის მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობას იღებდა რომის იმპერატორი ნერონი. იგი თავის წინამორბედე-ბისაგან აშკარად გამოირჩეოდა ხასიათის თავგასულობით და ავადმყოფური პატივმოყვარეობით. ნერონი თავის თავს უდიდეს მსახიობად და მომღერლად თვლიდა, სწორედ ამ მიმართულებით იქნა „სრულყოფილი“ ოლიმპიადის პროგ-

რამა, თამაშების შედეგები განსაცვიფრებელი იყო, ყველა ასპარეზობაში გამარ-ჯვებულად ნერონი გამოცხადდა. საინტერესო იყო მისი გამოსვლა ეტლებით რბოლაში, ის შეჯიბრების ერთადერთი მონაწილე იყო, ნერონი რბოლის დროს ეტლიდან გადმოვარდა და დისტანცია ვერც კი დაამთავრა, ის მაინც გამარ-ჯვებულად გამოაცხადეს და გვირგვინით შეამკეს.

უნდა აღინიშნოს ერთი ოჯახური დინასტიის შესახებაც, ვინმე დიაგორემ კუნძულ როდოსიდან, მისმა შვილებმა და შემდეგ შვილიშვილებმა, თითქმის ოთხმოცი წელი იასპარეზეს ოლიმპიადებზე და ოც თამაშებში მიიღეს მონაწილეობა. როდესაც დიაგორეს შვილები დამაგეტი და აკუსილაი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ, მათ ხელში აყვანილი მამა არენაზე გამოიყვანეს, სპარტის მეფის წარმომადგენელმა წარმოსთქვა სიტყვები: „ეხლა მოკვდი დიაგორ, რადგან დედამიწაზე უფრო მეტს ვეღარ მიაღწევ, ოლიმპზე კი ღმერთები არ შეგიშვებენ. შენ შეგიძლია მშვიდად მოკვდე“.

- საერთო ჯამში ამ დინასტიის წარმომადგენლებმა თავიანთ მზიურ კუნძულს ცხრა უმაღლესი ჯილდო მოუპოვეს.
- ცნობილია, რომ ადრე ათლეტები ოლიმპიურ თამაშებზე სრულიად შიშვლები გამოდიოდნენ. ტიტველი სხეულის დემონსტრირება სულაც არ იყო სამარცხვინო, მხოლოდ ის იყო მნიშვნელოვანი, რომ ოლიმპიადას არავითარ შემთხვევაში ქალი არ უნდა დასწრებოდა და შესაბამისად არც ამ სანახაობის მონაწილე ყოფილიყო. თუ ასეთი რამ გამოვლინდებოდა, სუსტი სქესის წარმომადგენელს სიკვდილით სჯიდნენ.
- ოლიმპიონიკების უდიდეს პატივისცემაზე მოგვითხრობს ერთი ლეგენდა, ერთ-ერთ ოლიმპიურ თამაშებზე ბერძენმა ქალმა - კალიფატერიამ მოისურვა საკუთარი თვალით ენახა შვილის ფინალური ორთაბრძოლა კრივშიყ მან კაცურად შეიჭრა თმები, მოიცვა მწვრთნელის მანტია და შეიპარა სტადიონზე -ძველ ოლიმპურ თამაშებზე კატეგორიულად აკრძალული იყო ქალების დასწრება მაყურებლადაც კიყ როდესაც ორთაბრძოლა დასრულდა და მისი ვაჟი გამარჯვებულად გამოაცხა-დეს, ქალი გაექანა შვილისაკენ მისალოცად, მაგრამ მოულოდნელად მას მანტია ჩამოძვრა და გამოააშკარავა თავისი ვინაობა.
- წესით ქალი სიკვდილით უნდა დაესაჯათ, მაგრამ მამაკაცის ტანისამოსით შენიღბული ქალი, ოლიმპიური ჩემპიონის და, დედა და ცოლი აღმოჩნდა. ხელისუფლება გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ მეტად უჩვეულო შემთხვევის გათვალისწინებით გამონაკლისი დაუშვეს და ქალი სიკვდილით არ

დასაჯეს. სანაცვლოდ ახალი წესი დაადგინეს, იმისათვის რომ შეცდომა აღარ გაპარულიყო, თამაშებზე დამსწრე საზოგადოებაც, მონაწილეების მსგავსად შიშველი უნდა ყოფილიყო.

- მაგრამ ეტყობა ყველა უდიდეს წამოწყებას აქვს დასასრული და ეს ოლიმპიურ თამაშებსაც შეეხო. რომის იმპერატორის გრაციანეს გარდაცვალების შემდეგ, მის ადგილს წარმოშობით ესპანელი – თეოდოსიუს პირველი იკავებს, რომელიც რომის იმპერიის ერთპიროვნული მბრძანებელი ხდება. მან საბოლოოდ განამტკიცა ორთოდოქსული ქრისტიანობის ბატონობა, დაანგრია ტაძრები, დაწვა ალექსანდრიის ბიბლიოთეკა და ჩვენ წელთაღრიცხვის "?§ წელს აკრძალა ოლიმპიური თამაშები, როგორც წარმართული დღესასწაული. ოლიმპიას სხვა მრავალი უბედურებაც დაატყდა თავს. "?: წელს მდინარე ალფეოსის ნაპირზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეებენ ერთმანეთს ბიზანტიელები და გოთები, რის შედეგადაც დაინგრა ოლიმპიის სპორტული ნაგებობები და სხვა ობიექტები.

§,,, წელს იმპერატორ თეოდოსიუს მეორეს ბრძანებით საბოლოოდ იქნა განადგურებული წარმართულ ტაძართა ნანგრევები, მათ შორის ზევსის ტაძრის ნარჩენები, ფიდიასის უკვდავი ქმნილება – ზევსის ქანდაკება კი, რომელიც სამყაროს ერთ-ერთ საოცრებადაა მიჩნეული, კონსტანტინეპოლში იქნა გადატანილი. ოლიმპიის საბოლოო განადგურებას წერტილი დაუსვა დამანგრეველმა მიწისძვრამ და უდიდესმა წყალდიდობამ.

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველბერძნული ოლიმპიადები სულ ,,?"-ჯერ ჩატარდაყ იგი №№70 წლის განმავლობაში შეუწყვეტლივ იმართებოდა, ალბათ მსოფლიოში არ მოიძებნება ანალოგი კაცობრიობის მიერ ჩაფიქრებულ რომელიმე სხვა საქმეს ასეთი ხანგრძლივი და დიდებული ისტორია რომ ჰქონდეს.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშები

ვაანალიზებთ რა თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად გადაიქცა.

ოლიმპიზმის იდეების განვითარებამ, მისმა მნიშვნელობამ და როლმა ისეთ მწვერვალებს მიაღწია, რომ იგი ამა თუ იმ ქვეყნის საერთო კულტურული დონის განმსაზღვრელად მიიჩნევა.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემ-დებლად სამართლიანად მიიჩნევენ თვალსაჩინო ფრანგ განმანათლებელს, საზოგადო მოღვაწეს, ისტორიკოსს, ლიტერატორს და სოციოლოგს ბარონ პიერ დე კუბერტენს. მისმა დაუღალავმა შრომამ და მიზანმიმართულმა მოღვაწეობამ არა მარტო განაპირობა ოლიმპიური თამაშების აღორძინება, იგი მსოფლიო თანამეგობრობის საზოგადოებრივი ცხოვრების წესად აქცია.

თუმცა, სპორტის ისტორიაში ცნობილია, რომ პიერ დე კუბერტენამდე კარგა ხნის ადრე, ოლიმპიური თამაშების საზოგადოებრივ აზროვ-ნებაში დამკვიდრებას ცდილობდნენ შუა საუ-კუნეების გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები.

ერთ-ერთი პირველთაგანია აღორძინების ხანის ცნობილი იტალიელი ჰუმანისტი და სახელმწიფო მოღვაწე მატეო პალმიერი, რომელმაც 1450 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში საზოგადოებრიობას შეახსენა ანტიკური ოლიმპიური თამაშების შესახებ და მოუწოდა მისი აღდგენის აუცილებლობისაკენ.

ძველბერძნულ ოლიმპიადებზე და მის მნიშვნელობაზე მოგვითხრობს ფრანგი სწავლული პეტრეს ფაბერი თავის „აგონისტიკაში“, რომელიც პარიზში გამოდის 1592 წელს.

ოლიმპიზმის იდეების მომხრეთა რიცხვს განეკუთვნება ინგლისელი სამეფო პროკურორი რობერტ დოვერი, რომელმაც მე-17 საუკუნის დასაწყისში, ინგლისის მეფის იაკობ პირველის მხარდაჭერით წმინდა სამების დღეებში თავის მამულში მოაწყო „ოლიმპიური თამაშები“. მის პროგრამაში შედიოდა ჭიდაობა, ფარიკაობა, ბალახის ჰოკეი, შეჯიბრებები ხტომაში, მეტალის ურის და შუბის ტყორცნაში. აღნიშნული თამაშები აღწერილია მ. დრაიტონისა და ბ. ჯონსონის პოემებში (1636 წ.), რომლებშიც ძალოსანი დოვერი გვევლინება როგორც მეორე ჰერაკლე.

ოლიმპიზმის იდეებს ქადაგებდნენ ცნობილი დრამატურგი ფრიდრიხ შილერი და ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი, კომპოზიტორი და განმანათლებელი ჟან ჟაკ რუსო.

მე-17 საუკუნეში ინგლისში ხშირად ჩატარებულ სპორტულ ფესტივალებზე, რომლებსაც „ოლიმპიურ თამაშებს“ ეძახდნენ, იუწყება რობინსი პუბლიკაციაში „ოლიმპიელები ინგლისში“ (1908 წ.). მომდევნო პერიოდში მოვლენები უფრო სწრაფად ვითარდება და უფრო კონკრეტულ სახეს იღებს.

ძველბერძნული ოლიმპიური სპორტის პირველ მკვლევარად მიიჩნევენ ინგლისელ ჯილბერტ ბესტს (1700-1756), რომელმაც თავისი სადოქტორი დისერტაცია მიუძღვნა ოლიმპიური თამაშების ისტორიას. მან საკმაოდ საფუძვლიანად და ყოველმხრივ გააშუქა ოლიმპიზმის იდეები და მოუწოდა ოლიმპიადების აღდგენისაკენ.

ოლიმპიური თამაშების აღორძინების მცდელობა რამოდენიმეჯერ იყო სამხრეთ ამერიკის კონტინენტზეც. 1779 წელს ამერიკელმა კონგრესმენმა დრაიტონმა წამოაყენა წინადადება დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ჩაეტარებინათ სპორტული ზეიმი, ისეთი როგორსაც ატარებდნენ ძველ საბერძნესში. მაგრამ დრაიტონს გამოუჩდნენ მოწინააღმდეგეებიც. კონგრესმენი ლოურენსი ასეთი თამაშების ჩატარების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მისი აზრით ოლიმპიურმა თამაშებმა და სხვა სისულელეებმა განაპირობეს ბერძნების დაცემა.

საკმაოდ შთამბეჭდავი კვალი დატოვა სპორტის ისტორიაში ამერიკელმა დოქტორმა უილიამ ბრუკსმა, რომლის უშუალო ხელმძვანელობით ჩატარდა „ოლიმპიური

სამაიები“ დაბა ვენლოკში. აღსანიშნავია, რომ ხუთჭიდში გამარჯვებული დაჯილ-დოვდა სპეციალური პრიზით-ვერცხლის სასალათით, რომელიც ამ მიზნისათვის საბერძნეთის მეფემ პირადად გაუგზავნა ორგანიზატორებს.

ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეა არაერთხელ წამოიჭრა მე-19 საუკუნეში. რიგ ქვეყნებში (კანადა, შვეცია და სხვა) იყო მცდელობა ჩაეტარებინათ სპორტული შეჯიბრებები „ოლიმპიური თამაშების“ სახელწოდებით. 1834 და 1836 წლებში შვეციის ქალაქ რამლესში ორჯერ ჩატარდა სკანდინავიური „ოლიმპიური თამაშები“ ამ ასპარეზობის პროგრამაში იყო რბენები მოკლე და გრძელ დისტანციებზე, სიმაღლეზე და ჭოკით ხტომა, ჭიდაობა. თამაშების ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო ლენდსის უნივერსიტეტის პროფესორი გუსტავ იოჰან იარატაუ, რომელმაც 1833 წელს შექმნა ორგანიზაცია „ოლიმპიური კავშირი“. წესდების თანახმად ამ ორგანიზაციის მთავარი ამოცანა იყო გაეღვივებინათ ხალხის ინტერესი უძველესი ოლიმპიური თამაშებისადმი და ჩაეტარებინათ ასპარეზობები ოლიმპიური ტრადიციებით.

ოლიმპიური თამაშების აღდგენის მცდელობა იყო თვით საბერძნეთშიც. თურქე-თის უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ, 1832 წელს იყო წინადადებები აღედგინათ ოლიმპიადები, როგორც ბერძნული ნაციონალური თამაშები.

1858 წელს საბერძნეთის არმიის მაიორმა ევანგელის ცაპასმა (1800-1865 წ.), რომელსაც დიდი ფინანსური შესაძლებლობები გააჩნდა, საბერძნეთის მეფეს შესთავაზა ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეა. საკუთარი სახსრებით შექმნა ოლიმპიელების ფონდი და ააშენა დიდი სპორტული დარბაზი. მეფის ბრძანებულებით შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი.

1859 წელს ათენში ჩატარებულ იქნა თამაშები, რომელსაც „პანელინური ოლიმპიადა“ უწოდეს. თამაშების პროგრამაში შედიოდა სპრინტერული და სტაიერული რბენები, ხტომები, ჭიდაობა, ბადროსა და შუბის ტყორცნა, ცხენოსნობა, ბაგირზე ცოცვა და ბაგირის გუნდური გადაძალვა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბერძნები მცირე აზიიდან, ეგვიპტიდან და კვიპროსიდან. გამარჯვებულებს დაფნის გვირგვინს და ფულად ჯილდოს თავად საბერძნეთის მეფე – ოტონ პირველი გადასცემდა. მომდევნო თამაშები, რომელიც 1863 წელს უნდა გამართულიყო, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო, რაც მეფის სიკვდილით იყო გამოწვეული, არ ჩატარებულა. თუმცა მოგვიანებით ასეთი სახის თამაშები კიდევ ოთხჯერ გაიმართა 1870, 1875, 1888, 1889 წლებში.

1783 წელს ანტიკური ისტორიისა და ხელოვნების ცნობილმა გერმანელმა მკვლევარმა იოჰან იოჰაიმ ვინკელმანმა წარმოადგინა ოლიმპიის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების გეგმა. იგი შეუდგა კიდეც სახსრების შეგროვებას ამ საქმისათვის, მაგრამ არ დასცალდა, მეცნიერი მოკლეს ყაჩაღებმა როცა საბერძნეთიდან შინ ბრუნდებოდა.

1766 წელს ინგლისელმა არქეოლოგმა რიჩარდ ჩანდლერმა დეტალურად აღწერა ზევსის ტაძარი ოლიმპიაში და ამით საფუძველი ჩაუყარა ოლიმპიზმის მეცნიერულ შესწავლას.

1824 წელს, ცნობილი ინგლისელი არქეოლოგიის ლორდ სტანჰოფის ხელმძღვანელობით, მდინარე ალფეოსის სანაპიროზე დაიწყო გათხრები.



ოლიმპოს მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა ოლიმპიზმის იდეებით გატაცებულმა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, ანტიკური ხანის უთვალსჩინოესმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა, ბერლინისა და ჰეტინგენის უნივერსიტეტების პროფესორმა ერნსტ კურციუსმა (1814-1896). სხვადასხვა დროს (განსაკუთრებით 1875-1881 წლებში) მის მიერ აღმოჩენილ იქნა მნიშვნელოვანი განძეულობა, რომელმაც საგრძნობლად შეავსო ჩვენი ცოდნა არა მხოლოდ უძველეს ოლიმპიურ თამაშებზე, არამედ ანტიკური ხანის ხელოვნებაზე, არქიტექტურაზე, ქანდაკებაზე და საერთოდ კულტურაზე.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღორძინებას დიდად შეუწყო ხელი მე -19 საუკუნის მეორე ნახევრიდან სხვადასხვა სპორტის სახეების გავრცელება-განვითარებამ და უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარებამ. ასევე ნაციონალური და საერთაშორისო სპორტული გაერთიანებების, კავშირების, ფედერაციების, ლიგებისა და კლუბების ჩამოყალიბებამ.

1846 წელს ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ცურვაში 440 იარდის დისტანციაზე. ამ დისციპლინაში იმარჯვა ამერიკელმა უ. რედმენმა.

1858 წელს ავსტრალიაში ჩაატარეს მსოფლიო ხემპიონატი 100 იარდზე. რომელშიც ინგლისელ ჩარლზ სტადმენთან დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა ავსტრალიელმა ჯო ბენეტმა.

1871 წელს უნგრეთის ქალაქ ბუდაში ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ტყვიის სროლაში, რომელშიც ავსტრო - უნგრეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის, გერმანიისა და შვეიცარიის უძლიერსი სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

1877 წლიდან იღებს სათავეს ცნობილი უიმბლდონის ტურნირი. პირველად ბალახის კორტებზე ასპარეზობდნენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჩოგბურთელები.

1889 წელს ამსტერდამში ჩატარდა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში.

1891 წელს ჩატარდა ევროპის პირველი ჩემპიონატი მძლეოსნობაში.

პიერ დე კუბერტენმა ოლიმპიური თამაშების აღორძინების იდეა ოფიციალურად 1893 წელს წამოაყენა.

1894 წლის 16 ივნისს პარიზის სორბონის უნივერსიტეტის დიდ სხდომათა დარბაზში ორიათასამდე კაცმა მოიყარა თავი. პ. კუბერტენმა შეგნებულად აირჩია კონგრესის ჩასატარებლად მეცნიერების ეს ტაძარი, რადგან ყველასათვის გასაგები ყოფილიყო, რომ საქმე გვქონდა გაცილებით უფრო დიდ და მასშტაბურ მოვლენასთან, ვიდრე უბრალო სპორტულ თათბირთან. ფორუმს ესწრებოდა 12 ქვეყნის 49 სპორტული ორგანიზაციის 79 დელეგატი.

23 ივნისს შეიქმნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ-ი), რომლის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ბერძენი დემეტრიოს ვიკელასი, გენერალურ მდივნად – პიერ დე კუბერტენი.

სოკის პირველივე სხდომაზე გადაწყდა, რომ თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები გაიმართებოდა 1896 წელს ათენში, მომდევნო თამაშები კი – ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების 122 წლიანი ისტორიის მანძილზე 2016 წლის რიო დე ჟანეიროს ზაფხულის ოლიმპიური თამაშები რიგით 31-ე იყო, თუმცა ფაქტიურად ჩატარდა - 28, სამი ოლიმპიური თამაშები 1916, 1940 და 1944 წლებში პირველი და მეორე მსოფლიო ომების გამო არ ჩატარებულა, მაგრამ რიგითი ნომრები არ ჩატარებულ თამაშეს მიეცა 1916 წელს - VI, 1940 წელს - XII და 1944 წელს - XIII. ასეთი რამ არ შეხებია ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს, რომელმაც სტარტი 1924 წელს აიღო და დღეისათვის სულ 22 ჯერ ჩატარ

ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშები (ჩატარების რიგი, თარიღი, ქალაქები, მონაწილე ქვეყნების, სპორტსმენთა და სპორტის სახეების რაოდენობა)

ცხრილი N 1

№	ზაფხულის ოლიმპიური თამაშები	ჩატარების თარიღი	სპორტსმენების რაო-ბა	მონაწილე ქვეყნების რაო-ბა	სპორტის სხეობების რაო-ბა
I	ათენი	06.04 / 15.04.1896	241	14	9
II	1900 პარიზი	14.05 / 28.10.1900	997	24	20
III	1904 სენტ-ლუისი	14.05 / 23.11.1904	651	12	18
IV	1908 ლონდონი	27.04 / 31.10.1908	2008	22	24
V	1912 სტოკჰოლმი	05.05 / 27.07.1912	2407	28	16
VI	1916 ბერლინი	არ ჩატარებულა	-	-	-
VII	1920 ანტვერპენი	29.04 / 12.09.1920	2622	29	24
VIII	1924 პარიზი	04.05 / 27.07.1924	3088	44	19
IX	1928 ამსტერდამი	17.05 / 12.08.1928	2883	46	16
X	1932 ლოს-ანჯელესი	30.07 / 14.08.1932	1334	37	16
XI	1936 ბერლინი	01.08 / 16.08.1936	3963	49	21
XII	1940 ტოკიო, ჰელსინკი	არ ჩატარებულა	-	-	-
XIII	1944 ლონდონი	არ ჩატარებულა	-	-	-
XIV	1948 ლონდონი	29.07 / 14.08.1948	4104	59	19
XV	1952 ჰელსინკი	19.07 / 03.08.1952	4955	69	19
XVI	1956 მელბურნი, სტოკჰოლმი	22.11 / 08.12.1956	3314	72	18
XVII	1960 რომი	25.08 / 11.09.1960	5338	83	19
XVIII	1964 ტოკიო	10.10 / 24.10.1964	5152	93	21
XIX	1968 მეხიკო	12.10 / 27.10.1968	5516	112	20
XX	1972 მიუნხენი	26.08 / 11.09.1972	7134	121	23
XXI	1976 მონრეალი	17.07 / 01.08.1976	6084	92	23
XXII	1980 მოსკოვი	19.07 / 03.08.1980	5179	80	23
XXIII	1984 ლოს-ანჯელესი	28.07 / 12.08.1984	6829	140	25
XXIV	1988 სეული	17.09 / 02.10.1988	8397	159	27

XXV	1992 ბარსელონა	25.07 / 09.08.1992	9356	169	29
XXVI	1996 ატლანტა	19.07 / 04.08.1996	10 318	197	31
XXVII	2000 სიდნეი	15.09 / 01.10.2000	10 651	199	34
XXVIII	2004 ათენი	13.08 / 29.08.2004	10 625	201	34
XXIX	2008 პეკინი	08.08 / 24.08.2008	10 942	204	34
XXX	2012 ლონდონი	27.07 / 12.08.2012	10 568	204	33
XXXI	2016 რიო დე ჟანეირო	5.08 / 21.08.2016	11 237	207	28

ცხრილი N2

№	ზამთრის ოლიმპიური თამაშები	ჩატარების თარიღი	სპორტსმენების რაო-ბა	მონაწილე ქვეყნების რაო-ბა	სპორტის სხეობების რაო-ბა
I	1924 შამონი	25.01 / 05.02.1924	268	16	9
II	1928 სანკტ მორიცი	11.02 / 19.02.1928	464	25	8
III	1932 ლეიკ-პლესიდი	04.02 / 15.02.1932	252	17	7
IV	1936 გარმიშ-პარტენკირხენი	06.02 / 16.02.1936	646	28	8
V	1948 სანკტ მორიცი	30.01 / 08.02.1948	669	28	9
VI	1952 ოსლო	14.02 / 25.02.1952	694	30	8
VII	1956 კორტინა დამპეცო	26.01 / 05.02.1956	821	32	8
VIII	1960 სკვო ველი	18.02 / 28.02.1960	665	30	8
IX	1964 ინსბრუკი	29.01 / 09.02.1964	1091	36	10
X	1968 გრენობლი	06.02 / 18.02.1968	1158	37	10
XI	1972 საპორო	03.02 / 13.02.1972	1006	35	10
XII	1976 ინსბრუკი	04.02 / 15.02.1976	1123	37	10
XIII	1980 ლეიკ-პლესიდი	13.02 / 24.02.1980	1072	37	10
XIV	1984 სარაევო	08.02 / 19.02.1984	1272	49	10
XV	1988 კალგარი	13.02 / 28.02.1988	1423	57	10
XVI	1992 ალბერვილი	08.02 / 23.02.1992	1801	64	12
XVII	1994 ლილეჰამერი	12.02 / 27.02.1994	1737	67	12
XVIII	1998 ნაგანო	07.02 / 22.02.1998	2176	72	14
XIX	2002 სოლტ-ლეიკ-სიტი	08.02 / 24.02.2002	2399	77	15

XX	2006 ტურინი	10.02 / 26.02.2006	2508	80	15
XXI	2010 ვანკუვერი	12.02 / 28.02.2010	2566	82	15
XXII	2014 სოჭი	07.02 / 23.02.2014	2780	88	15
XXIII	2018 პიონგ-ჩანგი	09.02 / 25.02. 2018	2922	92	15

კონტინენტები და ქვეყნები, სადაც ჩატარდა ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშები

ევროპის კონტინენტზე

სულ 30-ჯერ ჩატარდა ოლიმპიური თამაშები, მათ შორს: ზაფხულის - 16 და ზამთრის -14

- **საფრანგეთში 5-ჯერ – 2-ჯერ ზაფხულის** (პარიზი - 1900, პარიზი - 1924) და **3-ჯერ ზამთრის** (შამონი -1924, გრენობლი - 1968, ალბერვილი - 1992).
- **დიდ ბრიტანეთში 3 ჯერ** და **სამივეჯერ ზაფხულის** (ლონდონი-1908, ლონდონი-1948, ლონდონი-2012). .
- **იტალიაში 3 ჯერ - ერთხელ ზაფხულის** (1960, რომი) და **2-ჯერ ზამთრის** (კორტინა დამპეცო -1956, ტურინი-2006). .
- **გერმანიაში 3 ჯერ - 2 ჯერ ზაფხულის**(ბერლინი-1936, მიუნხენი-1972) და **ერთხელ ზამთრის** (1936, გარმიშპარტენკირხენი).
- **სსრკ/რუსეთი 2 ჯერ-ერთხელ ზაფხულის** (1980, მოსკოვი) და **ერთხელ ზამთრის** (2014, სოჭი).
- **ნორვეგია - 2 ჯერ ზამთრის** (ოსლო-1952, ლილეჰამერი -1994).
- **ავსტრია - 2 ჯერ ზამთრის** (ინსბრუკი-1964, ინსბრუკი-1976).
- **შვეიცარია - 2 ჯერ ზამთრის** (სანკტ-მორიცი1928, სანკტ-მორიცი1948).
- **საბერძნეთი - 2 ჯერ ზაფხულის** (ათენი-1896, ათენი-2004).
- **ესპანეთი - ერთხელ ზაფხულის** (1992, ბარსელონა).
- **შვედეთი - ერთხელ ზაფხულის** (1912, სტოკჰოლმი).
- **ფინეთი - ერთხელ ზაფხულის** (1952, ჰელსინკი).
- **ნიდერლანდები - ერთხელ ზაფხულის** (1928, ამსტერდამი).
- **ბელგია - ერთხელ ზაფხულის** (1920, ანტვერპენი).
- **იუგოსლავია - ერთხელ ზამთრის** (1984, სარაევო).

ამერიკის კონტინენტზე

სულ 13-ჯერ ჩატარდა ოლიმპიური თამაშები, მათ შორის: ზაფხულის - 7 და ზამთრის - 6.

- **ამერიკის შეერთებული შტატებში 8-ჯერ: 4-ჯერ ჩატარდა ზაფხულის** (სენტ-ლუისი-1904, ლოს-ანჯელესი - 1932, ლოს-ანჯელესი - 1984, ატლანტა - 1996) **და 4-ჯერ ზამთრის** (ლეიკ-პლესიდი - 1932, სკვო-ველი - 1960, ლეიკ-პლესიდი - 1980, სოლტ-ლეიკ სიტი - 2002).
- **კანადაში 3-ჯერ – ერთხელ ზაფხულის** (მონრეალი-1996) და **2-ჯერ ზამთრის** (კალგარი-1988, ვანკუვერი - 2010).
- **მექსიკაში – ერთხელ ზაფხულის** (1968, მეხიკო).
- **ბრაზილიაში – ერთხელ ზაფხულის** (2016, რიო დე ჯანეირო).

აზიის კონტინენტზე

სულ 6-ჯერ ჩატარდა ოლიმპიური თამაშები, მათ შორის: ზაფხულის - 3 და ზამთრის - 3.

- **იაპონიაში 3-ჯერ – ერთხელ ზაფხულის** (ტოკიო-1964) და **2-ჯერ ზამთრის** (საპორო -1972, ნაგანო-1998).
- **ჩინეთში – ერთხელ ზაფხულის** (პეკინი-2008).
- **სამხრეთ კორეაში 2-ჯერ – ერთხელ ზაფხულის** (1988, სეული). **ერთხელ ზამთრის** (2018, პიონჩანი)

ავსტრალიის კონტინენტზე

2 ჯერ ჩატარდა ზაფხულის ოლიმპიური თამაშები (მელბურნი - 1956, სიდნეი - 2000).

1896 წლიდან 2018 წლის ჩათვლით სხვადასხვა სინჯის ოლიმპიური მედალი მოპოვებული აქვს **მსოფლიოს 149 ქვეყანას.**

ამ ხნის განმავლობაში სულ გათამაშებული იქნა – **15 704** მედალი, რომელთაგან **5121 ოქრო, 5089 ვერცხლი და 5494 ბრინჯაოს** მედალია.

მე-12 ცხრილში მოცემულია ქვეყნები, რომლებსაც ოლიმპიურ თამაშებზე 149 ქვეყანას შორის ყველაზე მეტი მედალი აქვთ მოპოვებული.

1896 წლიდან ათენის და **2018 წლის** პიონჩანის, ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე **ყველაზე მეტი მედალი აქვს მოპოვებული ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს – 2825**, მათ შორის **1127 ოქრო, 904 ვერცხლი** და **794 ბრინჯაო** (სხვა ქვეყნების მონაცემები იხილეთ მე-3 ცხრილში)

ცხრილი N3

ქვეყანა	სულ ოლიმპიური თამაშების რაოდენობა	1	2	3	სულ მედლების რაოდენობა
აშშ	**50**	**1127**	**904**	**794**	**2825**
დიდი ბრიტანეთი	**51**	**273**	**299**	**301**	**873**
გერმანია	**28**	**283**	**280**	**292**	**855**
საფრანფეთი	**51**	**248**	**276**	**313**	**837**
იტალია	**50**	**246**	**214**	**241**	**701**
შვედეთი	**50**	**202**	**216**	**234**	**652**
რუსეთი	**14**	**221**	**203**	**224**	**648**
ჩინეთი	**20**	**239**	**186**	**171**	**596**
ავსტრალია	44	152	166	191	509
უნგრეთი	48	175	149	173	497

მე-3 ცხრილში მოცემული 10 ქვეყნიდან ზაფხულის **ყველა ოლიმპიურ** თამაშებზე (28) მონაწილეობა მხოლოდ ორმა ქვეყანამ მიიღო – **დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა;**
27-27 თამაშებში მონაწილეობდნენ: **აშშ, იტალია, შვედეთი;**
26-26 თამაშებში **ავსტრალია და უნგრეთი.**

- **ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე** მოპოვებული მედლებით გამოკვეთილი ლიდერია **ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები - 2520 მედალი (1022 ოქრო, 794 ვერცხლი და 704 ბრინჯაო).** აშშ-ს ნაკრებს თითქმის სამჯერ მეტი ოლიმპიური ჯილდო აქვს მოგებული ვიდრე მეორე ადგილზე მყოფ **დიდი ბრიტნეთის ნაკრებს, რომლის მონაგარი 847 მედალია (263 ოქრო, 295 ვერცხლი და 289 ბრინჯაო).**

ზამთრის ყველა (23)ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა ცხრა ქვეყანა: აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, საფრანგეთი, იტალია, უნგრეთი, ნორვეგია, ავსტრია და შვეიცარია.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული მედლებით ლიდერობენ **ნორვეგიელები, რომელთა მონაგარი 329 მედალია (118 ოქრო, 111 ვერცხლი და 100 ბრინჯაო).**

- საერთო ჯამში ნორვეგია და მასთან ერთად ავსტრია, შვედეთი და შვეიცარია ვერ მოხვდა იმ ათ უძლიერეს ქვეყანათა შორის, რომლებსაც ჯამში, ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, მედლების მეტი რაოდენობა აქვთ მოპოვებული.

მე-4 და მე-5 ცხრილში მოცემულია ის ქვეყნები, რომლებიც დღეისათვის აღარ არსებობენ, მაგრამ მოპოვებული აქვთ ოლიმპიური მედლები.

- აქ აშკარა უპირატესობა აქვს **სსრ კავშირის ოლიმპიელთა გუნდს, რომელსაც ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე 1952 წლიდან 1988 წლის ჩათვლით მოპოვებული აქვს 1204 მედალი (473 ოქრო, 376 ვერცხლი და 355 ბრინჯაო).**
- **1204 მედლიდან** ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებე მათი მონაგარი **1010 მედალია (395 ოქრო, 319 ვერცხლი და 296 ბრინჯაო),ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე** კი - 194 მედალი (78 ოქრო, 57 ვერცხლი და 59 ბრინჯაო).
- მეორე ადგილზე **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის** გუნდია (გდრ) – 519 მედლით (192 ოქრო, 165 ვერცხლი და 162 ბრინჯაო). 519 მედლიდან **ზაფხულის** ოლიმპიურ თამაშებე გერმანელებმა მოიპოვეს 409 მედალი (153 ოქრო, 129 ვერცხლი და 127 ბრინჯაო). **ზამთრის** ოლიმპიურ თამაშებზე კი - 110 მედალი (39 ოქრო, 36 ვერცხლი და 35 ბრინჯაო).

ზაფხულის ოლიმპიურ თამაშები

ცხრილი N4

ქვეყანა	ზაფხულის ოლიმპ.	1	2	3	სულ
სსრკ	9	395	319	296	1010
გდრ	5	153	129	127	409
გფრ	5	56	67	81	204
ჩეხოსლოვაკია	16	49	49	45	143
გაერთიანებული გერმანია	3	28	54	36	118
გაერთიანებული გუნდი (სნგ)	1	45	38	29	112
იუგოსლავია	16	26	29	28	83
შერეული გუნდი	3	8	5	4	17
ავსტრალაზია	2	3	4	5	12
სერბია და ჩერნოგორია	3	2	4	3	9
რუსეთის იმპერია	3	1	4	3	8
ბოჰემია	3	0	1	3	4
დამოუკიდებელი ოლიმპიელები	1	0	1	2	3
დამოუკიდ. ოლიპიელები	3	1	0	1	2
ვესტ-ინდოეთი	1	0	0	2	2

ნიდელანდების ანტილიის კუნძულები	13	0	1	0	1

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე

ცხრილი N5

ქვეყანა	ზამთრის ოლიმპ.	1	2	3	სულ
სსრკ	9	78	57	59	194
გდრ	6	39	36	35	110
გფრ	6	11	15	13	39
ჩეხოსლოვაკია	16	2	8	15	25
გერმანიის გაერთ. გუნდი	3	8	6	5	19
გაერთიანებული გუნდი (სნგ)	1	9	6	8	23
იუგოსლავია	14	0	3	1	4

მე-6 ცხრილში მოცემულია ის ქვეყნები, რომლებიც მონაწილეობდნენ ოლიმპიურ თამაშებზე და საერთოდ არ აქვთ არც ერთი სინჯის მედალი მოპოვებული

ცხრილი N6

ქვეყნები და გუნდები	ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა (რ-ბა)	ზამთრის ოლიმპიურ თამაშები მონაწილეობა(რ-ბა)	ორივე ოლიმპიური თამაშების ჯამი
ალბანეთი	7	3	10
ამერიკული სამოა	7	1	8
ანდორა	10	11	21
ანგოლა	8	0	8
ანტიგუა და ბარბუდა	9	0	9
არუბა	7	0	7
ბანგლადეში	8	0	8
ბელიზი	11	0	11
ბენინი	10	0	10
ბუტანი	8	0	8
ბოლივია	13	5	18
ბოსნია და ჰერცოგოვინა	6	6	12
ვირჯინიის კუნძულები	8	2	10
ბრუნეი	4	0	4
ბურკინა ფასო	8	0	8
კამბოჯა	8	0	8

კაბო-ვერდე	5	0	5
კაიმანის კუნძულები	9	2	11
ცენტრალ. აფრიკის რესპუბლიკა	9	0	9
ჩადი	11	0	11
კომორი	5	0	5
კონგოს რესპუბლ.	11	0	11
კონგოს დემოკრატ. რესპუბლიკა	9	0	9
კუკის კუნძულები	7	0	7
დომინიკა	5	1	6
სალვადორი	10	0	10
ეკვატორიალური გვინეა	8	0	8
გამბია	8	0	8
გუამი	7	1	8
გვინეა	10	0	10
გვინეა-ბისაუ	5	0	5
ჰონდურასი	10	1	11
კირიბათი	3	0	3
ლაოსი	8	0	8
ლესოტო	10	0	10
ლიბერია	11	0	11
ლივია	9	0	9
მადაგასკარი	11	1	12
მალავი	9	0	9
მალდვინი	7	0	7
მალი	12	0	12
მალტა	15	1	16
მარშალის კუნძულ.	2	0	2
მავრიტანია	8	0	8
მიკრონეზია	4	0	4
მონაკო	19	9	28
მიანმა	16	0	16
ნაურუ	5	0	5
ნეპალი	12	4	16
ნიკარაგუა	11	0	11
ომანი	8	0	8
პალაი	4	0	4
პალესტინა	5	0	5
პაპუა- ახალი გვინეა	9	0	9
რუანდა	8	0	8
სანტ-კიტსი დ ნევისი	5	0	5
სენტ-ლუსია	5	0	5
სენტ-ვინსენტი	7	0	7

სამოა	8	0	8
სან-მარინო	13	9	22
სან-ტომე და პრინსილი	5	0	5
სეიშელი	8	0	8
სიერა - ლეონე	10	0	10
სოლომონის კუნძ.	8	0	8
სომალი	8	0	8
სვაზილენდი	9	1	10
აღმოს. ტიმორი	3	1	4
თურქმენეთი	5	0	5
ტუვალუ	2	0	2
ვანუატუ	7	0	7
იემენი	6	0	6
მალაია	2	0	2
სამხრეთი ბორნეო	1	0	1
ჩინეთის რესპუბლიკ.	3	0	3
საარი	1	0	1
ჩრდილოეთ იემენი	2	0	2
სამხრეთ იემენი	1	0	1
სამხრეთ სუდანი	1	0	1

ქვეყნები, რომლებმაც ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტი მედლები მოიპოვეს სპორტის სახეობების მიხედვით

- ✓ **ავსტრალიამ** – ტრიატლონში;
- ✓ **ავსტრიამ** – ფარიკაობაში;
- ✓ **დიდმა ბრიტანეთმა** – საიალქნო სპორტში;
- ✓ **იაპონიამ** – ძიუდოში.
- ✓ **ინდოეთმა** – ბალახის ჰოკეიში;
- ✓ **იტალიამ** – ფარიკაობაში;
- ✓ **კუბამ** – ბეისბოლში;
- ✓ **საფრანგეთმა** – ველოსპორტში;
- ✓ **შვედეთმა** – ბურთიან ჰოკეიში;
- ✓ **კანადამ** – ქარლინგში და ჰოკეიში;
- ✓ **ნორვეგიამ** – სათხილამურო ორჭიდსა და თხილამურებით რბოლაში;
- ✓ **სამხრეთ კორეამ** – მშვილდოსნობაში, შორტ-ტრეკსა და ტაეკვანდოში;
- ✓ **ჩინეთმა** – ბადმინტონში, მაგიდის ჩოგბურთსა და ბატუტზე ხტომაში;
- ✓ **გერმანიამ** – ცხენოსნობაში, ბიატლონში, ბობსლეიში, საციგაო სპორტსა და აკადემიურ ნიჩბოსნობაში;
- ✓ **რუსეთმა** – სინქრონულ ცურვაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, სპორტულ ტანვარჯიშში, ხელბურთში, ნიჩბოსნობაში, ჭიდაობასა და ძალოსნობაში;

- ✓ **ამერიკის შეერთებულმა შტატებმა** – კალათბურთში, კრივში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ცურვაში, წყალში ხტომაში, ტყვიის სროლაში, ჩოგბურთში, ფეხბურთში, ფრისტაილსა და სკელეტონში.

მედლები ოლიმპიურ თამაშებზე

ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებულებს მედლებით არ აჯილდოვებდნენ, იგი გაცილებით გვიან შემოიღეს. იმ პერიოდისათვის ჯილდო სხვადასხვაგვარი იყო. ჰერაკლე დააჯილდოვეს ველური ზეითუნის ხილის გვირგვინით. მოგვიანებით ელინების მეფე **ენდიმიონმა** ოლიმპიადაში გამარჯვებულს თავისი სამეფო გადასცა, ალბათ იმიტომ, გამარჯვებული თავისი შვილი იყო. ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულებს ხშირად ოქროს მონეტებით და ძვირფასი ნივთებით აჯილდოვებდნენ.

293 ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებზე უამრავი პრიზები იყო გათამაშებული მაგრამ არც ერთ მათგანზე მედლები არ ყოფილა.

მედლების შემოღების შესახებ საკითხი დაისვა პარიზის პირველ ოლიმპიურ კონგრესზე 1894 წელს, თანამედროვე ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ორი წლით ადრე.

1896 წელს ათენში, პირველ ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებულები ვერცხლის მედლებით დააჯილდოვეს, მეორე ადგილზე გასულებს ბრინჯაოს მედლები დაურიგეს, ხოლო მესამე პრიზიორები საერთოდ უმედლოდ დატოვეს.

1900 წელს პარიზის მეორე ოლიმპიურ თამაშებზე საერთოდ არანაირი მედლები არ გადაუციათ არც გამარჯვებულისა და არც პრიზიორებისათვის. თუმცა ყველა სპორტულ ლიტერატურაში ათენისა და პარიზის ოლიმპიური თამაშების პროზიორები შესაბამისი სინჯის მედლების მფლობელებად აღირიცხებიან.

ოლიმპიური ქარტიის თანახმად, ოლიმპიური თამაშები წარმოადგენს შეჯიბრებებს ინდივიდუალურ ან გუნდურ სახეობებში სპორტსმენებსა და არა ქვეყნებს შორის, ამიტომ საერთო გუნდური ჩათვლა არის არაოფიციალური.

1904 წლის სენტ-ლუისის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული, გამარჯვებულს გადასცემდნენ ოქროს

მედალს, მეორე პრიზიორს ვერცხლის მედალს და მესამე პრიზიორს ბრინჯაოს მედალს. მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე ადგილზე გასულ სპორტსმენებს და გუნდებს გადასცემენ სიგელებს.

ოლიმპიური მედლები ტრადიციულად, ზომით უნდა იყოს: დიამეტრით 60 მმ, სისქით - 3 მმ. და წონით 150 გრ.

ოქროს მედალი უნდა შეიცავდეს ექვს გრამ სუფთა ოქროს.

ოლიმპიური მედლის წინა მხარეს, სოკ-ის გადაწყვეტილებით, 1928 წლიდან გამოსახულია გამარჯვების ქალღმერთი-ნიკე და იქვე აღნიშნულია თამაშების ჩატარების თარიღი, ნუმერაცია და მასპინძელი ქალაქის სახელწოდება. მეორე გვერდზე აღინიშნება სპორტის ის სახეობა, რომელშიც სპორტსმენი მონაწილეობდა.

სპორტის გუნდურ სახეობებში გამარჯვებული ან საპრიზო ადგილზე გასული გუნდის წევრი, რომელმაც ერთ მატჩში მაინც მიიღო მონაწილეობა, ჯილდოვდება შესაბამისი სინჯის მედლით და სიგელით.

თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები

როგორც აღვნიშნეთ, ოლიმპიური თამაშების აღორძინება მხოლოდ 1500 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პირველივე სხდომაზე, 1894 წელს გადაწყდა, რომ თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები 1896 წელს ჩატარდებოდა საბერძნეთის დედაქალაქ ათენში.



თამაშების პროგრამაში იყო ცხრა სპორტის სახეობა: კლასიკური ჭიდაობა, ველოსპორტი, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა, ტყვიის სროლა, ჩოგბურთი, ფარიკაობა და სიმძიმეების აწევა. სულ გათამაშდა მედლების 43 კომპლექტი.

ათენში უნდა გარკვეულიყო თანმედროვე ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონის ვინაობა, რომელიც, ისე როგორც ანტიკური თამაშების პირველი ჩემპიონის - კოროიბოსის სახელი, სამუდამოდ შევიდოდა ოლიმპიზმის ისტორიაში. ეს პატივი წილად ხვდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს – ჯეიმს კონოლის, რომელმაც იმარჯვა სამხტომში და ნამდვილად უკვდავყო თავისი სახელი.

მართალია მის მიერ ნაჩვენები შედეგი - 13 მეტრი და 71 სანტიმეტრი დღევანდელი გადასახედიდან ძალზე მოკრძალებულია, მაგრამ იგი დაფიქსირდა როგორც პირველი ოლიმპიური რეკორდი და ამ შედეგით მან მოიპოვა ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონის სახელი.

ეს მოხდა 1896 წლის 6 აპრილს ათენის მარმარილოს სტადიონზე, 80 ათასი მაყურებლის თანდასწრებით, მას შემდეგ, როცა საბერძნეთის მეფემ – გეორგ პირველმა ოფიციალურად გახსნა პირველი ოლიმპიური თამაშები.

მართალია, თამაშებში მონაწილეობის სურვილი თოთხმეტმა ქვეყანამ გამოთქვა და მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობა 245 კაცი იყო, მაგრამ სტადიონზე მოსული მაყურებლების რაოდენობა (80 000) სარეკორდო აღმოჩნდა და იგი მხოლოდ 1932 წელს იქნა გაუმჯობესებული.

კონოლი, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ჩავიდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, რისთვისაც ის გარიცხეს უნივერსიტეტიდან. ჯეიმს კონოლიმ გარდა სამხტომში მოპოვებული ოქროს მედლისა, ვერცხლის მედალი მოიპოვა სიმაღლეზე და ბრინჯაოსი სიგრძეზე ხტომაში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თანამედროვე ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონი აღადგინეს უნივერსიტეტში და მეტიც, მას მიანიჭეს ჰარვარდის საპატიო დოქტორის წოდება.

ოთხი წლის შემდეგ, 1900 წელს პარიზში, ჯეიმს კონოლიმ თავის მეორე ოლიმპიადაზე იასპარეზა. იგი კვლავ სამხტომში გამოდიოდა. მართალია თავისი ოლიპიური რეკორდი 26 სანტიმეტრით გააუმჯობესა, მაგრამ იგი შედეგით 13 მეტრი და 97 სანტიმეტრით მხოლოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა.

პარიზის ოლიმპიური თამაშები, ჯეიმს კონოლისათვის, როგორც სპორტსმენისათვის, ბოლო იყო. შემდგომში იგი ხდება წარმატებული ჟურნალისტი და მწერალი. მის კალამს ორ ათეულზე მეტი რომანი ეკუთვნის, რომელიც იმ პერიოდში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ თანდათან ეს ყველაფერი ნახევრად მივიწყებას მიეცა, თუმცა დარჩა პირველი ოლიმპიური ჩემპიონის ხმაურიანი სახელი სამუდამოდ.



პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს მარათონში – ბერძენ სპიროს ლუისს, საბერძნეთის მთავრობამ ზღაპრული ვილა და დიდი ფულადი პრემია მისცა. ერთ-ერთი სასტუმროს მეპატრონემ ლუისს 3652 უფასო სადილის და 10 წლით სასტუმროს მომსახურეობის ქვითარი გადასცა. სპიროს ლუისმა პრიზის სახით ასევე მიიღო ერთი კასრი ღვინო, 10 ცენტნერი შოკოლადი, 10 ძროხა, 30 ცხვარი და მთელი ცხოვრების მანძილზე ხარაზისა და დალაქის უფასო მომსახურება. თუმცა ყველაზე დიდი საჩუქარი მისთვის საბერძნეთის გმირის ტიტულის მინიჭება გახლდათ.

სპორტსმენები, რომლებმაც ყველაზე მეტჯერ იასპარეზეს ოლიმპიურ თამაშებზე

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე რეკორდსმენებთა სიას სათავეში უდგას კანადელი ცხენოსანი **იან მილარი. 65 წლის სპორტსმენისათვის ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშები რიგით მეათე იყო.** იგი ჯერჯერობით ერთადერთი ადამიანია მსოფლიოში, რომელმაც მონაწილეობა მიიღო **ათ ოლიმპიადაში**. მისი დებიუტი 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე შედგა. ამ ხნის განმავლობაში იან მილარმა მხოლოდ თავის მეცხრე ოლიმპიადაზე (პეკინი 2008 წ.) შეძლო პირველი ოლიმპიური ჯილდოს მოპოვება, მაშინ როდესაც კანადის ნაკრები გახდა ვერცხლის პრიზიორი კონკურში.

იან მილარის შემდეგ მოდიან **ავსტრიელი იახტსმენი – ხუბერტ რაუდაშლი** და **ლატვიელი ტყვიის მსროლელი – აფანასი კუზმინი,** რომლებმაც **ცხრა-ცხრა ოლიმპიურ თამაშებზე** იასპარეზეს.

ხუბერტ რაუდაშლი – ერთადეთი სპორტსმენია მსოფლიოში, რომელმაც 32 წლის ნანძილზე (1964 წლიდან) ზედიზედ ცხრა ოლიმპიურ თამაშში მიიღო მონაწილეობა. ამ ხნის მანძილზე მან ორჯერ მოიპოვა ვერცხლის მედალი. იგი ოთხ ოლიმპიურ თამაშებზე (1972, 1984, 1988 და1996 წლებში) იყო ავსტრიის ოლიპიური ნაკრების მედროშე. მონრეალის 1976 წლის ოლიმპიურ თამაშებში **რაუდაშლი** თავის უმცროს ძმასთან, ვალტერთან ერთად ასპარეზობდა. 2012 წელს კი ლონდონის 30-ე ოლიმიურ თამაშებზე მისი შვილი ღებულობდა მონაწილეობას. **ხუბერტ რაუდაშლი** ორჯერ იყო მსოფლიოს, ხუთჯერ ევროპისა და ოცჯერ ავსტრიის ჩეპიონი.

ლატვიელი ტყვიის მსროლელი – **აფანასი კუზმინი** მონაწილეობდა ზაფხულის ცხრა ოლიმპიურ თამაშებზე (1976 წელს მონრეალში, 1980 წელს მოსკოვში, 1988 წელს სეულში, 1992 წელს ბარსელონაში, 1996წელს ატლანტაში, 2000 წელს სიდნეიში, 2004 წელს ათებში, 2008 წელს პეკინში და 2012 წელს ლონდონში).

აფანასი კუზმინი 1988 წელს სეულში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა სსრ კავშირის სახელით, ხოლო 1992 წელს ბარსელონაში დამოუკიდებელი ბალტიის ქვეყნებიდან პირველმა მოიპოვა ოლიმპიური მედალი (ვერცხლის). აფანასი კუზმინი არის მსოფლიოს 12 გზის ჩემპიონი.

რვა-რვა ოლიმიურ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა ცხრა სპორტსმენმა: იტალიელმა ძმებმა **პიერო და რაიმონდო დ'ინცეოებმა,** ბაჰამის კუნძულელმა (შემდეგ ინგლისელმა) **დარვარდ ჰოულზმა და** დანიელმა **პაულ ელვსტრიომმა,** სლოვენიელმა **რაიმონდ დებევეცმა,** გერმანელმა **იოზეფა იდემმა,** პერუელმა **ფრანცისკო ბოსამ, კანადელმა ლესლი ტომპსონმა და ქართველმა ნინო სალუქვაძემ.**

იტალიელი ცხენოსნები, ძმები **პიერო და რაიმონდო დ'ინცეოები,** იტალიის კავალერიის ოფიცრები, 1948 -1976 წლებში 6-6 ოლიმპიური მედლის კავალერები გახდნენ. ოლიმპიური ჩემპიონი ერთხელ (1960 წელს, რომში) გახდა უმცროსი ძმა-რაიმონდო, მან მცირე უპირატესობით აჯობა თავის უფროს ძმას, რომელსაც ვერცხლის მედალი ერგო. ძმებმა რვა ოლიმპიადაზე მონაწილეობას 28 წელი მოანდომეს.

იახტსმენებმა, ბაჰამის კუნძულელმა (შემდეგ ინგლისელმა) **დარვარდ ჰოულზმა და** დანიელმა **პაულ ელვსტრიომმა,** 40 წელი მოანდომეს ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობას. მათი დებიუტი, როგორც ძმები დ'ინცოებისა, 1948 წელს შედგა.

1948 წელს ჰოულზი უკვე 31 წლის იყო. იგი ზედიზედ შვიდ ოლიმპიურ თამაშებზე 1972 წლამდე ცდიდა თავის ძალებს და შემდეგ შეწყვიტა შეჯიბრებებში მონაწილეობა. მაგრამ თორმეტი წლის შემდეგ, უკვე 70 წლის ასაკში, კვლავ გამოჩნდა ოლიმპიურ სარბიელზე. სეულის 1988 წლის ოლიმპიური თამაშები მისთვის რიგით მერვე იყო. **დარვარდ ჰოულზი** თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზ-მული მონაწილე გახდა. თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე **ჰოულზისათვის** ყველაზე წარმატებული ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიური თამაშები გახდა, სადაც მან „ვარსკლავურ კლასში" ოქროს მედალი მოიპოვა.

დანიის მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებული პაულ ელვსტრიომის დებიუტიც 1948 წლის ლონდონის მე-14 ოლიმპიადაზე შედგა. იგი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა 1952, 1956 და 1960 წლებში. მან გამოტოვა ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიური თამაშები და მონაწილეობა მიიღო მეხიკოსა (1968 წ) და მიუნხენის(1972წ) ოლიმპიადებზე. შემდგომ გამოტოვა ზედიზედ კიდევ ორი თამაშები (1976 და 1980წ) და განაახლა მონაწილეობა ლოს-ანჯელესისა (1984) და სეულის (1988) ოლიმპიურ თამაშებზე. სეულში ის უკვე 60 წლის იყო. დანიელ სპორტსმენს, რომ არ გამოეტოვებინა თამაშები, ის იქნებოდა მსოფლიოში პირველი სპორტსმენი, რომლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ჯამი 11 იქნებოდა. პაულ ელვსტრიომი 2016 წლის 7 დეკემბერს 88 წლის ასაკში გარდაიცვალა.



სლოვენიელი ტყვიის მსროლელი **რაიმონდ დებევეცი** მონაწილეობას იღებდა ზედიზედ რვა ოლიმპიურ თამაშებში 1984-2012 წლებში, მაგრამ არც ერთხელ არ მოუპოვებია ოლიმპიური მედალი.

პერუელი ტყვიის მსროლელი ფრანცისკო ბოსაც რვა ოლიმპიურ თამაშებში (1980-2016 წლებში) იღებდა მონაწილეობას. მისი დებიუტი 15 წლის ასაკში მოსკოვის 1980 ოლიმპიურ თამაშებზე შედგა, სადაც 32-ე ადგილი დაიკავა. ოთხი წლის შემდეგ იგი ლოს-ანჯელესში ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

ქალთა შორის რვა ოლიპიურ თამაშებში აქვთ მონაწილეობა მიღებული **გერმანელ ნიჩბოსანს იოზეფა იდემს** (1984-2012წ), **კანადელ ნიჩბოსანს ლესლი ტომპსონს (1984-2016) და ქართველ ტყვიის მსროლელ ნინო სალუქვაძეს (1988-2016 წ.)**

იოზეფა იდემი თავის კარიერის დასაწყისში გერმანიის სახელით ასპარეზობდა. 1988 წელს გადავიდა იტალიაში და 1990 წელს ცოლად გაჰყვა თავის მწვრთნელს იტალიელ გულიელმო გუე-რინის და შემდგომ წლებში გამოდიოდა იტალიის სახელით. 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე იოზეფა იდემი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა. 2004 და 2008 წლებში (ათენსა და პეკინში) ვერცხლის მედლებს იგებს. 2012 წელს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე 48 წლის იდემი მე-5 ადგილზე გადის.

რვა ოლიმპიური თამაშების მონაწილეა **კანადელი ნიჩბოსანი ლესლი ტომპსონი** (1984-2016 წ.). 1984 წელს ლოს-ანჯელესში მან თავისი პირველი მედალი(ვერცხლი) მოიპოვა ოთხაგილიანი ნავით. 1992 წელს ბარსელონაში იგი ჩემპიონი გახდა. სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადის შემდეგ დაამთავრა თავისი სპორტული კარიერა და გამოტოვა ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშები, მაგრამ 2005 წლიდან განაახლა ვარჯიშები და ზედიზედ მომდევნო სამ ოლიმპიურ თამაშებზე ისპარეზა. სულ ოლიმპიურ თამაშებზე ლესლი ტომპსონს მოპოვებული აქვს ხუთი მედალი (1-ოქრო, 3- ვერცხლი, 1 - ბრინჯაო). 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ლესლი უკვე 56 წლის იყო.

ქართველ ტყვიის მსროლელ **ნინო სალუქვაძეს,** ოლიმპიურ ასპარეზობაზე დებიუტი 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე ჰქონდა (მაშინ ნინო 19 წლის იყო). რიო დე ჟანეიროს 31-ე ოლიმპიური თამაშები ნინოსთვის მე-8 ოლიმპიური თამაშები გამოდგა.

ნინო სალუქვაძის 28 წლიანი ოლიმპიური მონაგარი სამივე სინჯის მედლია. მან 1988 წელს სეულში ოლიმპიურ ჩემპიონობასთან ერთად ვერცხლის მედალიც მოიპოვა, ხოლო 2008 წელს პეკინში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. გარდა ოლიმპიური მონაგარისა, ნინო სალუქვაძე არის მსოფლიოს 7-გზის და ევროპის 5-გზის ჩემპიონი, მსოფლიოს სუპერთასის 7-გზის მფლობელი. დამყარებული აქვს მსოფლიოს ოცამდე რეკორდი.

- **რვა და მეტ ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილე სპორტსმენებიდან არცერთი არ არის სპორტის ზამთრის სახეობის წარმომადგენელი. ჩვენს მიერ მოყვანილი 11 სპორტსმენიდან - სამი ცხენოსანია, სამი იახტსმენი, სამი ტყვიის მსროლელი და ორი ნიჩბოსანი.**

- **ოლიმპიურ თამაშებში შვიდ-შვიდჯერ მონაწილეობდა 29 სპორტსმენი (მათგან 9 ქალი). რომელთაგან ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობდა 26, ხოლო ზამთრის თამაშებზე - 3 სპორტსმენი.**

ყველაზე ტიტულოვანი ოლიმპიური ჩემპიონები

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორია იწყება 1896 წლიდან, როდესაც ათენში ჩატარდა პირველი ოლიმპიური თამაშები. მას შემდეგ 122 წელი გავიდა. დღეისათვის ოლიმპიური თამაშები ჩვენი პლანეტის ყველაზე მასშტაბური და მთავარი სპორტული დღესასწაულია. ოლიმპიური თამაშების წყალობით ასეულობით სპორტსმენი იქცა სახელგანთქმულ და აღიარებულ ადამიანად. ამ ხნის მანძილზე მრავალმა სპორტსმენმა მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონისა და პრიზიორის ტიტული. მაგრამ ოლიმპიური თამაშების ისტორიაში არიან ისეთი ლეგენდარული პიროვნებები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ოლიმპიური მოძრაობის განვითარების საქმეში და ოქროს ასოებით ჩაწერეს თავიანთი გვარები ოლიმპიური სპორტის ისტორიში.

ამ თავში წარმოგიდგენთ ყველაზე ტიტულოვან ოლიმპიურ ჩემპიონებს ზაფხულის 1896 წლის ათენის პირველი ოლიმპიური თამაშებიდან 2016 წლის რიო დე ჟანეიროს 31-ე ოლიმპიური თამაშებისა და ზამთრის 1924 წლის შამონის პირველი ოლიმპიური თამაშებიდან პიონჩანის 2018 წლის 23-ე ოლიმპიური თამაშების ჩათვლით.

რეი იური (მე-14 ადგილი)

რაიმონდ კლარენს იური (რეი იური) ამერიკელი მძლეოსანი, ოლიმპიური თამაშების რვა გზის ჩემპიონი. მან 1900 წელს პარიზის და 1904 წელს სენტ ლუისის ოლიმპიურ თამაშებზე სამ-სამი ოქროს მედალი მოიპოვა ადგილიდან სიგრძეზე, სიმაღლეზე და სამმაგ ხტომში. 1908 წელს კი ლონდონში ორი ოქროს მედალი მოიგო ადგილიდან სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში. საინტერესოა, რომ რეი იური ბავშობაში დაავადებული იყო პოლიომელიტით და კარგა ხანი ინვალიდის ეტლით დადიოდა. ექიმებმა მას ურჩიეს სისტემატურად ევარჯიშა და მანაც დაიწყო ხტომებში ვარჯიში ფეხის კუნთების გასამაგრებლად. 1898 წლიდან 1910 წლამდე (სანამ ადგილიდან ხტომები არ გააუქმეს) რეი იურიმ 15 ჯერ მოიპოვა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის ტიტული.

მეტ ბიონდი (მე - 13 ადგილი)

ამერიკელი მოცურავე მეტ ბიონდი ოლიმ-პიური თამაშების თერთმეტგზის მედალოსანი (8 ოქრო, 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო). ოქროს მედლები: 1984, ლოს-ანჯელესი – 4 X 100 მ; 1988, სეული – 50, 100, 4 x 100, 4 x 200 მ თავისუფალი, 4 x 100 მ კომბინირებული; 1992, ბარსელონა – 4 x 100 მ კომბინირებული. მსოფლიოს ჩემპიონატებში მოიპოვა 11 მედა-ლი (6 ოქროსი, 2 ვერცხლისა, 3 ბრინჯაოსი). აღიარებულია თავისუფალი სტილით ყველა დროის ერთერთ საუკეთესო მოცურავედ. 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში კიდევ ერთი ოქროს მედლით დაჯილდოვდა (4 x 100 მ თავისუფალი სტილით), თუმცა ფინალურ გაცურ-ვაში მონაწილეობა არ მიუღია. იყო აშშ-ის წყალბურთელთა ნაკრების წევრი.

ჯენი ტომპსონი (მე - 12 ადგილი)

ამერიკელი მოცურავე ჯენი ტომპსონი ერთადერთი სპორტსმენია მსოფლიოში, რო-მელსაც ოლიმპიური ოქროს მედალები მხო-ლოდ ესტაფეტებში აქვს მოპოვებული. 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე ჯენი ტომპსონმა აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში ორჯერ იმარჯვა თავისუფალი სტილით და კომბინირებულ ესტაფეტაში 4x100 მეტრზე. 1996 წელს ატლანტაში და 2000 წელს სიდნეიში მან სამ-სამი ოქროს მედალი მოიპოვა იგივე დისტანციებში და 4 x 200 მეტრზე ესტაფეტაში.

ბარსელონაში ჯენი ტომპსონმა ინდივიდუალურ გაცურვაშიც მიიღო მონაწილეობა და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ვერცხლის მედალი მოიგო.

საერთო ჯამში ჯენი ტომპსონის მონაგარი ოთხ ოლიმპიადაზე 12 მედალია (8 ოქრო, 3 ვერცხლი და ერთი ბრინჯაო).

სავაო კატო (მე - 11 ადგილი)



სავაო კატო გამორჩეული ტანმოვარჯიშეა ოლიმპიური სპორტის ისტორიაში. პირველი ჯილდოები მან მეხიკოს 1968 წლის ოლიმპადაზე მოიპოვა, როდესაც იმარჯვა აბსოლიტურ პირველობაზე, თავისუფალ ვარჯიშსა და გუნდურში. 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე სავაო კატო კვლავ სამ ოქროს მედალს იგებს. იგი თავის კოლექციას მიუნხენში კიდევ ორი ვერცხლის მედლით ამდიდრებს (მეორე იყო ტაიჭზე და ღერძზე). 30 წლის კატოსათვის ბოლო ოლიმპიური ასპარეზობა იყო 1976 წლის მონრეალის თამაშები, სადაც ასაკის მიუხედავად ორი ოქროს მედალი მოიგო ორძელსა და გუნდურ შეჯიბრებაში, აბსოლიტურში კი ვერცხლს დასჯერდა. **საერთო ჯამში სავაო კატომ 12 ოლიმპიური მედალი მოიპოვა (8 ოქრო, 3 ვერცხლი და ერთი ბრინჯაო).**

ბირგიტ ფიშერი
(მე - 10 ადგილი)

გერმანელი **ბირგიტ ფიშერი** მსოფლიოში ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენია ბაიდარებით ნიჩბოსნობაში. ოლიმპიური მედლების მონაგარით იგი მეორე სპორტსმენი ქალია მსოფლიოში (ლარისა ლატინინას შემდეგ). მის ანგარიშზე 12 ოლიმპიური მედალია (8 ოქრო და 4 ვერცხლი). შთამბეჭდავია მის მიერ მოპოვებული ჯილდოების პერიოდი. პირველი ოქროს მედალი მან 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა, ბოლო კი 24 წლის შემდეგ, 2004 წელს ათენში. უკვე 42 წლის გერმანელი ნიჩბოსანი ოქროს (ოთხადგილიანი ბაიდარებით) და ვერცხლის (ორადგილიანით) მედლებს იგებს და ასრულებს თავის ხანგრძლივ და ბრწყინვალე სპორტულ კარიერას

ბიორნ დელი (მე - 9 ადგილი)

ნორვეგიელი **ბიორნ დელი** ერთ-ერთი საუკეთესო მოთხილამურეა ზამთრის სპორტის წარმომადგენლებს შორის. ბიორნ დელი ოქროს მედლების რაოდენობით მესამე ადგილს იკავებს ლეგენდალური ბიატლონისტის – ულე ეინარ ბიორნდალენისა და მარიტ ბიორგენის შემდეგ. 1992 წლის ალბერვილის ოლიმპიურ თამაშებზე ბიორნ დელიმ სამი ოქროს მედალი მოიპოვა, 1994 წელს ლილეჰამერში თავისი კოლექცია ორი ოქროს მედლით გაამდიდრა, რომელსაც 1998 წელს ნაგანოში კვლავ სამი უმაღლესი ჯილდო შემატა. ამ ოლიმიადებზე მას ოთხი ვერცხლის მედალიც აქვს მოპოვებული. **ბიორნ დელის ანგარიშზე 12 ოლიმპიური მედალია (8 ოქრო და 4 ვერცხლი).**

ულე ეინარ ბიორნდალენი (მე- 8 ადგილი)

უძლიერესი სპორტსმენების სიაში მერვე ადგილს იკავებს „ბიატლონის მეფე“ – ნორვეგიელი **ულე ეინარ ბიორნდალენი,** მის კოლექციაში 13 ოლიმპიური მედალია, რომელთა შორის 8 ოქრო, 4 ვერცხლი და 1 ბრინჯაოა. ოლიმპიური მედლების მოპოვება ლეგენდარულმა სპორტსმენმა ნაგანოს 1988 წლის ოლიმპიური თამაშებიდან დაიწყო, სადაც ერთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა განსაკუთრებულად შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაღწია ნორვეგიელმა ლეგენდამ 2002 წლის სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც 4 ოქროს მედალი მოიგო. 2006 წელს ტურინის ოლიმპიადაზე ბიორნდალენმა თავის კოლექციას 3 ვერცხლის მედალი შემატა. 2010 წელს ვანკუვერში იგებს ერთ ოქროს მედალს. სოჭის 2014 წლის ოლიმპიადაზე კი 41 წლის სპორტსმენი ორ ოქროს მედალს ეუფლება.

უსეინ ბოლტი (მე-7 ადგილი)

პლანეტის ყველაზე სწრაფ ადამიანს - იამაიკელ უსეინ ბოლტს რვა ოლიმპიური ოქროს მედალი აქვს მოპოვებული. მან **2008 წელს პეკინის, 2012 წელს ლონდონის და 2016 წლის რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე სამ-სამი ოქროს მედალი მოიპოვა,** მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 2017 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით, იამაიკის ნაკრებს და მათ

შორის უსეინ ბოლტს, ჩამოერთვათ 2008 წელს პეკინში ესტაფეტაში 4x100 - ზე მოპოვებული ოქროს მედალი, რადგან განმეორებითი სინჯის ანალიზმა, ერთი მონაწილის – ნესტა კარტერის ორგანიზმში გამოავლინა აკრძალული პრეპარატის კვალი. უსეინ ბოლტს დამყარებული აქვს მსოფლიოს რვა რეკორდი. იგი არის მსოფლიო რეკორდსმენი 100 (9,58 წ) და 200 (19,19წ) მეტრზე რბენაში. თანაავტორია მსოფლიო რეკორდის 4X100 ესტაფეტაში იამაიკის ნაკრების შემადგენლობაში (36,84 წამი). უსეინ ბოლტი არის მსოფლიოს 11 გზის ჩემპიონი. ის მძლეოსნობის ისტორიაში არის ერთადერთი სპორტსმენი, რომელმაც ზედიზედ სამ ოლიმპიადაზე (პეკინი - 2008, ლონდონი - 2012 და რიო დე ჟანეირო-2016) იმარჯვა ორივე სპრინტერულ (100 და 200 მ) დისტანციაზე.

მარიტ ბიორგენი (მე-6 ადგილი)

37 წლის ნორვეგიელმა მოთხილამურემ, **მარიტ ბიორგენმა,** პიონგჩანგის 2018 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, თავისი მედლების კოლექცია კიდევ ხუთი მედლით შეავსო (2- ოქრო, 1-ვერცხლი და 2- ბრინჯაო) და ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი გახდა. მას 2002 წლის სოლტ-ლეიკ-სიტის თამაშებიდან სულ მოპოვებული აქვს 15 ოლიმპიური მედალი (8 ოქრო, 4-ვერცხლი და 3-ბრინჯაო). ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ამ მონაგარით **მარიტ ბიორგენი,** ამერიკელი მოცურავის **მაიკლ პელფსისა** (28 ოლიმპიური მედალი) და უკრაინელი ტანმოვარჯიშე **ლარისა ლატინინას** (18 ოლიმპიური მედალი) შემდეგ მესამე ადგილს იკავებს.

აღსანიშნავია, რომ 2003 წლიდან 2017 წლის ჩათვლით **მარიტ ბიორგენმა** მსოფლიო ჩემპიონატებზე 26 მედალი მოიპოვა (18-ოქრო, 5 - ვერცხლი და 3 - ბრინჯაო). გარდა ამისა, ის გორგოლაჭებიანი თხილამურებით რბოლაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და სამგზის ვერცხლის პრიზიორია.

კარლ ლუისი (მე- 5 ადგილი)

კარლ ლიუსი მსოფლიოში მეორე მძლეოსანია (პაავო ნურმის შემდეგ), რომელსაც ოლიმპიური თამაშების 9 ოქროს მედალი აქვს მოპოვებული. **1984 წელს ლუისმა ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე ოთხი ოქროს მედალი მოიგო** (რბენა 100, 200, ესტაფეტა 4x100 და სიგრძეზე ხტომა). **1988 წელს სეულში** (სიგრძეზე ხტომა, 100 მ) **და 1992 წელს ბარსელონაში** (სიგრძეზე ხტომა, 4x100 მ ესტაფეტა) იგი **ორ-ორ ოქროს** მედალს ეუფლება, **1996 ატლანტაში** კი 35 წლის კარლ ლუისი **ოქროს მედლის** მფლობელი ხდება სიგრძეზე ხტომაში. **საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა იგი დაასახელა XX საუკუნის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად.**

მარკ სპიტცი (მე-4 ადგილი)



ებრაული წარმომავლობის **ამერიკელ მოცურავეს მარკ სპიტცს** 9 ოქროს მედლის მოსაპოვებლად მხოლოდ ორი ოლიმპიური თამაშები დასჭირდა, მის კოლექციაში ასევე არის ოლიმპიური თამაშების თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. **1968 წლის მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებულ ორ ოქროს მედალს** მარკ სპიცმა **1972 წლის მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე კიდევ 7 უმაღლესი ჯილდო მიუმატა** და იმ დროისათვის პირველი სპორტსმენი მოცურავე და საერთოდ ოლიმპიური თამაშების ისტორიაში მესამე სპორტსმენი გახდა, რომელმაც 9 ოქროს მედალი მოიპოვა, მანვე დაამყარა აბსოლიტური რეკორდი ერთ ოლიმპიადაზე 7 უმაღლესი სინჯის მედლის მოპოვებით. თავისი ხანმოკლე სპორტული კარიერის მანძილზე მსოფლიოს 33 რეკორდი დაამყარა. 1969, 1971 და 1972 წლებში აღიარებულ იქნა მსოფლიოს საუკეთესო მოცურავედ. როდესაც მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე პალესტინის ტერორისტული ორგანიზაციის დაჯგუფება „შავი სექტემბრის“ წევრებმა ისრაელის ოლიმპიური დელეგაციის 11 მონაწილე დახოცეს, მარკ სპიტცმა, პროტესტის ნიშნად, 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, 22 წლის ასაკში შეწყვიტა სპორტული კარიერა.

პაავო ნურმი (მე-3 ადგილი)



პაავო ნურმი, „მფრინავი ფინელი“ ყველაზე ტიტულოვანი მძლეოსანია ოლიმპიური თამაშების ისტორიაში. მან **1920 წლის ანტვერპენის, 1924 წლის პარიზის** და **1928 წლის ამსტერდამის** ოლიმპიურ თამაშებზე 12 ჯილდო მოიპოვა, რომელთაგან 9 ოქროს და 3 ვერცხლის მედალია. ამ წლებში პაავო ნურმიმ 24 ჯერ დაამყარა მსოფლიო რეკორდი რბენაში 1500 მეტრიდან 20 ათას მეტრამდე. მისი სახელის უკვდავსაყოფად ჰელსინკში, ოლიმპიური სტადიონის ტერიტორიაზე და ქალაქ ტურკუში დადგმულია ბრინჯაოს სკულპტურა. მისი სურათი გამოსახული იყო ფინურ 10-მარკიან ბანკნოტზე

ლარისა ლატინინა (მე-2 ადგილი)



ლატინინა ლარისა (სსრკ, უკრაინა). **ტანვარჯიში**. ოლიმპიური თამაშების 18-გზის მედალოსანი (9 ოქრო, 5 ვერცხლი, 4 ბრინჯაო), რაც ლეგენდარული მაიკლ ფელპსის გამოჩენამდე სარეკორდო მაჩვენებელი იყო ოლიმპიური სპორტის ისტორიაში. ლარისა ლატინინამ **4 ოქროს მედალი მოიპოვა 1956 წელს მელბურნში** (აბსოლუტური, თავისუფალი ვარჯიში, ხტომები, გუნდური), **3 ოქრო 1960 წელს რომში** (აბსოლუტური, თავისუფალი ვარჯიში, გუნდური) და **2 ოქრო 1964 წელს ტოკიოში** (თავისუფალი ვარჯიში, გუნდური). 1968, 1972, 1976 წლების ოლიმპიადებზე გამარჯვებული გუნდის - სსრკ ტანმოვარჯიშეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. ტანვარჯიშის დიდების დარბაზის წევრია 1998 წლიდან.

მაიკლ ფელპსი (პირველი ადგილი)



ამერიკელი მოცურავე მაიკლ ფელპსი უჩვეულო და განსაკუთრებული მოვლენაა მსოფლიო და ოლიმპიური სპორტის ისტორიაში, მისი მონაგარი ოლიმპიურ თამაშებზე 28 მედალია, რომელთაგან 23 ოქროა, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო (23 ოქროს მედლიდან 13 მოიგო ინდივიდუალურ გაცურვაში, 10 ესტაფეტაში). თუ ამ შედეგებს დავუმატებთ მსოფლიოსა (26 ოქრო) და ამერიკის შეერთებული შტატების (50ოქრო) ჩემპიონატებში მოპოვებულ გამარჯვებებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაიკლ ფელპსი უნიკალური მოვლენაა მსოფლიო სპორტში და მისი რეკორდების გაუმჯობესებას ალბათ საუკუნეები დასჭირდება.

მაიკლ ფელპსის შედეგები ოლიმპიურ თამაშებზე

ცხრილი N7

დისტანცია	2000 წელი	2004 წელი	2008 წელი	2012 წელი	2016 წელი
200 მეტრი თავისუფალი სტილი	—	3	1	—	—
100 მეტრი ბატერფლაი	—	1	1	1	2
200 მეტრი ბატერფლაი	5	1	1	2	1
200 მეტრი კომპლექსური ცურვა	—	1	1	1	1
400 მეტრი კომპლექსური ცურვა	—	1	1	4	—
ესტაფეტა **4×100** მეტრზე თავისუფალი სტილი	—	3	1	2	1
ესტაფეტა **4×200** მეტრზე თავისუფალი სტილი	—	1	1	1	1
კომბინირებული ესტაფეტა **4×100** ეტრზე	—	1	1	1	1

მე-8 ცხრილში მოცემულია იმ სპორტსმენების გვარები, რომლებსაც ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული აქვთ 7 და მეტი ოქროს მედალი

ცხრილი N8

№	სახელი, გვარი	ქვეყანა	სპორტის სახეობა	ოლიმპიადა	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ
1	მაიკლ ფელპსი	აშშ	ცურვა	2004-2016	23	3	2	28
2	ლარისა ლატინინა	სსრკ	სპორტული ტანვარჯიში	1956-1964	9	5	4	18
3	პაავო ნურმი	ფინეთი	მძლეოსნობა	1920-1928	9	3	0	12
4	მარკ სპიტცი	აშშ	ცურვა	1968-1972	9	1	1	11
5	კარლ ლიუისი	აშშ	მძლეოსნობა	1984-1996	9	1	0	10
6	მარიტ ბიორგენი	ნორვეგია	თხილამურებით რბოლა		8	4	3	15
7	ულე-ეინარ ბიორდალენი	ნორვეგია	ბიატლონი	1998-2014	8	4	1	13

8	ბიორნ დელი	ნორვეგია	თხილამურებით რბოლა	1992-1998	8	4	0	12
9	ბირგიტ ფიშერი	გერმანია	ნიჩბოსნობა	1980-2004	8	4	0	12
10	სავაო კატო	იაპონია	სპორტული ტანვარჯიში	1968-1976	8	3	1	12
11	ჯენი ტომპსონი	აშშ	ცურვა	1992-2004	8	3	1	12
12	მეტ ბიონდი	აშშ	ცურვა	1984-1992	8	2	1	11
13	რეი იური	აშშ	მძლეოსნობა	1900-1908	8	0	0	8
14	უსეინ ბოლტი	იამაიკა	მძლეოსნობა	2008-2016	8	0	0	8
15	ნიკოლაი ანდრიანოვი	სსრკ	სპორტული ტანვარჯიში	1972-1980	7	5	3	15
16	ბორის შახლინი	სსრკ	სპორტული ტანვარჯიში	1956-1964	7	4	2	13
17	ვერა ჩასლავსკა	ჩეხოსლოვაკია	სპორტული ტანვარჯიში	1960-1968	7	4	0	11
18	ვიქტორ ჩუკარინი	სსპკ	სპორტული ტანვარჯიში	1952-1956	7	3	1	11
19	ალად გერევიჩი	უნგრეთი	ფარიკაობა	1932-1960	7	1	2	10

სპორტსმენები, რომლებმაც 5 და მეტი ოლიმპიური ოქროს მედლები მოიგეს პირად შეჯიბრებებში (ინდივიდუალურად)

ცხრილი N9

#	სახელი, გვარი	ქვეყანა	სპორტის სახეობა	მედლების რ-ბა
1	მაიკლ პელპსი	აშშ	ცურვა	13
2	რეი იური	აშშ	მძლეოსნობა	8
3	ლარისა ლატინინა	სსრკ	ტანვარჯიში	7
4	ვერა ჩასლავსკა	ჩეხოსლოვაკია	ტანვარჯიში	7
5	კარლ ლუისი	აშშ	მძლეოსნობა	7
6	პაავო ნურმი	ფინეთი	მძლეოსნობა	6
7	ნიკოლაი ანდრიანოვი	სსრკ	ტანვარჯიში	6
8	ბორის შახლინი	სსრკ	ტანვარჯიში	6
9	ლიდია სკობლიკოვა	სსრკ	ციგურებით რბოლა	6
10	ბიორნ დელი	ნორვეგია	თხილამურები	6
11	უსაინ ბოლტი	იამაიკა	მძლეოსნობა	6

12	ვიქტორ ჩუკარინი	სსრკ	ტანვარჯიში	5
13	სავაო კატო	იაპონია	ტანვარჯიში	5
14	ულე ეინარ ბიორნდალენი	ნორვეგია	ბიატლონი	5
15	კლას ტურბერგ	ფინეთი	ციგურებით რბოლა	5
16	გერტ ფრედრიკსონი	შვედეთი	ნიჩბოსნობა	*5*
17	ნადია კამანეჩი	რუმინეთი	ტანვარჯიში	5
18	კრისტინა ეგერსეგი	უნგრეთი	ცურვა	5
19	ვიტალი შერბო	ბელორუსი	ტანვარჯიში	5
20	ბონი ბლაირი	აშშ	ციგურებით რბოლა	5
21	ერიკ ჰეიდენი	აშშ	ციგურებით რბოლა	5
22	მარიტ ბიორგენი	ნორვეგია	თხილამურებით რბოლა	5

40 – სპორტსმენს მოპოვებული აქვს 4-4 ოქროს მედალი
115 – სპორტსმენს კი 3-3 ოქროს მედალი

სპორტსმენები, რომლებმაც იასპარეზეს როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე და ოლიმპიური მედლები მოიპოვეს

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების 122-წლიანი ისტორიის მანძილზე სულ ოცდაცხრა სპორტსმენია, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე. მათგან ოლიმპიური მედლების მოპოვება კი მხოლოდ ხუთმა შეძლო.

ჩეხი კატერჟინა ნოიმანოვა, რომელიც ატლანტის 1996 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ველოსპორტში ცდიდა ძალებს, მაგრამ უმედლოდ დარჩა, სამაგიეროდ ზამთრის ოლიმპიური თამაშებზე თხილამურებით რბოლაში ჩემპიონი (2006 წ. ტურინი) და ოთხი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა (1998 -2006 წ.წ.)

ზამთრისა და ზახულის შვიდ ოლიმპიურ თამაშებზე ცდიდა თავის ძალებს ციგურებით მრბოლელი და ველოსიპედისტი **იაპონელი სეიკო ხაშიმოტო,** მაგრამ მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედლის მოგება შეძლო ალბერვილის 1992 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე (ციგურებით 1500 მეტრზე რბოლაში).

ბულგარელი ევგენია რადანოვა – მსოფლიოს რეკორდსმენი შორტ-ტრეკში (500 მეტრი – 43,671 წამი) მონაწილეობდა 2002 და 2006 წლებში სოლტ-ლეიკ-სიტისა და ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე და დღეისათვის ერთად - ერთი ევროპელი სპორტსმენია, რომელმაც შორტ-ტრეკში მოიპოვა მედალი (მესამე ადგილი 2006 წელს). ევგენია რადანოვა მონაწილეობდა ათენის 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე ველოსპორტში, მაგრამ უმედლოდ დარჩა.

იან ბოსი ირლანდიელი მოციგურავე და ველოსიპედისტი. საციგურაო სპორტში ორჯერ მოიპოვა ოლიმპიური ვერცხლის მედალი 1000 მეტრზე რბოლაში (1998 და 2002 წელს). იგი მონაწილეობდა ხუთ ოლიმპიურ თამაშებში, მათ შორის ოთხჯერ ზამთრის ოლიმპიადებზე (1998წ. ნაგანო, 2002 წ, სოლტ-ლეიკ-სიტი, 2006წ. ტურინი, 2010 წ. ვანკუვერი) და ერთხელ ველოსპორტში, ზაფხულის ოლიმპიადაზე 2004 წელს ათენში.

ჰეილი უიკენჰაიზერი კანადის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდის წევრი, კანადის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი, ოლიმპიური თამაშების ოთხგზის (2002, 2006, 2010 და 2014 წლების ოლიმპიური თამაშები) და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი. 2000 წელს მონაწილეობდა სიდნეის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე სოფტბოლში. 2014 წლის 20 თებერვალს არჩეულ იქნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრად.

უილბურ „ვილი“ დევენპორტი, ამერიკელი მძლეოსანი და ბობსლეისტი. 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი 110 მეტრზე თარჯრბენში. 1980 წელს მონაწილეობა მიიღო ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში და მისი ეკიპაჟი მე-12 ადგილზე გავიდა ოთხადგილიანი ბობსლეისტების შეჯიბრებაზე.

ჰანა მარიენი, ბელგიელი მძლეოსანი და ბეისბოლისტი. ოქროს მედალი მოიპოვა პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე 4 X 100 მეტრზე ამანათრბენში. 2014 წელს სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა ბობსლეიში (ორადგილიანში) და მეექვსე ადგილზე გავიდა. ჰანა მარიენი სოჭის ოლიმპიადაზე იყო ბელგიის დელეგაციის მედროშე

კრისტინ (კრის) დიანა უიტი ამერიკელი მოციგურავე და ველოსიპედისტი. სოლტ-ლეიკ-სიტის 2002 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ციგურებით 1000 მეტრზე რბენაში. ის მონაწილეობდა ზამთრის ოთხ (1994-2006 წლებში) და ზაფხულის სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშებში. არის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი

ზემოთ მოყვანილი სპორტსმენები მართალია მხოლოდ ერთ ოლიმპიურ თამაშებში იღებდნენ მედლებს, მაგრამ მსოფლიოში არის ხუთი სპორტსმენი, რომლებმაც ორივე (ზამთრისა და ზაფხულის) ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვეს მედლები.

ედვარდ პატრიკ ფრენსის იგანი (აშშ) – იგივე **ედი იგანი. დღეისათვის იგი ერთადერთი სპორტ-სმენია** მსოფლიო ოლიმპიური თამაშების ისტორიაში რომელმაც ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა როგორც ზაფხულის ისე ზამთრის ოლიპიურ თამაშებზე. პირველი ოქროს მედალი მან 1928 წლის ანტვერპენის ოლიმპიადაზე მოიგო კრივში. მისთვის მომდევნო ოლიმპიური თამაშები (პარიზი, 1924 წ.) უიღბლო აღმოჩნდა. პირველივე ორთაბრძოლა წააგო და ტურნირს გამოეთიშა. განაწყენებულმა იგანმა კრივს თავი დაანება და ბობსლეიში გადავიდა. 1932 წლის ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიადაზე, 34 წლის სპორტსმენმა ოქროს მედალი მოიპოვა.

ნორვეგიელი იაკობ ტულინ ტამსი, რომელმაც 1924 წელს პარიზის ზამთრის ოლიმპიადაზე იმარჯვა ტრამპინიდან ხტომაში. 12 წლის შემდეგ, ბერლინის 1936 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე კი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა საიალქნო სპორტში.

კრისტა ლუდინგ-როტენბურგერი (გერმანია), ოლიმპიური სპორტის ისტორიაში პირველი ქალია, რომელმაც მოიპოვა მედლები ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე. იგი მონაწილეობდა ზამთრის ოთხ (ლეიკ-პლესიდი-1980, სარაევო-1984, კალგარი-1988 და ალბერვილი-1992წ.წ) და ზაფხულის ერთ (სეული-1988წ.) ოლიმპიადაზე. ოქროს მედალი მოიგო 1984 წელს სარაევოში, 1988 წელს კალგარიში იგებს ოქროსა და ვერცხლის მედალს, შემდეგ 1988 წლის სეულის ზაფხულის თამაშებზე ვერცხლის მედალს იგებს ველოტრეკზე (სპრინტში). ეს უნიკალური სპორტსმენი გამორჩეულია იმათაც, რომ ერთი წლის მანძილზე ის ორივე ოლიმპიურ თამაშებზე იღებდა მონაწილეობას და ორივე შემთხვევაში მოიპოვა მედალი (1988 წლის თებერვალში კალგარიში და სექტემბერში სეულში).

კანადელი მოციგურავე და ველოსიპედისტი კლარა ჰიუზი ერთადერთი სპორტსმენია მსოფლიოში, რომელსაც ერთზე მეტი მედალი აქვს მოპოვებული როგორც ზაფხულის ისე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე. 1996 წელს ატლანტის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ჰიუზმა ორი ბრინჯაოს მედალი მოიგო ველოსპორტში (ინდივიდუალურ და გუნდურ რბოლაში), შემდეგ მთლიანად გადაერთო საციგურაო სპორტზე და იაპარეზა 2002 წელს სოლტ-ლეიკ სიტის (ბრინჯაოს მედალი 5000მ), 2006 წელს ტურინის (ოქრო 5000 მ. და ვერცხლი გუნდურში) და 2010 წელს ვანკუვერის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც თავის კოლექციას კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი მიუმატა (5000მ.).



ამერიკელი ლორინ უილიამსი მეხუთეა იმ სპორტ-სმენებიდან, რომელმაც ოლიმპიური მედლები მოიგო ზაფხუ-ლისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე. მან 2004 წელს ათენში ვერცხლის მედალი მოიგო 100 მეტრზე რბენაში და 2012 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ესტაფეტაში 4X100 მ. 2014 წელს კი სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა ბობსლეიში (ორადილიანი

სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობდნენ ზაფხულის და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მაგრამ მედლები ვერ მოიპოვეს

ცხრილი N10

სახელი, გვარი	ქვეყანა	ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე	ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე
ადამ მარკუს	დიდი ბრიტანეთი	მძლეოსნობა (1992)	ბობსლეი (2002)
ბრაიან ბარნეტი	კანადა	მძლეოსნობა (2008)	ბობსლეი (2014)
ტიმოტი ბეკი	ნიდერლანდები	მძლეოსნობა (2004)	ბობსლეი (2002)
ვსევოლოდ ბობროვი	სსრკ	ფეხბურთი (1952)	ჰოკეი (1956)
იან ბოსი	ნიდერლანდები	ველოსპორტი (2004)	ციგურებით რბოლა (1998, 2002, 2006, 2010)
ბობ ბუშე	კანადა	ველოსპორტი (1968)	ციგურებით რბოლა (1968)

ჰეილი ვიკენჰაიზერი	კანადა	სოფტბოლი (2000)	ჰოკეი (1998, 2002, 2006, 2010, 2014)
დეან ვიონოვიჩი	ხორვატია	მძლეოსნობა (2000)	ბობსლეი (2006)
სებასტიან გატუზო	მონაკო	მძლეოსნობა (2004, 2008)	ბობსლეი (2002, 2010, 2014)
ლოლო ჯონსი	აშშ	მძლეოსნობა (2008, 2012)	ბობსლეი (2014)
ვილი დევენპორტი	აშშ	მძლეოსნობა (1964,1968,1972, 1976)	ბობსლეი (1980)
ედი იგანი	აშშ	კრივი (1920, 1924)	ბობსლეი (1932)
უორმა კორტელაინენი	ფინეთი	აკადემიური ნიჩბოსნობა (1960)	თხილამურებით რბოლა (1956)
კოლინ კემპბელი	დიდი ბრიტანეთი	მძლეოსნობა (1968, 1972)	ბობსლეი (1976)
კრისტა როტერბურგერი	გერმანია	ველოსპორტი (1988)	ციგურებით რბოლა (1980, 1984, 1988, 1992)
ტერი მაკხიუ	ირლანდია	მძლეოსნობა (1988, 1992,1996, 2000)	ბობსლეი (1992, 1998)
ხანა მარიენი	ბელგია	მძლეოსნობა (**2008**)	ბობსლეი (2014)
ალექსანდრე მილენკოვიჩი	დამოუკიდებ. ოლიმპიური მონაწილეები	ველოსპორტი (1992)	თხილამურებით რბოლა (1992, 2006) და ბიატლონი (2006)
პოლ ნარაკოტი	ავსტრალია	მძლეოსნობა (2004)	ბობსლეი (2010, 2014)
კრის ნიკოლსონი	ახალი ზელანდია	ველოსპორტი (1992)	შორტ-ტრეკი(1992, 1994)
კატერჟინა ნოიმანოვა	ჩეხეთი	ველოსპორტი (1996)	თხილამურებით რბოლა (1998, 2002)
საიური ოსუგა	იაპონია	ველოსპორტი (2004)	ციგურებით რბოლა (2002, 2006)
იანა პიტემენი	ავსტრალია	მძლეოსნობა (2000, 2004)	ბობსლეი (2014)
ბელა სელეში	უნგრეთი	მძლეოსნობა (1928)	თხილამურებით რბოლა (1924)
ოლგა სტულნევა	რუსეთი	მძლეოსნობა (2004)	ბობსლეი (2010, 2014)
კრის უიტი	აშშ	ველოსპორტი (2000)	ციგურებით რბოლა (1994, 1998, 2002, 2006)
ტორსტენ ფოსი	გერმანია	მძლეოსნობა (1988)	ბობსლეი (1998)
ჯონ ფოსტერ უფროსი	ამერიკის ვირჯინიის კუნძულები	საიალქნო სპორტი (1972, 1976, 1984, 1988, 1992)	ბობსლეი (1988)
მიგელ ელისონდო	მექსიკა	მძლეოსნობა (1988)	ბობსლეი (1992)

სპორტის სახეობები, რომლებშიც ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტი მედლები თამაშდება

ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტი მედლები თამაშდება **მძლეოსნობასა(46) და ცურვაში(36).**

სპორტის ამ ორ სახეობაში მოპოვებული მედლებით აშკარა ჰეგემონია აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს. მათ საერთო ჯამში ოლიმპიურ თამაშებზე, 1896 წლიდან 2016 წლის ჩათვლით, მოიპოვეს 1354 მედალი (581 ოქრო, 431 ვერცხლი და 342 ბრინჯაო),

აქედან **მძლეოსნობაში – 801** (335 ოქრო, 259 ვერცხლი და 207 ბრინჯაო) და **ცურვაში – 533** (246 ოქრო, 172 ვერცხლი და 135 ბრინჯაო).

მე-10 ცხრილში მოყვანილია 10 ქვეყანა, რომლებსაც მეტი მედლები აქვთ მოპოვებული მძლეოსნობასა და ცურვაში (ცხრილი 10, 11).

10 ქვეყნის მედლების რაოდენობა მძლეოსნობაში (1896-2016)

ცხრილი N11

N	ქვეყანა	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ
1	აშშ	335	259	207	801
2	სსრკ	64	55	74	193
3	დიდი ბრიტანეთი	55	80	67	202
4	ფინეთი	48	36	30	114
5	გერმანია (გდრ)	38	36	35	109
6	კენია	30	37	26	93
7	პოლონეთი	25	18	14	57
8	იამაიკა	22	33	21	76
9	ეთიოპია	22	10	21	53
10	ავსტრალია	21	26	26	73

10 ქვეყნის მედლების რაოდენობა ცურვაში (1896-2016)

ცხრილი N12

N	ქვეყანა	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ
1	აშშ	246	172	135	553
2	ავსტრალია	60	64	64	188
3	გერმანია (გდრ)	38	32	22	92
4	უნგრეთი	28	25	20	73
5	იაპონია	22	26	32	80
6	ნიდელანდები	22	18	19	59
7	ინგლისი	16	28	30	74
8	გერმანია	13	19	29	59
9	ჩინეთი	13	19	11	43
10	სსრკ	12	21	26	61

ოლიმპიური
თამაშების
ყველაზე

ახალგაზრდა

მონაწილეები
და ჩემპიონები



უცნობი ოლიმპიური ჩემპიონი

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენად ითვლება უცნობი ნიჩბოსანი (მესაჭე) ბიჭუნა, რომელიც 1900 წელს, პარიზის ოლიმპიადაზე დაეხმარა ჰოლანდიის ნაკრებს და ოქროს მედალი მოაპოვებინა. მისი ზუსტი ასაკი დღემდე ცნობილი ცნობილი არ არის, მაგრამ ისტორიკოსების ვარაუდით ის 10 წელზე მეტის არ იქნებოდა.

ჟურნალმა „უოლ სტრიტ ჯორნალმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიელის ვინაობას ეძღვნება. ავტორს სურს გაიგოს ვინ არის ცნობილ ფოტოზე გამოსახული ყველაზე პატარა ოლიმპიელი. „ეს არის ოლიმპიადის ისტორიაში ყველაზე დიდი საიდუმლო,“ – ამბობს ოლიმპიადის ისტორიკოსების საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი დევიდ უოლეჩინსკი, რომელიც წლების მანძილზე აქტიურად ავრცებელდა ფოტოს იმ იმედით, რომ ვინმე მას ამოიცნობდა.

ფოტო 1900 წელს არის გადაღებული და მასზე ორ გამარჯვებულ ნიჩბოსან სპორტსმენთან ერთად პატარა ბიჭია გამოსახული. სტატიაში მისი ასაკისა და წარმომავლობის შესახებ რამდენიმე ვერსიაა ნახსენები. ცოტა ხნის წინ ახალი ჰიპოთეზა გაჩნდა: შესაძლოა ეს ბიჭი ქართველი იყოს.

რამოდენიმე ხნის წინ ოლიმპიადის ისტორიკოსების საერთაშორისო საზოგადოებამ ქართველი ისტორიკოსისა და ჟურნალისტის პაატა ნაცვლიშვილის წერილი მიიღო, რომელშიც იგი ამტკიცებს, რომ უცნობი ბიჭუნა წარმოშობით ქართველი გიორგი ნიკოლაძეა. ნაცვლიშვილის ვერსია ეფუძნება 1980 წელს ნიკოლაძის დასთან ინტერვიუს, რომელიც იხსენებს თუ როგორ მოიგო მისმა ძმამ „ნავების შეჯიბრი საფრანგეთში“ 1900 წელს.

თუმცა ჰოლანდიელი ისტორიკოსის, ანტონი ბიჟრეკის აზრით (სწორედ მან აღმოაჩინა, ფოტო 1960 წელს) „საიდუმლო ისევ საიდუმლოდ რჩება“.

ბერძენი დიმიტროს ლუნდრასი მონაწილეობდა თანამედროვეობის პირველ ოლიმპიურ თამაშებში 1896 ათენში საბერძნეთის ტანმოვარჯიშეთა გუნდის შემადგენლობაში და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ის ამ პერიოდისათვის 10 წლისა და 218 დღის იყო. ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ მან დაამთავრა საზღვაო სკოლა და მოგვიანებით ადმირალის წოდებაც მიიღო. მონაწილეობდა პირველ და მეორე მსოფლიო ომებში. ამავდროულად 19 წლის განმავლობაში იყო საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტის წევრი.



ოლიმპიური სპორტის ისტორაში ყველაზე ახალგაზრდა მოკრივე, რომელიც 1924 წელს პარიზის ოლიმპიადაზე ჩემპიონი გახდა, **16 წლის ამერიკელი ჯეკი ფილდსია.** მისი რეკორდი ძალიან დიდი ხნის მანძილზე არ გაუმჯობესდება, რადგან ამჟამინდელი წესების თანახმად ოლიმპიურ თამაშებზე კრივში მხოლოდ 18 წლის ზემოთ ასაკის სპორტსმენები დაიშვებიან, ფილდსის რეკორდი ხელშეუხებელი იქნება მანამ, სანამ წესებში ცვლილებები არ მოხდება.

ბრიტანელი ფიგურული მოსრიალე მაგდალენა სესილია კოლეჯი დაიბადა 1920 წლის 28 ნოემბერს და 1932 წლის ლეიკ პლესიდის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის დღეს ის იყო 11 წლისა და 73 დღის. ერთეულთა თანრიგში დაიკავა მე-8 ადგილი. 1936 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, სესილია კოლეჯიმ მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. 1937 წელს ხდება მსოფლიოს ჩემპიონი და 1937-39 წლებში ზედიზედ სამჯერ- ევროპის ჩემპიონი.აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ იგი იწყებს წარმატებულ სამწვრთნელო კარიერას, რისთვისაც 1980 წელს შეჰყავთ ამერიკის ფიგურული სრიალის ფედერაციის დიდების დარბაზში.

ამერიკელი მერჯორი გესტრინგი 13 წლისა და 268 დღის იყო როდესაც მონაწილეობა მიიღო 1936 წლის ბერლინის ოლიმპიადაზე. მან ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა წყალში ხტომაში(ტრამპლინი). სამწუხაროდ ეს მედალი პირველი და უკანასკნელი ოლიმპიური ჯილდო აღმოჩნდა ახალგაზრდა სპორტსმენისათვის. 1936 წლის ოლიმპიადის შემდეგ გესტრინგი სხვადასხვა შეჯიბრებებში იღებდა მონაწილეობას და ინტენსიურად ემზადებოდა მომდევნო ოლიმპიადებისთის, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა არ მისცა მას საშუალება მონაწილეობა მიეღო 1940 და 1944 წლებში ჩასატარებელ ოლიმპიურ თამაშებში.

1936 წელს, **დანიელი ინგე სორენსენი** იყო ყველაზე ახალგაზრდა ქალი ოლიმპიელი, რომელმაც მედალი მოიპოვა (ბრინჯაო, 200 მეტრზე ბრასში). ამ მედლის მოპოვების მომენტში ის 12 წლისა და 24 დღის იყო.

17 წლის **ამერიკელი რობერტ ბრიუს „ბობ“ მატიასი** ოლიმპიური თამაშების ისტორიაში არის ყველაზე ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ოქროს მედალი მოიგო მძლეოსნობაში. ლონდონის 1948 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მან ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ათჭიდში. იგი ჩემპიონი გახდა მომდევნო თამაშებზეც, 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადაზე. მატიასმა ორჯერ დაამყარა მსოფ-ლიოს რეკორდი 1950 და 1952 წლებში. ჰელსინკის შემდეგ მან მძლეოსნობას თავი დაანება და გადავიდა ამერიკულ ფეხბურთზე. 1953 წლიდან გამოდიოდა „ვაშინგტონ რედს-კინგზის“ შემადგენლობაში. სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ მსახურობდა საზღვაო ფლოტში, გადაღებულია კინოში. მოგვიანებით ხდება პოლიტიკოსი, 1967-1975 წლებში იყო აშშ- წაპმომადგენლობითი პალატის წევრი კალიფორნიის შტატიდან.

ოსლოს 1952 წლის ოლიმპიადაზე ასპარეზობდა **ფრანგი ფიგურული მოციგურევე ალენ ჟილეტი.** მართალია მან ერთეულთა თანრიგში მეშვიდე ადგილი დაიკავა, მაგრამ 12 წლის მოზარდისათვის ეს დიდი მიღწევა იყო. ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში იგი დღემდე რჩება ყველაზე მცირეწლოვან სპორტსმენად. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოსლოს ოლიმპიადიდან 8 წლის შემდეგ, 1960 წელს, ის იგებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს.

ამერიკელი მოცურავე **დონა ელიზაბეტ დე ვერონა** ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონია. რომის 1960 წლის ოლიმპიურ თამაშებზე იგი 13 წლის იყო. მართალია ვერცერთი სინჯის მედალი ვერ მოიგო, მაგრამ მომდევნო თამაშებზე, 1964 წელს ტოკიოში, ორი ოქრო მოიგო (400 მ. კომბინირებულსა და ესტაფეტაში 4 x 100 მ. თავისუფალი სტილით).

კლაუს ზერტა. გერმანელი ნიჩბოსანი (მესაჭე), რომის 1960 ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. ამ პერიოდისათვის ის 13 წლისა და 283 დღის იყო.



გერმანელი ფიგურული მოციგურავე **იან ხოფმანი,** 1968 წლის გრენობლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის დღეს იყო 12 წლის და 111 დღის. იგი ზამთრის ოთხ ოლიმპიადაზე (1968, 1972, 1976, 1980წწ) მონაწილეობდა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ – 1980 წელს მოიპოვა ვერცხლის მედალი. 1973-80 წლებში ორჯერ გახდა მსოფლიოს და ოთხჯერ ევროპის ჩემპიონი.

რუმინელი სპორტსმენი, ხუთგზის ოლიმპიური ჩემ-პიონი ტანვარჯიშში, **ნადია კომანეჩი** 15 წლის იყო როდესაც 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადაზე ხუთი მედალი მოიპოვა (სამი ოქრო და ორი ვერცხლი). მის კოლექციაში ცხრა ოლიმპიური მედალია (ხუთი ოქრო, სამი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო). ნადია კომანეჩი ევროპის ცხრა გზის და მსოფლიოს ორ გზის ჩემპიონია.

1988 წლის სეულის ოლიმპიურ თამაშებზე სენსაციის ავტორი გახდა 14 წლის **უნგრელი მოცურავე კრისტინა ეგერსეგი.** მსოფლიო სპორტული საზოგადოებისათვის უცნობმა გოგონამ ყველა გააოცა, როდესაც 200 მეტრზე ზურზე ცურვაში ყველას აჯობა და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მომდევნო დღეს კი მეორე ადგილი დაიკავა 100 მეტრზე ცურვაში, სადაც წამის მეასედებში წააგო სახელმოხვეჭილ გერმანელ კრისტინ ოტოსთან, რომელიც ამ ოლიმპიადის გმირად იცა (მან ექვსი ოქროს მედალი მოიპოვა). კრისტინა ეგერსეგი არის ოლიპიური თამაშების ხუთგზის (1988 წელს – სეულში-1, 1992 წელს ბარსელონაში – 3, 1996 წელს ატლანტაში – 1 ოქროს მედალი), მსოფლიოს ორგზისა და ევროპის 9-გზის ჩემპიონი.

ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონმა, **ჩინელმა წყალში მხტომელმა ფუ მინსიამ** 1988 წელს 11 წლის ასაკში მოიგო კეთილი ნების თამაშები. მომდევნო წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ხოლო 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა 10 მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. იგი ამ მომენტისათვის 13 წლის და 345 დღის იყო. ფუ მინსია მსოფლიო სპორტის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენია, რომელმაც 12 წლის ასაკში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

14 წლის (13 წლისა და 276 დღის) **იაპონელმა მოცურავემ, კიოკო ივასაკიმ,** 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა 200 მეტრზე ცურვაში.

ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონია **ფინელი ტრამპლინიდან მხტომელი ტონი ნიემინენი, მან** 16 წლის ასაკში, ალბერვილის 1992 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ორი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მისი სპორტული ფორის პიკი 15-16 წლის ასაკზე მოდის. ალბერვილის ოლიმპიადაზე ტომი ნიემინენი ასარეზობდა, რო-გორც მსოფლიოს აბსოლიტური ჩემპიონი.

1994 წელს ლილეჰამერში **სამხრეთ კორეელმა კიმ იუნ მიმ** ოქროს მედალი მოიპოვა ციგურებით რბოლაში. იგი ჩემპიონი გახდა ესტაფეტაში 3000 მეტრზე. კიმ იუნ მი ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიადის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი იყო. (13 წლისა და 85 დღის). ოთხი წლის შემდეგ ნაგანოში მან ესტაფეტაში კვლავ ოქროს მედალი მოიპოვა. იგი სამჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და ისევ ესტაფეტებში.

1996 წლის ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე **ამერიკის ტანმოვარჯიშეთა გუნდი,** რომელიც შვიდი ახალგაზრდა გოგონასგან შედგებოდა, ცნობილი იყო როგორც „შესანიშნავი შვიდეული“ და მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე 14 წლის **დომენიკ მოკენაუ** იყო. მიუხედავად ტრავმისა, მან მაინც შეძლო შეჯიბრებებზე გამოსვლა და თავის გუნდს დაეხმარა ოქროს მედლის მოპოვებაში. ამ გამარჯვების შემდეგ ის გახდა მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ოქროს მედალოსანი ტანმოვარჯიშე.

ამერიკელი ფიგურული მოციგურავე ტარა ლიპინსკი 15 წლისა და 255 დღის იყო, როდესაც პირველი ოქროს მედალი მოიპოვა 1998 წლის ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადაზე. ამ ოლიმპიადის შემდეგ მან დატოვა სამოყვარულო სპორტი და პროფესიონალებში გადავიდა. 17 წლის ასაკში მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული პროფესიონალთა შორის და ფიგურული სრიალის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პროფესიონალი ჩემპიონი გახდა. სამწუხაროდ სისტემატურმა ტრავმებმა აიძულა 19 წლის ლიპინსკის თავი დაენებებინა სპორტისათვის და სამსახიობო კარიერა გაეგრძელებინა.

ამერიკელი ფიგურული მოციგურავე სარა ჰიუზი 16 წლის ასაკში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე. 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.

კარლი რეი პატერსონი ამერიკელი ტანმოვარჯიშე, რომელიც 16 წლის ასაკში გახდა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ათენის 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. კარლი პატერსონმა ოქროს მედალი მოიპოვა მრავალჭიდში. აღსანიშნავია, რომ სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ ის ძალებს ცდიდა საესტრადო მომღერლის ამპლუაში.

2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა **ლიტველი რუტა მეილუტიტე.** მან 15 წლის ასაკში მოიპოვა ოქროს მედალი ბრასით ცურვაში 100 მეტრიან დისტანციაზე. იგი ერთადეთი მოცურავეა ლიტვის ისტორიაში, რომელსაც მოპოვებული აქვს ოლიმპიური მედალი. მის სპორტულ კოლექციაში ასევე არის მსოფლიო ჩემპიონატების ექვსი (3-ოქრო, 3-ვერცხლი) და ევროპის ჩემპიონატების ორი (1-ოქრო, 1-ვერცხლი) მედალი.

იულია ლიპნიცკაია გახდა ოლიმპიური სპორტის ისტორიაში ყველაზე მცირეწლოვანი ოლიმპიური ჩემპიონი ფიგურულ მოციგურავე ქალთა შორის. სოჭის 2014 წლის ოლიმპიადამდე ეს ტიტული ამერიკელ ტარა ლიპინსკის ეკუთვნოდა, როცა 15 წლისა და 255 დღის გოგონამ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 1988 წლის ნაგანოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე. იულია ლიპნიცკაია ოლიმპიური ჩემპიონი გახდა როცა ის 15 წლისა და 249 დღის იყო.

ოლიმპიური
თამაშების
ყველაზე
ხანდაზმული
მონაწილეები
და ჩემპიონები

მსოფლიო ოლიმპიური სპორტის ისტორიაში ყველაზე ხანდაზმული ოლიმპიური თამაშების მონაწილე და ჩემპიონი არის შვედი ტყვიის მსროლელი **ოსკარ ჰომერ სვანი.** იგი მონაწილეობდა სამ ოლიმპიურ თამაშებზე (1908 წელს ლონდონში, 1912 წელს სტოკჰოლმში და 1920 წელს ანტვერპენში) და მოპოვებული აქვს სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი. ოსკარ სვანი არის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონის **ალფრედ სვანის მამა.** როდესაც ოსკარ სვანმა 1908 წელს თავისი პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა იგი 60 წელს გადაცილებული იყო, 1920 წელს უკვე 72 წლის უხუცესმა სპორტსმენმა მოიგო ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი. მამა შვილმა - **ოსკარ და ალფრედ სვანებმა სამ ოლიმპიურ თამაშებზე მოიგეს 15 მედალი** (მათ შორის სამ-სამი ოქრო) და თანამედროვე ოლიმპიური სპორტის ისტორიაში შევიდნენ, როგორც ყველაზე წარმატებული დინასტია.

ოსკარ სვანის შემდეგ ყველაზე ხანდაზმულია ავსტრიელი **ცხენოსანი არტურ ფონ პონგრაცი,** რომელმაც 72 წლის ასაკში იასპარეზა ბერლინის 1936 წლის ოლიმპიადა.

იაპონელი ცხენოსანი **იროსი ხეკეცუ** – ზაფხულის 1964, 2008 და 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილეა. იგი რეკორდსმენია თავის პირველ და ბოლო ოლიმპიურ თამაშებში მონაწლეობის პერიოდით - 48 წელი. თავდაპირველად მან 23 წლის ასაკში მიიღო მონაწილეობა ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, ბოლოს კი 71 წლის ასაკში იასპარეზა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე



1904 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე **ამერიკელმა მშვილდოსანმა გალენ კარტერ სპენსერმა** 64 წლის ასაკში გუნდურ შეჯიბრებებში ოქროს მედალი მოიგო.

ამერიკელი მშვილდოსანი **რობერტ უილიამსი** 63 წლის ასაკში მონაწილეობდა სენტ-ლუისის 1904 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც მან ერთი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ბრიტანელმა **ჯერი მილნერმა,** რომელიც დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის სახელით ასპარეზობდა 1908 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე, 61 წლის ასაკში მოიგო ოქროს მედალი ტყვიის სროლაში .

ოლიმპიური სპორტის ისტორიაში ქალთა შორის ყველაზე ასაკოვან ოლიმპიელად რჩება ინგლისელი ცხენოსანი ლორნა ჯონსტონი. მან მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში 70 წლის ასაკში მიიღო მონაწილეობა და 33 მონაწილეთა შორის მე-12 ადგილი დაიკავა.

ამერიკელმა მშვილდოსანმა, **ლიდა პეიტონ „ელიზა“ პულოკმა,** 1904 წლის სენტ-ლუისის მესამე ოლიმპიურ თამაშებზე 63 წლის ასაკში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

რეკორდსმენი გულშემატკივარი

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში უნიკალურია **ამერიკელი გულშემატკივარის – ჰარი ნელსონის** რეკორდი. 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადა, 90 წლის მაყურებლისათვის, რიგით მეთვრამეტე იყო. პირველად ის, 10 წლის ასაკში, 1932 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებს დაესწრო. 1936 წლის ოლიმპიადაზე ბერლინში, 14 წლის სკოლის მოსწავლე ჰარი, მშობლებმა არ გაუშვეს. შემდგომ 1948 წლიდან 2012 წლის ჩათვლით ყველა ოლიმპიურ თამაშებს დაესწრო. ის იყო მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიდაზეც, მიუხედავად იმისა, რომ ბოიკოტის გამო მისი ქვეყანა თამაშებში არ მონაწილეობდა.

სახელგანთქმული ოლიმპიური ჩემპიონების სამსახიობო კარიერა

პეტერ ჯონი ვაისმიულერი – ოლიმპიური თამაშების ხუთგზის ჩემპიონი ცურვაში. 1924 წელს პარიზის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე იმარჯვა სამ დისტანციაზე (100, 400, 4 x 200 თავისუფალი სტილი), ხოლო ამსტერდამის 1928 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ორი ოქროს მედალი (100, 4 x 200 მ თავისუფალი სტილი). ჯონი ვაისმიულერი აშშ-ის 52-გზის ჩემპიონია, დამყარებული აქვს მსოფლიოს 28 რეკორდი. იგი მსოფლიოში პირველი მოცურავეა, რომელმაც 100-მეტრიანი დისტანცია წუთზე ნაკლებ დროში (58,6წმ) დაფარა. მაიკლ ფელპსა და მარკ სპიცთან ერთად აღიარებულია მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მოცურავედ. გარდა ცურვისა, მის ოლიმპიურ მედლების კოლექციაში არის ბრინჯაოს მედალიც, რომელიც მან 1924 წლის ოლიმპიადაზე აშშ- ნაკრებთან ერთად მოიგო წყალბურთში. სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ სახელი გაითქვა, როგორც მსახიობმა, 1934-48 წლებში 19 ფილმში შეასრულა ტარზანის როლი

სონია ჰენი - ნორვეგიელი ფიგურული მოციგურავე, შემდგომში ამერიკული კინოს ვარსკვლავი. 9 წლის ასაკიდან მონაწილებს ნორვეგიის ჩემპიონატში (დიდების). 11 წლის ასაკში კი მერვე ადგილს იკავებს შამონის ზამთრის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე 1924 წელს.

პირველი და ერთადერთი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ფიგურულ სრიალში. სონია ჰენიმ ერთეულთა თანრიგში ოქროს მედლები მოიპოვა 1928, 1932 და 1936 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე. სონია ჰენიმ 1927-1936 წლებში ზედიზედ ათჯერ მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ექვსჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი (1931-1936 წწ). ჰენიმ 1936 წელს 24 წლის ასაკში თავი დაანება სამოყვარულო სპორტს და გახდა ჰოლივუდის ყინულის ბალეტის ვარსკვლავი. 1941 წელს მიიღო ამერიკის მოქალაქეობა. გადაღებულია 27 ფილმში.

ტონი ზაილერი – ავსტრიელი სამთო მოთხილამურე, 1956 წელს იტალიის საკურორტო ქალაქ კორტინა დამპეცოში, ზამთრის მე-14 ოლიმპიურ თამაშებზე მან აბსოლუტურ წარმატებას მიაღწია, ყველა დისციპლინა დიდი უპირატესობით მოიგო და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. იგი თამაშების გმირად აღიარეს. მას ძალიან დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად 23 წლის ტონიმ სპორტს თავი დაანება და ასევე მოულოდნელად იქცა კინო მსახიობად. მან სულ 32 ფილმში ითამაშა და მათ შორის 22 ფილმში მთავარი როლი ჰქონდა. იაპონიაში, ორმა ფილმმა, რომელშიც ტონი ზაილერი მთავარ როლს ასრულებდა მაყურებელთა დასწრების მაჩვენებლით საგრძნობლად აჯობა ჰოლივუდის საკასო ჩემპიონს - „ქარწაღებულებს“. კინომსახიობასთან ერთად ტონი ზაილერს სიმღერის ნიჭიც აღმოაჩნდა. მის მიერ გამოცემული 18 დისკი საკმაო პოპულარობით სარგებლობდა, არანაკლები პოპულარობა მოიპოვა მისმა მემუარებმა-„ჩემი გზა სამი ოლიმპიური მედლისაკენ“. ამ ავტობიოგრაფიული წიგნის ტირაჟმა, რომელიც გერმანულ, იაპონურ, ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოიცა, 250 000 ათასი ეკზემოლარი შეადგინა.

სამეფო ოჯახის წევრები ოლიმპიურ თამაშებზე

თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებზე, რომლის სათავე 1896 წლიდან იწყება, სხვა სპორტსმენებთან ერთად სხვადასხვა ქვეყნის 20 მონარქი და სამეფო ოჯახის წევრი იღებდა მონაწილეობას. მათგან ოლიმპიური ჩემპიონი ოთხი, ვერცხლის პრიზიორი-ორი და ბრინჯაოს მედსალოსანი სამი წარმომადგენელი გახდა. სამეფო ოჯახის წევრთა უმეტესობა ცხენოსნობასა (8) და აფროსნობაში (8) ღებულობდა მონაწილეობას, ხოლო დანარჩენი ოთხი მონაწილეობდა ბობსლეიში, ტყვიის სროლაში, ხელბურთსა და სამთო-სათხილამურო სპორტში.

გრაფი ჰერმან ალექსანდრე დე პურტალე

შვეიცარიელი **გრაფი ჰერმან ალექსანდრე დე პურტალემ** სამეფო ოჯახის წარმომადგენლებიდან პირველმა, მსოფლიო ოლიმპიური სპორტის ისტორიაში, პარიზის 1900 წლის მეორე ოლიმპიურ თამაშებზე ოლიმპიური თამაშები ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა აფროსნობაში. თავის ეკიპაჟთან ერთად მან პარიზის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალიც მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ამ წარმატებას მან თავის მეუღლესთან **გრაფინია ჰელენ დე პურტალესთან** და ძმიშვილთან ბერნარდ დე პურტალესტან ერთად მიაღწია.



ჰერმან ალექსანდრე დე პურტალე

გრაფინია ჰელენ დე პურტალე

ნორვეგიის მეფე ულაფ მეხუთე



ნორვეგიის მეფის ჰაკონ მეშვიდეს მემკვიდრემ კრონპრინცმა ულაფმა, სამეფო ოჯახის წარმომადგენლებიდან მეორემ მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ოქროს მედალი ამსტერდამის 1928 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე. კრონპრინცმა ულაფმა საკუთარი ნავით („ნორმა“) მოიგო შეჯიბრება აფროსნობაში. გარდა აფროსნობისა იგი გატაცებული იყო თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომითაც. 1975 წელს იგი გახდა ნორვეგიის მეფე. ულაფ მეხუთე თავის ქვეყანას 34 წელი (1991 წლამდე) მართავდა.

საბერძნეთის მეფე კონსტანტინე მეორე

სამეფო ოჯახის მესამე წამომადგენელმა, საბერძნეთის უკანასკნელმა მეფემ (მეფობდა 1964-1974 წლებში) კონსტანტინე მეორემ ასევე აფროსნობაში („დრაკონის“ კლასში), ყველას აჯობა რომის 1960 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე. მაშინ პრინცი კონსტანტინე 20 წლის იყო. გამარჯვება მან თავის თანაგუნდელებთან – ოდისეუს ესკიტზოღლუსა და გეორგიოს ზაიმისოსთან ერთად მოიპოვა. სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ იგი აქტიურად მონაწილეობდა საბერძნეთისა და საერთაშორისო სპორტის შედგომი განვითარების საქმეში. 1963 წლიდან 1974 წლამდე იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი, 1967-1973 წლებში, სოკ-ის საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის საკითხების კომისიის წევრი. 1974 წლიდან სოკ-ის საპატიო წევრი.

ინგლისის დედოფლის ელიზაბეტ მეორის სიძე – მარკ ფილიპსი

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში მარკ ფილიპსი (მარკ ენტონი პიტერ ფილიპსი) ერთ-ერთი გამორჩეული და იღბლიანი სპორტსმენია, იგი სამეფო ოჯახის წევრად სპორტის წყალობით გახდა. სწორედ ცხენოსნობაში ვარჯიშის დროს გაიცნო მან პრინცესა ანნა, ინგლისის დედოფ-ლის ელისაბედ მეორისა და ედინბურგის ჰერ-ცოგის პრინც ფილიპის ერთადერთი ქალიშვი-ლი, რომელიც ასევე გატაცებული იყო ცხენოსნობით.მარკ ფილიპსმა მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი გუნდურ სამჭიდში მოიგო. 16 წლის შემდეგ, 1988 წელს სეულში იგი კვლავ გამოდის გუნდურ სამჭიდში და ამჯერად ვერცხლის მედალს იგებს.

პრუსიის პრინცი ფრიდრიხ კარლი

1912 წლის სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებზე ცხენოს-ნობაში ასპარეზობდა გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ მეორის ძმისშვილი, პრუსიის პრინცი, 19 წლის ფრიდრიხ კარლი (რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა). ის სამეფო ოჯახიდან ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო ცხენოსანთა ტურნირზე. სამწუხაროდ ფრიდრიხ კარლი 1917 წელს დაიღუპა პირველ მსოფლიო ომში.

ესპანეთის მეფის - ხუან კარლოს-1 სიძე ინიაკი ურდანგარინ ლიბარტი

მისი აღმატებულება **დონ ინიაკი ურდანგარინ ლიბარტი,** პალმა დე მალიორკის ჰერცოგი, ესპანეთის გრანდი - ასე ჟღერს ხელბურთში ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორის ოფიციალური სახელი. იგი სამეფო ოჯახის წევრი ისე, როგორც მარკ ფილიპსი, სპორტის წყალობით გახდა. მან ბრინჯაოს მედლები ესპანეთის ნაკრებთან ერთად 1996 წელს ატლანტისა და 2000 წელს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა. გარდა ამისა იგი ბარსელონას გუნდის შემადგენლობაში ათჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, ექვსჯერ ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული და ოთხჯერ ევროპის სუპერ თასის ფლობელი. 1977 წელს მან ცოლად შეირთო ესპანეთის მეფის ხუან კარლოსისა და დედოფალ სოფიას ქალიშვილი კრისტინა.

დანიის პრინცესა ნატალი

დანიის დედოფლის მარგარეტის დისშვილი პრინცესა ნატალი (საინ-ვიტენშტეინ-ბერლებურგელი) ბავშობიდან გატაცებული იყო ცხენოსნობით. პატარა ნატალის სანუკ-ვარი ოცნება ოლიპიურ თამაშებზე გამოსვლა იყო. ამიტომ იგი თავდაუზოგავად და დიდი მონდომებით ვარჯიშობდა თავის საყვარელ სპორტის სახეობაში. 2000 წლიდან ის დანიის ნაკრების წევრია. 2008 წელს ახდა მისი დიდი ხნის ოცნება. მან წარმატებით იასპარეზა პეკინის ოლიმპიადაზე და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ინგლისის დედოფლის ელიზაბეტ მეორის შვილიშვილი - ზარა ფილიპსი

ზარა ფილიპსი, ინგლისის დედოფალის უფროსი შვილიშვილი, პრინცესა ანნასა და ცხენოსნობაში ოლიმპიური თამაშების ჩემპი-ონის მარკ ფილიპსის ქალიშვილი, ბავშვობი-დანვე გატაცებული იყო ცხენოსნობით. მან 2008 წლის ოლიმპიადის საგზური კი მოიპოვა მაგრამ თავისი ცხენის ტრავმის გამო ვერ შეძლო ასპარეზობა. ოთხი წლის შემდეგ იგი უკვე ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას იგებს და წარმატებითაც გამოდის. ზარა ფილიპსი ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელი ხდება გუნდურ სამჭიდში. იგი არის მსოფლიო ჩემპიონი და ცხენების დიპლომირებული ფიზიოთერაპევტი.

1912 წლის სტოკჰოლმის ოლიმპიადაზე მონა-წილეობდა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მეორის შვილიშვილი და რუსეთის იმპერიის უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ მეორის ბიძაშვილი, **დიდი თავადი დმიტრი პავლოვიჩი.** ის ცხენოსნობაში ასპარე-ზობდა და საბოლოო ჯამში პირად პირველობაზე მე-9 ადგილი დაიკავა, ხოლო გუნდურში მეხუთე.

გუსტავ ადოლფი, შვეციის პრინცი. მონაწილეობდა ბერლინის 1936 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში ცხენოსნობაში.

ბირაბონგზე ბანუდეი ბანუბანდი – სიამის პრინცი (ევროპაში ცნობილია როგორც **პრინც ბირა**) აფროსანი. მონაწილეობდა 1956, 1960, 1964 და 1972 წლების ოლიმპიურ თამაშებში (მელბურნი, რომი, ტოკიო, მიუნხენი).

ჰარალდ მეხუთე – ნორვეგიის მოქმედი მეფე (ტახტზე ავიდა 1991 წლის 17 იანვარს), 1928 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, მეფე ულაფ მეხუთეს შვილი, მონაწილეობდა 1964 წელს ტოკიოს, 1968 წელს მეხიკოს და 1972 წელს მიუნხენის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში აფროსნობაში. 1987 წლის მსოფლიო ჩენპიონი. 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე იყო ნორვეგიის დელეგაციის მედროშე

ალბერტ მეორე – ჰერცოგი, მონაკოს მმართველი თავადი, სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს შორის ერთადერთი, რომელმაც ზამთრის ხუთ ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა (ბობსლეიში). მონაწილეობდა 1988, 1992, 1994, 1998 და 2002 წლების (კალგარის, ალბერვილის, ლილეჰამერის, ნაგანოს და სოლტ-ლეიკ-სიტის) თამაშებში. 1985 წლიდან არის სოკ-ის წევრი.

ხუან კარლოს პირველი – ესპანეთის მეფე 1975 წლის 22 ნოემბრიდან 2014 წლის 18 ივნისამდე (ბურბონთა დინასტია). ესპანეთის სახელმწიფოს მეთაური და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. გენერალ-კაპიტანი. მონაწილეობდა მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში. აფროსნობაში, სამადგილიანი ნავით დაიკავა მე-15 ადგილი.

ინფანტა კრისტინა – პალმა დე მალიორკის ჰერცოგი, ესპანეთის მეფის ხუან კარლოს პირველის ქალიშვილი. აფროსნობაში მონაწილეობდა სეულის 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებში. იყო ესპანეთის ნაკრების მედროშე. ისიც თავის მამასავით უმედლოდ დარჩა.

ესპანეთის მეფე ფილიპე – მისი უდიდებულესობა დონ ფელიპე ხუან პაბლო ალფონსო დე ტოდოს ლოს სანტოს დე ბორბონ და გრესია. ასტურიის, ვიანის და ჟერონის პრინცი, მონბლანის ჰერცოგი, სერვერის გრაფი, სენიორ ბალაგერი, ესპანეთის მეფის ხუან კარლოსის შვილი, 2014 წლის 18 ივნისიდან ესპანეთის მეფე. აფროსნობაში მონაწილეობდა ბარსელონას 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში. იყო ესპანეთის ნაკრების მედროშე. დაკავა მე-6 ადგილი.



აღა-ხან მეოთხე (წამდვილი სახელი – შახ კარიმ ალ-ჰუსაინი) - პრინცი, 20 წლის ასაკში გახდა მუსულმან ისლამიტების სულიერი ლიდერი, წინასწარმეტყველი მუჰამედის პირდაპირი მემკვიდრე. დაიბადა შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, ბავშვობა კენიის დედაქალაქ ნაირობიში გაატარა. 1959 წელს წარჩინებით დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი. პატარაობიდანვე გატაცებული იყო სხვა-დასხვა სპორტის სახეებით, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებზე ინსბრუკში 1964 წელს სამთო სათხილამურო სპორტში იასპარეზა.

პრინცესა ჰაია ბინტ ალ-ჰუსეინი – იორდანიის ამჟამინდელი მეფის აბდალა მეორის ღვიძლი და. იგი, როგორც ცხენოსანი, იორდანიის სამეფოს წარმოადგენდა სიდნეის 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. აღსანიშნავია, რომ 1992 წელს ჰაიამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა პანარაბულ თამაშებზე და ერთადერთი მანდილოსანი შეიქნა პანარაბული თამაშების ისტორიაში ვინაც მედალი მოიპოვა. დღეისათვის იგი ერთადერთი არაბი ქალია, რომელმაც იასპარეზა მსოფლიო ჩემპიონატზე (2002 წელს). 2006 წელს ჰაია ბინტ ალ-ჰუსეინი არჩეულ იქნა საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად. ამავდროულად არის სოკ-ის წევრი.

პრინცესა ანნა – ინგლისის დედოფლის ელისაბედ მეორის ერთად-ერთი ქალიშვილი, მონაწილეობდა 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადაზე ცხენოსნობაში, დაიკავა 24-ე ადგილი. 1986-1994 წლებში იყო საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი და სოკ-ის წევრი.

ჯეფრი ბალკიახი – ბრუნეის პრინცი. მონაწილეობდა 1996 წლის ატლანტისა და 2000 წლის სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში. იგი მსოფლიო სამეფო ოჯახის ისტორიაში ერთადერთი წარმომადგენელია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სასტენდო სროლაში.

პირველად ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში

პირველად, ოლიმპიური ფიცი წაკითხული იქნა 1920 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ბელგიელი **ვიქტორ ბოინომის** მიერ. ოლიმპიური ფიცის ტექსტი შემუშავებული იქნა პიერ დე კუბერტენის მიერ 1913 წელს. ოლიმპიური ქარტიის თანხმად, ოლიმპიურ ფიცს სდებს იმ ქვეყნის წარმომადგენელი, სადაც ტარდება ოლიმპიური თამაშები.

პირველად, ოლიმპიური დროშის ოფიციალური აღმართვის ცერემონიალი გაიმართა **1920 წლის** 20 აპრილს ანტვერპენის მე-7 ოლიმპიურ თამაშებზე.

პირველად, ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ოლიმპიური ცეცხლი აანთეს ნიდერლანდების დედაქალაქ **ამსტერდამის 1928 წლის** თამაშებზე. სადაც სპეციალურად იქნა აშენებული კოშკი ფიალით.

პირველად, 1936 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოხდა ათენიდან ბერლინში ოლიმპიური ცეცხლის ჩირაღდანის ჩატანა ესტაფეტით.

- **პირველი,** მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში, მთავარი ატრიბუტის – ოლიმპიური ჩირაღდნის მატარებელი იყო ბერძენი **კონსტანტინოს კონდილისი.**
- **პირველმა,** მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში, სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლი აანთო გერმანელმა **ფრიც შილგენმა.**

პირველად ოლიმპიური სპორტის ისტორიაში ოლიმპიური ცეცხლი სტადიონზე აანთო ქალმა, მექსიკელმა მძლეოსანმა **ენრიკეტა ბასილიომ 1968 წელს** მეხიკოს მე-19 ოლიმპიურ თამაშებზე.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების 122-წლიანი ისტორიის მანძილზე ერთსა და იმავე ოლიმპიურ თამაშებში 70-ჯერ მონაწილეობდა მამა- შვილი.

ხოლო დედა-შვილმა სამჯერ იასპარეზეს ოლიმპიურ თამაშებში.

- პარიზის 1900 წლის ოლიმპიადაზე, გოლფის ტურნირზე მსოფლიოში პირველად გამოვიდნენ **დედა მერი აბოტი** და მისი **ქალიშვილი – მარგარეტ აბოტი.** ახალგაზრდა მარგარეტ აბოტი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, დედამისმა მერიმ კი მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა.
- 1908 წელს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობდნენ **დედა შვილი,** ბრიტანელი მშვილდოსნები **ჯესი ვადვორთი და მისი ქალიშვილი ბრენდა ვადვორთი.** ამ ოლიმპიადაზე დედამ – მეოთხე ადგილი, ხოლო მისმა ქალიშვილმა – მეცხრე ადგილი დაიკავა.

2016 წელს რიო დე ჟანეიროში, ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად იასპარეზეს დედამ და ვაჟიშვილმა – **ნინო სალუქვაძემ და ცოტნე მაჭავარიანმა,** ისინი პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში გამოდიოდნენ.

ოლიმპიური თამაშების პირველი მრავალგზის ჩემპიონები:

- **პირველი ორგზის ჩემპიონი** გახდა ამერიკელი **ტომას ბერკი, რომელმაც იმარჯვა** 100 და 400 მეტრზე სირბილში ათენის 1896 წლის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე.

- **პირველი სამგზის** ჩემპიონი გახდა გერმანელი ტანმოვარჯიშე **ალფრედ ფლატოვი, რომელმაც 1896 წელს** ათენის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ოქროს მედლები.

დღეისათვის სამ-სამი ოლიმპიური მედლის მფლობელია კიდევ - 322 სპორტსმენი.



- **პირველი ოთხგზის** ჩემპიონი გახდა გერმანელი **კარლ შუმანი,** რომელმაც 1896 წლის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ოქროს მედლები: ჭიდაობაში (ერთი) და ტანვარჯიშში (სამი).

დღეისათვის ოთხ-ოთხი ოლიმპიური მედლის მფლობელია კიდევ - 220 სპორტსმენი;

- პირველი **ხუთგზის** ჩემპიონი გახდა ამერიკელი ტანმოვარჯიშე **ანტონ ჰეიდა, რომელმაც** იასპარეზა 1904 წელს სენტ-ლუისის მესამე ოლიმპიურ თამაშებზე.

Anton Heida

დღეისათვის ხუთ-ხუთი ოლიმპიური მედლის მფლობელია კიდევ - 43 სპორტსმენი.



- **პირველი ექვსგზის, შვიდგზის და რვაგზის** ჩემპიონი გახდა ამერიკელი მძლეოსანი რეიმონდ კლარენს იური, რომელმაც 1900 წელს პარიზში - სამი, 1904 წელს სენტ-ლუისში - სამი და 1908 წელს ლონდონში - ორი ოქროს მედალი მოიპოვა.
- **დღეისათვის ექვს-ექვსი ოლიმპიური მედლის მფლობელია კიდევ - 20 სპორტსმენი;**
- **დღეისათვის შვიდ-შვიდი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელია კიდევ - 4 სპორტსმენი;**
- **დღეისათვის რვა-რვა ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელია კიდევ - 7 სპორტსმენი;**

- პირველი **ცხრაგზის** ჩემპიონი გახდა **ფინელი მძლეოსანი**, გრძელ მანძილებზე მორბენალი **პაავო ნურმი,** რომელმაც 1920 წელს ანტვერპენში – სამი და 1924 წელს პარიზში – ექვსი ოქროს მედალი მოიპოვა. **დღეისათვის ცხრა-ცხრა ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელია კიდევ – 3 სპორტსმენი;**

- **პირველი ათი, თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი, თექვსმეტი, ჩვიდმეტი, თვრამეტი, ცხრამეტი, ოცი, ოცდაერთი, ოცდაორი და ოცდასამგზის ჩემპიონი გახდა ამერიკელი მოცურავე მაიკლ ფელპსი,**
  რომელმაც 2004 წელს ათენში – ექვსი, 2008 წელს პეკინში – რვა, 2012 წელს ლონდონში ოთხი და 2016 წელს რიო დე ჟანეიროში – ხუთი ოქროს მედალი მოიპოვა. მაიკლ ფელპსს 13 ოქროს მედალი მოპოვებული აქვს ინდივიდუალურ ასპარეზობაში, ხოლო 10 ესტაფეტებში. სულ მის ანგარიშზე 28 ოლიმპიური მედალია (23 ოქრო. 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო). **ჯერჯერობით (ალბათ საკმაოდ დიდი ხნითაც) ამ ფანტასტიკური მაჩვენებლით იგი ერთადერთი სპორტსმენია მსოფლიოში;**

პირველები, ვინც ყველაზე მეტი ოქროს მედალი მოიპოვეს ერთ ოლიმპიურ თამაშებზე



- **პირველმა სამი** ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა გერმანელმა ტანმოვარჯიშემ **ალფრედ ფლატოვმა 1896 წელს** ათენის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე.

- **პირველმა ოთხი** ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა გერმანელმა **კარლ შუმანმა,** რომელმაც 1896 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოიგო ოქროს მედლები: ჭიდაობაში (ერთი) და ტანვარჯიშში (სამი).



- **პირველმა ხუთი** ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ამერიკელმა ტანმოვარჯიშემ **ანტონ ჰეიდამ** 1904 წელს სენტ-ლუისის მესამე ოლიმპიურ თამაშებზე.



- **პირველმა ექვსი და შვიდი** ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ამერიკელმა მოცურავემ **მარკ სპიტცმა** 1972 წლის მიუნხენის მე-20 ოლიმპიურ თამაშებზე;

➢ **პირველმა რვა** ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ამერიკელმა მოცურავემ **მაიკლ ფელპსმა** 2008 წლის პეკინის 29-ე ოლიმპიურ თამაშებზე.

ყველაზე ხანდაზმული ოლიმპიური რეკორდები



➢ პირველ ადგილზე ამერიკელი მძლეოსნის **ბობი ბიმონის** რეკორდია სიგრძეზე ხტომაში (8 მეტრი და 90 სმ-ი). ეს ფანტასტიკური შედეგი მან 50 წლის უკან, მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე 1968 წლის 18 ოქტომბერს უჩვენა.

➢ ხანგრძლივობით მეორე და მესამე ადგილებზე რუსი **ნადეჟდა ოლიზარენკოსა** და გერმანელი **ილონა სლუპიანეკის ოლიმპიური რეკორდებია.** მათ 38 წლის უკან, მოსკოვის 1980 წლის 22-ე ოლიმპიურ თმაშებზე უჩვენეს სარეკორდო შედეგები. ნადეჟდა ოლიზარენკომ 800 მეტრი გაირბინა 1 წუთსა და 53,43 წამში, ხოლო ილონა სლუპიანეკმა ბირთვის კვრაში 22 მეტრი და 41 სმ-ი უჩვენა.



ნადეჟდა ოლიზარენკო ილონა სლუპიანეკი

- 1988 წელს სეულის ოლიმპიურ თამაშებზე დამყარებული რეკორდები 30 წელია ხელშეუხებელია **ურის ტყორცნაში** (რუსი სერგეი ლიტვინოვი – 84 მეტრი და 80 სმ). და **ქალთა ბადროს ტყორცნაში** (გერმანელი მარტინა ჰელმანი - 72 მეტრი და 30 სმ.). **ქალთა 100 და 200 მეტრზე** სირბილში (ამერიკელი ფლორენს გრიფიტ ჯოინერი – 10,62 და 21,34 შესაბამისად), **ქალთა სიგრძეზე ხტომასა და შვიდჭიდში** (ამერიკელი ჯეკი ჯოინერ კირსი – 7,40 მ. და 7291 ქულა შესაბამისად). **ქალთა სირბილში 1500 მეტრზე** (რუმინელი პაულა ივანი-3 წუთი და 53,96 წამი). **ქალთა ამანათრბებში 4 x 400 მეტრზე** (სსრკ-ს ნაკრები- ტატიანა ლედოვსკაია, ოლგა ნაზაროვა, მარია პინიგინა და ოლგა ბრიზგინა-3 წუთი და 15,17 წამი). აღსანიშნავია, რომ **ეს შვიდივე ოლიმპიური რეკორდი დამყარებული იქნა 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე.**

სერგეი ლიტვინოვი მარტინა ჰელმანი ჯეკი ჯოინერ კირსი

გრიფიტ ჯოინერი

პაულა ივანი

ოლიმპიური რეკორდები ფიქსირდება სპორტის სხვა სახეობებშიც, მაგრამ ხანდაზმულობით მძლეოსნობას ვერ უტოლდებიან. **მეორე სპორტის** სახეობა, სადაც ყველაზე ხანდაზმული ოლიმპიური რეკორდია დამყარებული არის **ტყვიის სროლა.**

ტყვიის სროლაში ყველაზე ხანდაზმული ოლიმპიური რეკორდი დამყარებულია 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე **რუსი ალექსანდრე მელენტიევის** მიერ. მისი შედეგი პისტოლეთით 50 მეტრზე (581 ქულა) სროლაში 38 წელია ხელშეუხებელია.

შემდეგ მოდის **გერმანელი კრისტიან კლესი,** რომელმაც 1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე შაშხანიდან წოლელა სროლაში მოიპოვა ოქროს მედალი. მან ისეთი შედეგი უჩვენა (600 ქულა 600 შესაძლებ-ლობიდან), რომ მისი გაუმჯობესება აღარასოდეს არ მოხდება, შესაძლებელი მხოლოდ ამ შედეგის გამეორება იქნება.

შემდგომი სპორტის სახეობა, რომელშიც შედარებით ხანდაზმულია ოლიმპიური რეკორდები არის **ძალოსნობა.** მას შემდეგ, როდესაც ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ 2000 წლიდან შემოიღო ახალი წონითი კატეგორიები, რეკორდების რეგისტრირებაც სწოდედ აქედან იწყება.

ძალოსნობაში ყველაზე ხანდაზმულ ოლიმპიურ რეკორდად რჩება სიდნეის 2000 წლის ოლიმპიურ თამშებზე **თურქი ძალოსანის ხალილ მუტლუს მიერ ნაჩვენები შედეგი** (ატაცში -137,5 კგ. იგი ასპარეზობდა 56 კგ-მდე წონით კატეგორიაში). „ჯიბის ჰერკულესად“ წოდებული თურქი ძალოსანი არის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი (1996 - ატლანტა, 2000 - სიდნეი და 2004 - ათენი), მსოფლიოს ხუთგზისა და ევროპის ექვსგზის ჩემპიონი.

ნაკლებად ხანდაზმულია **ოლიმპიური რეკორდები ცურვაში,** რამეთუ ამ სპორტის სახეობაში ძალიან ხშირია რეკორდების გაუმჯობესება, მაგრამ არის შედეგები, რომლებიც რამოდენიმე წელი ხელშეუხებელია.

ცურვაში ყველაზე ხანდაზმული რეკორდი დამყარებულია ათენის 2004 წლის ოლიმპიადაზე, რომელიც **ამერიკელ მაიკლ ფელპსს ეკუთვნის.** ფელპსი დღეისათვის შვიდი ოლიმპიური რეკორდის მლობელია. კარიერის მანძილზე მას დამყარებული აქვს მსოფლიოს 37 რეკორდი (29 ინდივიდუალური და 8 ესტაფეტებში). ექვსი ოლიმპიური რეკორდი (200 მეტრი თავისუფალი სტილი – 1:42,96, 200 მეტრი კომბინირებული - 1;54,23, 200 მეტრი ბატერფლაი - 1;52,03 და 400 მეტრი კომბინირებული - 4;03,24; ესტაფეტა 4x100 და 4x400), რომელიც დამყარებულ იქნა პეკინის 2008 წლის ოლიმპიადაზე ასევე ხელშეუხებელი იქნება 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებამდე.

- ✓ ასევე ხელშეუხებელი იქნება მომავალ ოლიმიადამდე 2008 წელს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე **ბრაზილიელი ცეზარ სიელოს** რეკორდი 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ნაჩვენები შედეგი – 21.30 წამი და **ავსტრალიელი ამონ სალივანის** მაჩვენებელი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში - 47,05.

ცეზარ სიელო

ამონ სალივანი

2008 წელს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე, მაიკლ ფელპსმა თავის მე-13 ოქროს მედალი მოიპოვა და გააუმჯობესა როდოსელი ლეონიდეს ანტიკური ოლიმპიური რეკორდი, რომელმაც 2160 წლის უკან, ოთხ ოლიმპურ თამაშებზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე 164-152 წლებში 12 უმაღლესი ჯილდო მოიპოვა.

ქვეყნები, რომლებსაც ოლიმპიურ თამაშებზე 1896 წლიდან 2016 წლის ჩათვლით ყველაზე მეტი მედლები აქვთ მოპოვებული

1896 წლიდან 2018 წლის ჩათვლით სხვადასხვა სინჯის ოლიმპიური მედალი მოპოვებული აქვს **მსოფლიოს 14 9 ქვეყანას.**

ამ ხნის განმავლობაში სულ გათამაშებული იქნა - **15 704** მედალი, რომელთაგან **5121 ოქრო, 5089 ვერცხლი და 5494 ბრინჯაოს** მედალია.

მე-12 ხრილში მოცემულია ქვეყნები, რომლებსაც ოლიმპიურ თამაშებზე 149 ქვეყანას შორის ყველაზე მეტი მედალი აქვთ მოპოვებული.

ცხრილი 13

N	ქვეყნები	ოქროს მედლები	ვერცხლის მედლები	ბრინჯაოს მედლები	სულ
1	ამერიკის შეერთებული შტატები	1017	786	699	2502
2	საბჭოთა კავშირი	395	319	296	1010
	საბჭოთა კავშირი + სნგ	440	357	325	1122
3	დიდი ბრიტანეთი	264	296	289	849
4	ჩინეთი	227	165	152	544
5	საგრანგეთი	214	243	264	721
6	იტალია	207	179	194	580
7	გერმანია	191	194	233	618
	გერმანია + გერმანიის გაერთიანებული გუნდი	219	248	269	736
8	უნგრეთი	175	147	169	491
9	გერმანიის დემოკრატიული რესპ-კა	153	129	127	409
10	რუსეთი	151	142	164	457
11	ავსტრალია	147	166	188	501
12	შვედეთი	145	170	179	494

რამდენს უხდიან ოლიმპიადაში გამარჯვებულებს და პრიზიორებს?

ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული მედლებისათვის სპორტსმენები დამატებით ფულად ჯილდოებს ან სხვა პრიზებს იღებენ თავიანთი ოლიმპიური კომიტეტებისაგან და სახელმწიფოებისგან. განსხვავება მხოლოდ ფულადი პრემიის რაოდენობაშია. ყველა ქვეყანა გარკვეულ თანხას გადასცემს გამარჯვებულ სპორტსმენებს.

ფულადი პრიზები არ არის რაიმე სიახლე, ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ოლიმპიადის გამარჯვებულები საზოგადოებაში დიდი პრივილეგიებით სარგებლობ-დნენ. ანტიკური ოლიმპიადების ჩემპიონებს უხდიდნენ 500 დრაჰმას, უგებდნენ მარმარილოს ქანდაკებებს და ასევე ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ სიცოცხლის ბოლომდე უფასო კვებით.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 1980 წლიდან აკრძალა ყველანაირი შეზღუდვა ფულად ჯილდოზე და მას შემდეგ დაიწყო სერიოზული თანხების გამოყოფა სხვადასხვა ქვეყნების მიერ. ფულადი ჯილდოები მთელ რიგ ქვეყანებში გამუდმებით იზრდებოდა, თუმცა არიან ეკონომიურად განვითარებული ქვეყნები (ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი შვედეთი, ხორვატია და სხვა), რომლებიც საერთოდ არ უხდიან თავიანთ ოლიმპიელებს არანაირ ფულად სახსრებს. წარმოგიდგენთ იმ ქვეყნების ნუსხას, რომლებიც გარკვეულ თანხებს გამოყოფენ ოლიმპიური პრიზიორებისათვის.

❖ ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკაში 1984 წლიდან არ ცვლიან ფულადი ჯილდოს რაოდენობას. ყოველ მოპოვებულ ოქროს მედალზე დაწესებულია ფულადი პრემია – 25 000 დოლარი.

❖ პოლონეთი

პოლონეთში – ოქროს მედალოსანს 38 000 დოლარით აჯილდოებენ, ვერცხლის პრიზიორს – 25 000 დოლარით, ბრინჯაოს მედალიანს კი – 16 000 დოლარს გამოუყოფენ. გარდა ამისა პოლონელ ოლიმპიურ ჩემპიონებს აჯილდოვებენ სპონსორები,

მაგალითად საავტომობილო კომპანია KIA, ჩემპიონებს აჯილდოვებს თავისი მარკის ავტომობილებით.

❖ ბელორუსია

ამ ქვეყანაში ოლიმპიურ ჩემპიონს 150 000 დოლარს გამოუყოფენ, ვერცხლის მედალოსანს – 75 000, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორს – 50 000 დოლარს. ბელორუსიაში სპორტსმენების მომზადების ხარჯებს მთლიანად სახელმწიფო ფარავს. გარდა ამისა ოლიმპიადებში გამარჯვებულ სპორტსმენებს (ოთხი წლით) დამატებით ენიშნებათ ოლიმპიური სტიპენდიები.

❖ რუსეთი

რუსეთში, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს – 60 000, ვერცხლის მედალოსანს – 37 000 და ბრინჯაოს მედალოსანს 25 000 დოლარს აძლევენ.

❖ უკრაინა

საპრიზო ჰონორარი ოლიმპიადის პრიზიორებისათვის შეადგენს : ოქრო - 125 000 $, ვერცხლი - 80 000 $, ბრინჯაო - 55 000 $.

❖ ჩინეთი

ჩინელი სპორტსმენები ოლიმპიური კომიტეტიდან ოქროს მედლისათვის იღებენ – 50 000 $, ვერცხლისათვის – 25 000 $, ხოლო ბრინჯაოს მედლისათვის – 15 000 $. თუმცა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების გამარ-ჯვებულებს ფულადი პრიზები არ გადასცეს, ამის სანაცვლოდ მათ შეპირდნენ სამსახურებს სიცოცხლის ბოლომდე სპორტულ უწყებებში.

❖ ტაილანდი

ტაილანდში ოლიმპიურ ჩემპიონს გადაეცემა 314 000 $. მაგრამ არა ერთდროულად. ეს თანხა თანაბრად გადანაწილდება 20 წელიწადზე (წელიწადში 15 700 დოლარი) და ისე გადაეცემა გამარჯვებულს.

❖ გერმანია და ავსტრია

ისეთი ეკონომიურად განვითარებული ქვეყნები როგორიც არიან გერმანია და ავსტრია თავიანთ ოლიმპიურ ჩემპიონებს მხოლოდ 20 000 დოლარს უხდიან.

❖ დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, შვედეთი, ხორვატია

ეს ქვეყნები საერთოდ არ უხდიან თავიანთ ოლიმპიურ ჩემპიონებს. რადგან მათი ქვეყნის ბიუჯეტი გათვლილია ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტულ განვითარებაზე და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაზე.

ქვეყნების მიერ **2016** წლის რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებისა და პრიზიორებისათვის გამოყოფილი პრემიალურები (დოლარებში)

ცხრილი N14

ქვეყანა	მედლები			სულ მოპოვებული მედლები			საპრიზო ფონდი მთლიანად
	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	
აზერბაიჯანი	**510 000**	150 000	75 000	3	5	9	**2 175 000**
ტაილანდი	**314 000**			2	2	2	**628 000**
ყაზახეთი	**250 000**	150 000	75 000	3	5	9	**2 175 000**
ირანი	**250 000**	70 000	30 000	3	1	4	**940 000**
იაპონია	**250 000**	50 000	20 000	12	8	21	**3 820 000**
ინდოეთი	**210 000**	50 000	25 000	0	1	1	**75 000**
უზბეკეთი	**$200 000**	100 000	75 000	4	2	7	**1 525 000**
უნგრეთი	**200 000**	15 000	2 500	8	3	4	**1 655 000**
იტალია	**190 000**	95 000	50 000	8	12	8	**3 060 000**
არაბთა გაერთ. საემიროები	**190 000**	25 000	12 500	0	0	1	**12 500**
მოლდოვა	**150 000**	130 000	100 000	0	0	1	**100 000**
ბელორუსი	**150 000**	75 000	50 000	1	4	4	**650 000**
ავსტრალია	**126 000**	15 000	4 000	8	11	10	**1 213 000**
უკრაინა	**125 000**	80 000	55 000	2	5	4	**870 000**
ესპანეთი	**90 000**	12 400	4 000	7	4	6	**703 600**
საქართველო	**72 000**	43 000	29 000	2	1	4	**303 000**
საფრანგეთი	**65 000**	30 000	8 500	10	18	14	**1 309 000**
რუსეთი	**62 000**	39 000	26 000	19	18	19	**2 374 000**
სომხეთი	**50 000**	30 000	20 000	1	3	0	**140 000**
ჩინეთი	**50 000**	25 000	15 000	26	18	26	**2 140 000**
ტაჯიკეთი	**38 000**	32 000	25 000	1	0	0	**38 000**
პოლონეთი	**38 000**	25 000	16 000	2	3	6	**247 000**
აშშ	**25 000**	15 000	10 000	46	37	38	**2 085 000**
იამაიკა	**20 000**	20 000	7 500	6	3	2	**195 000**
კანადა	**20 000**	15 000	12 000	4	3	15	**305 000**
გერმანია	**19 500**			17	10	15	**331 500**
ბრაზილია	**11 000**			7	6	6	**77 000**

სხვა ამბები ოლიმპიურ თამაშებზე

რაგბი პირველად პარიზის 1900 წლის მეორე ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იქნა შეტანილი. შემდეგ 1908 წლის ლონ-დონის, 1920 წლის ანტვერპენის და 1924 წლის პარიზის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

1924 წელს პარიზის ოლიმპიურ თამა-შებზე უკანასკნელად ჩატარდა შეჯიბრება რაგბში. ფინალურ შეხვედრაში ამერიკის შეერთებ ული შტატების ნაკრებმა 17:3 სძლია საფრანფეთის ნაკრებს, რითაც ძალზე განაწყენდნენ ფრანგი გულშემატკივრები, ჩაცვივდნენ სტადიონზე და სასტიკად სცემეს აშშ-ს ნაკ-რების სათადარიგო მოთამაშეები. ინცინდენტის განმუხტვა მხოლოდ პოლიციის ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი. 1925 წელს, როდესაც პიერ დე კუბერტენი გადადგა სოკ-ის პრეზიდენტის პოსტიდან და მის ადგილზე არჩეულ იქნა ანრი დე ბაიე ლატური, მან ამოიღო რაგბი ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან (ალბათ იმ ინცინდენტის გამო) და მხოლოდ 92 წლის შემდეგ, 2016 წლის რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე იქნა შეტანილი პროგრამაში, მაგრამ რაგბის მეორე ნაისახეობა-შვიდკაცა რაგბი, როგორც კაცების ისე ქალებისათვის.

ოლიმპიური მარათონი 1904 წლის სენტ ლუისის თამაშებზე ალბათ ერთ-ერთი უპეცენდენტოა მსოფლიო ოლიმპიური თამაშების ისტორიაში. საქმე იმაში გახლავთ, რომ **ამერიკელმა მარათონელმა ფრედ ლორციმ** მე-12 კილომეტრზე კრუნჩხვების გამო რბენა ვეღარ შეძლო. იგი ერთერთმა გულშემატკივარმა მანქანაში ჩაისვა და გაჰყვნენ მორბენლებს. ფინიშამდე რვა კილომეტრი იყო დარჩენილი, ლორციმ თავი კარგად იგრძნო, ჩამოვიდა მანქანიდან ჩადგა მორბენლების ჯგუფში და გააგრძელა ასპარეზობა. მან ადვილად გაუსწრო გადაღლილ მორბენლებს და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის ქალიშვილმა, ალისა რუზველტმა „გამარ-ჯვებულს“ თავად გადასცა ოქროს მედალი, მიულოცა გამარჯვება და სურათიც გადაიღო „ჩემპიონთან“. მაგრამ როდესაც ყველაფერი გაირკვა და მხილებული იქნა ლორცის საქციელი, მას მთელი სიცოცხლის მანძილზე დისკვალიფიკაცია მისცეს. თუმცა ერთი წლის შემდეგ მოუხსნეს და 1905 წელს გაიმარჯვა ჩიკაგოს მარათონში.

1928 წლის ამსტერდამის ოლიმპიურ თამაშებზე **ავსტრალიელი ნიჩბოსანი ჰენრი ბობი პირსი**, რომელიც ერთეულთა თანრიგში ასპარეზობდა, სტარტიდანვე დაწინაურდა და საგრძნობლად უსწრებდა თავის მოწინააღმდეგეებს, რბოლის შუა დისტანციაზე უცებ მოლოდნელი დაბრკოლება აღმოჩნდა, მისი ნავის წინ გამოჩნდა დედა იხვი თავის ჭუჭულებით. სპორტსმენმა ნავი შეაჩერა და გზა დაუთმო მათ. ამ მომენტით ისარგებლეს მისმა მოწინააღმდეგებმა და რიგ-რიგობით გადაუსწრეს პირსის ნავს, მიუხედავად ამ იძულებითი პაუზისა, ამას ხელი არ შეუშლია ჰენრი ბობი პირსისათვის გადაესწრო ყველა მონაწილისათვის და მოეპოვებინა ოქროს მედალი.



ეთიოპიელი მარათონელი, აბებე ბიკილა, ტრავმირებული თანაგუნდელის ნაცვლად უკანასკნელ საათებში მოხვდა ეთიოპიის ნაკრების შემადგენლობაში და გაემგზავრა რომის 1960 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. მას სერიოზულ მეტოქედ არავინ მიიჩნევდა, მაგრამ სპორტსმენმა ოლიმპიური ოქროს მედალი მსოფლიოს ახალი რეკორდით მოიგო. საინტერესოა, რომ ბიკილამ მთელი მანძილი ფეხშიშველმა ირბინა. იგი ტოკიოში 1964 წელს მომდევნო თამაშეზეც ჩეპიონი გახდა და დისტანცია კვლავ მსოფლიო რეკორდით მოიგო. აბებე ბიკილა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველი სპორტსმენია, რომელმაც ორჯერ ზედიზედ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონობა მარათონულ სირბილში.

ბიკილა არის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1960, 1962). სულ მოგებული აქვს 26 მარათონული რბენა. 1969 წლის მარტში ავტოკატასტროფაში მოჰყვა, ხერხემალი დაიზიანა და ინვალიდის სავარძელს მიეჯაჭვა. 1970 წელს მონაწილეობდა ნორვეგიაში გამართულ ინვალიდთა მსოფლიო თამაშებში მშვილდოსნობაში.

მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებზე **ამერიკელმა მძლეოსანმა ბობი ბიმონმა** განაცვიფრა მსოფლიო. იგი სიგრძეზე ხტომაში გამოდიოდა და ფანტასტიკური შედეგი უჩვენა **8 მეტრი და 90 სანტიმეტრი.**

საინტერესოა ერთი დეტალი, მეხიკოს ოლიმპიადაზე სიგრძეზე ხტომის სექტორში დამონტაჟებული ელექტრონული საზომი გათვლილი იყო 8,70 მეტრის გასაზომად, ამიტომ მსაჯები იძულებული გახდნენ ჩეულებრივი ხელის საზომი გამოეყენებინათ.



1968 წლის მეხიკოს ზაფხულის ოლიმპიადაზე **ეთიოპიელ მძლეოსან კიბჩოგე კეინოს,** რომელიც სირბილში 10 000 მეტრ დისტანციაზე მონაწილეობდა, გარბენის დროს გული წაუვიდა და ბილიკზე დაეცა. გონზე მოსვლის შემდეგ სპორტსმენი წამოდგა რბენა გააგრძელა და დისტანცია დაასრულა. ექიმებმა დაადგინეს, რომ გულისწასვლის მიზეზი ნაღვლის ბუშტში ქვების არსებობა იყო. ამიტომ მას კატეგორიულად აუკრძალეს შეჯიბრებაში შემდგომი მონაწილეობა. კეინომ ყურად არ იღო ექიმების გადაწყვეტილება და მეორე დღეს ჩუმად გაიპარა სასტუმროდან, ჩაჯდა ავტობუსში და გაემგზავრა ოლიმპიური სტადიონისაკენ სადაც რამოდენიმე ხანში იწყებოდა ფინალური გარბენი 1500 მეტრზე რბენაში. გზაში ავტობუსი საცობში გაიჭედა. კეინო ავტობუსიდან ჩამოვიდა და სირბილით გაეშურა სტადიონისაკენ და დრულად მიუსწრო სტარტს. ყველაზე საოცარი ამ ისტორიაში ის არის, რომ ეთიოპიელმა სპორტსმენმა არა მარტო გაიმარჯვა ფინალურ გარბენში არამედ ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. კიპჩოგე კეინომ მეორე ოლიმპიური ოქროს მედალი 1972 წელს მიუნხენშიც მოიგო (3000 მეტრზე წინაღობებში).

ოლიმპიური დროშა პიერ დე კუბერტენმა 1914 წელს შექმნა. პირველად ოლიმპიური დროშა **1920 წლის ოლიმპიადაზე აფრიალდა.** ხუთი ერთმანეთში გადაჭდობილი, სხვადასხვა ფერის რგოლი. ზედა მწკრივში განლაგებულია (მარცხნიდან მარჯვნივ) სამი რგოლი – **ლურჯი, შავი და წითელი,** ქვემოთ – ორი: **ყვითელი და მწვანე.** ყვითელი რგოლი გადაჭდობილია ლურჯთან და შავთან, მწვანე – შავთან და წითელთან. ოლიმპიური დროშის იდეა წამოაყენა პიერ დე კუბერტენმა და დაამტკიცა სოკმა (1913 წ.). გადაჭდობილი რგოლები კონტინენტების ერთიანობაზე მიგვანიშნებს. ოლიმპიურ დოკუმენტებში არსად არის განმარტებული ფერების მნიშვნელობა. თვითონ კუბერტენი ამბობდა: „ხუთი რგოლი წარმოადგენს ხუთ კონტინენტს, რომლებიც მხარს უჭერენ ოლიმპიზმის იდეებს, ექვსი ფერი კი (მხედველობაში ჰქონდა დროშის ფერიც) განსაზღვრავს ყველა ეროვნების ფერს. ეს ნამდვილი საერთაშორისო ემბლემაა“. მართლაც, ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ დროშაზე ზემოთ ჩამოთვლილ ფერთაგან ერთ-ერთი მაინც არის გამოყენებული.

ოლიმპიური სპორტის ისტორიაში, **ანტვერპენის 1920 წლის ოლიპიურ თამაშებზე პირველად აღმართული ოლიმპიური დროშა,** თამაშების დამთავრების შემდეგ უგზოუკვლოდ დაიკარგა. 77 წლის განმავლობაში არავინ იცოდა რა მოხდა ანტვერპენში, როგორ გაქრა ოლიმპიური დროშა.

მხოლოდ 1997 წელს, იმ პერიოდისათვის ოლიმპიური თამაშების ერთ - ერთ უხუცეს პრიზიორთან, ამერიკელ წყალში მხტომელ ჰეიგ პრისტომთან (მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 10 მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში) ინტერვიუს დროს გაირკვა სიმართლე. თურმე ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ თანაგუნდელის დახმარებით მან ღამით მოიპარა დროშა, რომელიც იმ დღიდან ინახება მის ჩემოდანში. ჰეიგ პრისტომი 1896 წელს დაიბადა კალიფორნიაში სომეხი ემიგრანტების, კესისიანების ოჯახში.

მოპარული დროშა დაბრუნებულ იქნა სიდნეის ოლიმპიური თამაშებზე 2000 წელს. დღეისათვის ეს დროშა ინახება ოლიმპიურ მუზეუმში ლოზანაში.

ჰეიგ პრისტომი 2001 წელს 104 წლის ასაკში გარდაიცვალა და იმ პერიოდისათვის ყველაზე უხუცესი ოლიმპიური პრიზიორი იყო

ვილმა რუდოლფი ერთადერთი მძლეოსანი ქალი მსოფლიოში, რომელმაც ოლიმპიური ოქროს მედლები მოიპოვა 100, 200 და 400 მეტრზე რბენაში.

იგი ოთხი წლის იყო, როცა ორმაგი პნევმონიით დაავადდა, რის გამოც ცალი ფეხით პარალიზებული დარჩა. მას ცხოვრების ბოლომდე უნდა ლითონის ზღუდებით ევლო და როგორც ექიმები ამბოდნენ, ვეღარასდროს შეძლებდა ნორმალურად გავლას.

9 წლის ასაკში, მან, ექიმების ნების გარეშე, თვითნებურად მოიხსნა ზღუდები და შეძლო პირველი ნაბიჯების დამოუკიდებლად გადადგმა. მართალია გაჭირვებით, მაგრამ 11 წლის ასაკში მოკლე მანძილზე გაირბინა კიდეც. მომდევნო წლებში რამოდენიმე შეჯიბრებაშიც მიიღო მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ბოლო მიდიოდა ფინიშის ხაზთან, გოგონა თავდაუზოგავად განაგრძობდა ვარჯიშს, ვიდრე საწადელი არ აისრულა და ერთ დღესაც ყველას არ აჯობა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ვილმა რუდოლფმა, რომელსაც არწმუნებდნენ, რომ ცხოვრებაში ნორმალურად გავლასაც ვერ შეძლებდა, 1960 წლის რომის ოლიმპიადაზე ყველა განაცვიფრა და სამი უმაღლესი სინჯის მედალი მოიგო.

❖ ოლიმპიური სპორტის ისტორიაში დროის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი მიმდინარეობდა 1900 წლის პარიზის მეორე ოლიმპიური თამაშები. ეს თამაშები ორგანიზატორებმა დაამთხვიეს მსოფლიო გამოფენას. **თამაშები დაიწყო 14 მაისს და დამთავრდა 28 ოქტომბერს (ხუთთვენახევარზე მეტი, 165 დღე)**



ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ამერიკელმა **ინვალიდმა ტანმოვარჯიშემ ჯორჯ ეისერმა** (მას მარცხენა ფეხი არ ჰქონდა და ხის პროტეზით გამოდიოდა), სენტ-ლუისის 1904 წლის მე-3 ოლიმპიურ თამაშებზე **ერთ დღეში მოიგო ექვსი მედალი: 3 ოქრო** (ორძელზე, ბჯენით ხტომასა და ბაგირზე ცოცვაში), **2 ვერცხლი** (აბსოლიტურში და ტაიჭზე), და **ერთი ბრინჯაოს** მედალი (ღერძზე). შეზღუდული შესაძლებლობების სპორტსმენებს შორის ის ერთერთი ტიტულოვანი ადამიანია ოლიმპიური სპორტის ისტორიაში.

❖ 1908 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების მსვლელობის დროს პენსილვანიის ეპისკოპოსმა, **ეტელბერტ ტეილორმა** წმინდა პავლეს ტაძარში წირვის დროს ცნობილი ფრაზა წარმოსთქვა: **„მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება“.** შეცდომით, ამ ფრაზას პიერ დე კუბერტენს მიაწერდნენ.

ოლიმპიადის ოფიციალური **გახსნის ცერემონიალი 1908 წლის თამაშებზე,** ლონდონში დაინერგა და ტრადიციის თანახმად, დროშით პირველი საბერძნეთის ნაკრები გამოდის სტადიონზე. დანარჩენი ნაკრებები კი, ანბანის მიხედვით გამო-დიან. როგორც წესი, მასპინძელი გუნდი მოდის ბოლოს.

✓ მსოფლიო ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე გამანადგურებელი მარცხი იწვნია **რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა,** რომელმაც 1912 წლის სტოკჰოლმის მე-5 ოლიმპიურ თამაშებზე **0:16 წააგო გერმანიის ნაკრებთან.**

✓ მთლიანად **ოქროსგან ჩამოსხმული მედლები უკანასკნელად 1912 წლის ოლიმპია-დაზე** გადაეცათ გამარჯვებულებს.

პირველად ოლიმპიური თამაშების გამარ-ჯვებულების წარდგენა და **დაჯილდოება პოდი-უმზე ლოს-ანჯელესის 1932 წლის** ოლიმპიადაზე შედგა.

- 1936 წლის ბერლინის ოლიმპიური თამაშები **გახსნილად ადოლფ ჰიტლერმა გამოაცხადა.**
- პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში **ტელევიზიის პირდაპირი ეთერით** გადაიცა ბერლინის 1936 წლის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალი.
- 1952 წლის ჰელსინკის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიალზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, **ზიგფრიდ ედსტრემს დაავიწყდა მეთხუთმეტე ოლიმპიური თამაშების ოფიციალური დახურვის გამოცხადება.** ამიტომ, ის ოლიმპიური თამაშები ფორმალურად დღემდე არ დახურულა.
- 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე **ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე სისხლიანი ტრაგედია დატრიალდა.** პალესტინურმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ „შავი სექტემბერი“ ოლიმპიურ სოფელში შეაღწია, ებრაელი სპორტსმენები ტყვედ აიყვანა და მათგან 11 დახოცა.
- 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშები **დიდი ბრიტანეთის დედოფალმა, ელიზაბეტ მეორემ გახსნა.** ამავე თამაშებზე დედოფლის ქალიშვილი, პრინცესა ანა საცხენოსნო სახეობაში ასპარეზობდა.
- 1980 წლის 4 იანვარს ამერიკის პრეზიდენტმა, **ჯიმი კარტერმა მოსკოვის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირების შესახებ ამცნო** მსოფლიოს. ამერიკელების პროტესტი ავღანეთში საბჭოთა კავშირის ჯარების შესვლამ გამოიწვია. ამერიკელების ბოიკოტის გამო, საბჭოთა კავშირში **სრულად განადგურდა** ამერიკის ოლიმპიური ნაკრებისადმი მიძღვნილი საბჭოური ჟურნალ **„ამერიკის“ მთელი ტირაჟი.**

რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღეს მიგრანტ სპორტსმენთა გუნდმა. ეს ის ათლეტები იყვნენ, რომლებსაც ათასობით თანამემამულესთან ერთად ე.წ. „მიგრანტთა კრიზისის“ დროს საკუთარი სახლების დატოვება მოუხდათ და ევროპის სხვადასხვა ქვეყანამ შეიფარა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ცნობით, ასეთი 10 სპორტსმენი იყო, ისინი ოლიმპიური დროშის ქვეშ ასპარეზობდნენ.

პირველი ოლიმპიელი ქალი სპორტსმენები

- როგორც ცნობილია პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წელს, რომელიც 1170 წლის მანძილზე 293 ჯერ გაიმართა და მასში არასდროს მიუღიათ მონაწილეობა სპორტსმენ ქალებს. ეს ტრადიცია თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებზეც გაგრძელდა და 1896 წლის ათენის თამაშებიც მათ გარეშე ჩატარდა.
- **სპორტსმენი ქალების დებიუტი პარიზის 1900 წლის ოლიმპიურ თამაშებზე შედგა, როდესაც „სუსტი სქესის“ წარმომადგენლებმა იასარეზეს ჩოგბურთში, ნიჩბოსნობასა და გოლფში.**
- 1900 წელს, ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ქალთა შორის პირველი ჩემპიონის ტიტული მოიპოვა შვეიცარელმა იახტსმენმა **გრაფინია ჰელენ დე პურტალემ, რომელიც თავის მეუღლესთან – გრაფ ჰერმან ალექსანდრე დე პურტალესთან ერთად ასპარეზობდა.** ამ წყვილმა პარიზის თამაშებზე ვერცხლის მედალიც მოიპოვა.

პარიზის 1900 წლის მეორე თამაშებზე, ინდივიდუალურ ასპარეზობაზე, ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი ინგლისელი **ჩოგბურთელი შარლოტა კუპერი გახდა.** იგი ასევე პირველი ქალია, რომელიც ოლიმპიური თამაშების პირ-ველი ორგზის ჩემპიონის ტიტულს ატარებს. პირად პირველობაზე მოპოვებულ ოქროს მან წყვილთა თანრიგში მოპოვებული ოქროც მიუმატა



აფროამერიკელი, ოჰაიოს უნივერსიტეტის სტუდენტი, ჯესი ოუენსი გახდა ბერლინის 1936 წლის ოლიმპიადის ტრიუმფატორი. ამერიკელმა ათლეტმა ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა, აქედან სამი ოლიმპიური რეკორდით. მან ასევე დაამყარა მსოფლიოს ორი რეკორდი 200 მეტრზე რბენასა და 4x100 ზე ესტაფეტაში. ამბობენ, რომ ადოლფ ჰიტლერი ძალიან გააბრაზა ზანგი სპორტსმენის ასეთმა ტრიუმფმა, და მან დაჯილდოვებისას დემონსტრატიულად ხელი არ ჩამოართვაო ჯესი ოუენს, მაგრამ თავად ოუენსი უფრო ნაწყენი თავისი ქვეყნის პრეზიდენტზე, ფრანკლინ რუზველტზე დარჩენილა, რომელსაც მისთვის მისალოცი ტელეგრამა არ გამოუგზავნია.

პარაოლიმპიური თამაშები

სპორტულ ასპარეზობებზე ინვალიდების მონაწილეობის იდეა დაკავშირებულია ინგლისელი ნეიროქირურგის ლუდვიგ გუტმანის სახელთან. მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისის ქალაქ ეილსბერის სთოქ - მანდევილის ჰოსპიტალში მან დაარსა ზურგის ტრავმების სამკურნალო ცენტრი დაჭრილი ვეტერანებისთვის. სპორტული თერაპიის გამოყენებით გუტმანი ეხმარებოდა მათ ძალების აღდგენაში. მან ზურგის ტვინდაზიანებული ჯარისკაცების რეაბილიტაციის პროცესში ჩართო სპორტი.

1948 წლის 28 ივლისს სთოქ - მანდევილის ჰოსპიტალში, პირველად მსოფლიო სპორტის ისტორიაში ჩატარდა შეჯიბრება მშვილდოსნობაში ინვალიდების სავარძელში მჯდომი სპორტსმენებისათვის. ეს თარიღი სიმბოლურად ლონდონის ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს დაემთხვა.

1965 წელს ლუდვიგ გუტმანმა შეიმუშავა ინვალიდ სპორტსმენტა ქარტია, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ინვალიდთა სპორტის შემდგომი განვითარების ძირითადი დებულებები

ზაფხულის პარაოლიმპიური თამაშების ჩატარების ისტორია 1960 წლიდან იწყება. ზამთრის კი 1976 წლიდან. აღსანიშნავია, რომ 1988 წლიდან სეულის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებიდან დაწყებული, პარალიმპიური თამაშები ტარდება იმავე სპორტულ ბაზებზე, რომლებზეც ასპარეზობდნენ ოლიმპიური თამაშების მონაწილეები.

ტრაგედია მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიადაზე

„ჩვენ უნდა ვიპოვოთ ებრაელების სუსტი ადგილები, უნდა დავხოცოთ ყველაზე ცნობილები. თუ პოლიტიკოსებს ვერ მივწვდებით, დავხოცოთ სპორტსმენები და არტისტები". ეს სიტყვები ორგანიზაცია "შავი სექტემბერ-ის ერთერთ ლიდერს აბუ დაუდის ეკუთვნის, რომელიც მან რომში, 1972 წლის ივლისში, გააჟღერა. იმავე წლის 5-6 სექტემბერს კი მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებზე დატრიალებულმა საშინელმა ტრაგედიამ შეძრა მთელი მსოფლო. პელესტინელმა ტერორისტებმა 11 ებრაელი ათლეთი მძევლებად აიყვანეს და შემდეგ დახოცეს.

პროფესიონალები ოლიმპიადაზე



1992 წლის ბარსელონას ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად ამერიკის ვაჟ კალათბურთელთა ნაკრები „დრიმ თიმი“ ანუ საოცნებო გუნდი შეიქმნა, სადაც თამაშობდნენ მსოფლიოში აღიარებული პროფესიონალები: მაიკლ ჯორდანი, ლარი ბიორდი, სკოტი პიპენი, მეჯიკ ჯონსონი, ჩარლზ ბარკლი, პატრიკ იუინგი, დევიდ რობინსონი, კარლ მელოუნი და სხვები. ეს იყო მათი, როგორც პროფესიონალების დებიუტი ოლიმპიადაზე. გუნდმა ფაქტიურად გაანადგურა მოწინააღ-მდეგეები და გამარჯვება მოიპოვა. დღემდე, მსოფლიო კალათბურთის ისტორიაში, „დრიმ თიმ“- ი ითვლება ყველაზე საუკეთესო გუნდად.



1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე ოლიმპიური ჩირაღდანი აანთო 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის მფლობელმა კრივში, მძიმე წონაში პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა **მუჰამედ ალიმ (კასიუს კლეიმ).** მიუხედავად პარკინსონის დაავადებისა ალიმ კარგად გაართვა თავი დავალებას. ამ ფაქტმა ხალხის გაოცება და დიდი ემოცია გამოიწვია.

სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა ისტორიაში პირველად და უკანასკნელად ერთმანეთთან ხელიხელჩაკიდებული გამოვიდა, როგორც ერთიანი სახელმწიფო. მათ ეცვათ ერთნაირი ფორმები და წარმოდგენილი ჰქონდათ სრულიად ახალი დროშა, რომელიც აერთიანებდა ორ სახელმწიფოს. მიუხედავათ ხანმოკლე ალიანსისა მათ საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება დატოვეს ხალხზე.

მედლის დიზაინის შეცვლა

- ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის შეიქმნა სრულიად ახალი მედლები. სადაც გამოსახული იყო პანათინაიკოსის სტადიონი, ეს მსოფლიოში ერთერთი უძველესი სტადიონია, სადაც 1896 წელს ჩატარდა პირველი თანამედროვე ოლიმპიური თამაშები. მედლის ახალმა სახემ ჩაანაცვლა იტალიელი სკულპტორის ჯუზეპე კასიოლის დიზაინი, რომელსაც ბერძნული ძეგლის მაგივრად რომაული კოლიზეუმი ჰქონდა ამოტვიფრული.

ათენი 2004

რომი 1960

ოჯახური წყვილები ოლიმპიური პრიზიორები და ჩემპიონები

ჰერმან და ჰელენ დე პურტალე



გრაფი ჰერმან ალექსანდრე დე პურტალე და გრაფინია ჰელენ დე პურტალე ცოლ-ქმარი შვეიცარიიდან. ისინი ერთად ასპარეზობდნენ 1900 წლის ოლიმპიურ თამაშებზე და საიალქნო სპორტში მოიპოვეს თითო ოქროსა და ვერცხლის მედლები. გრაფი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი იყო რომელიც წარმოადგენდა სამეფო ოჯახს ხოლო მისი მეუღლე პირველი ქალი მონაწილე და ასევე პირველი ქალი მედალოსანი

მეჯ და ედგარ საიერსები

ბრიტანელი ფლორენს მადლენ საიერსი, ცნობილი როგორც მეჯ საიერსი, იყო პირველი ფიგურული მოციგურავე ქალი, რომელიც 1907 წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი. 1908 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე, ერთეულთა თანრიგში, მან ოქროს მედალი 27 წლის ასაკში მოიპოვა და დღეისათვის ითვლება ყველაზე ასაკოვან ქალად ოლიმპიურ ჩემპიონთა შორის. ამავე ოლიმპიადაზე მეჯმა თავის მეუღლესთან - ედგარ საიერსთან ერთად ბრინჯაოს მედალი მოიპოვა წყვილთა თანრიგში.

ლუდოვიკა და ვალტერ იაკობსონები

1924 წლის შამონის ზამთრის ოლიმპიადაზე - ფიგურული სრიალში ვერცხლის მედალი მოიპოვეს ფინელმა ლუდოვიკა და ვალტერ იაკობსონებმა. ეს გამარჯვება ლუდოვიკამ 40 წლის, ხოლო მისმა მეუღლემ 41 წლის ასაკში მოიპოვეს.

ანდრე და პიერ ჟოლი

1932 წელს ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ფიგურული სრიალში ოქროს მედალი მოიპოვა ფრანგმა ცოლ-ქმარმა ანდრე და პიერ ჟოლიმ. ეს მათთვის მეორე ოქროს მედალი იყო, მაგრამ 1928 წლის ოლიმპიადაზე ისინი ჯერ შეუღლებულები არ იყვნენ.

დანა და ემილ ზატოპეკები

ჰელსინკის 1952 წლის ზაფხულის ოლიმპია-დაზე მსოფლიოში პირველად ჩეხმა ცოლ-ქმარმა ემილ და დანა ზატოპეკებმა მძლეოსნობაში ოქროს მედლები მოიპოვეს. ემილ ზატოპეკმა სამი ოქროს მედალი მოიპოვა 5000 და 10000 მეტრზე რბენაში და მარათონში, დანა ზატაპკოვა კი ოლიმპიური ჩემ-პიონი გახდა შუბის ტყორცნაში.

მარია და ნიკოლაი გუსაკოვები

საბჭოთა საოჯახო წყვილმა მარია და ნიკოლაი გუსაკოვებმა 1960 წელს სკვო-ველის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე სამივე სინ-ჯის მედლები მოუპოვეს. მარიამ ერთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი თხილამურებით რბენაში მოიგო ხოლო ნიკოლაიმ ბრინჯაოს მედალი - ბიატლონში.

ტოინი გუსტაფსონი და ასარ რენლუნდი

შვედეთის სახელით მოასპარეზე ტოინი გუსტაფსონი დაიბადა ფინეთში, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს ფინეთზე თავდასხმის შემდეგ 70 000 ზე მეტი ფინელი ბავშვი შვედეთში გადაიყვანეს, მათ შორის იყო 6 წლის ტოინი. ომის დასრულების შემდეგ 15 000 ბავშვი სამშობლოში აღარ დაბრუნდა. ტოინი გუსტაფსონიც შვედეთში დარჩა სადაც მოგვიანებით გათხოვდა და მოქალაქეობაც მიიღო. 1964 წლის ინსბრუკის ოლიმპიადაზე ტოინიმ ვერცხლის მედალი მოიპოვა ესტაფეტაში. გრენობლის 1968 წლის ოლიმპიადზე გუსტაფსონმა მოიპოვა ორი ვერცხლის მედალი ინდივიდუალურ რბოლაში 5 და 10 კილომეტრზე. იმავე ოლიმპიადაზე გუსტაფსონის მეუღლემ, ასარ რენლუნდმა, შვედეთის ნაკრების შემადგენლობაში მოიპოვა ვერცხლის მედალი თხილა-მურებით ესტაფეტაში.

ლუდმილა ბელოუსოვა და ოლეგ პროტოპოპოვი

ფიგურულ სრიალში საბჭოთა წყვილმა, ცოლქმარმა ლუდმილა ბელოუსოვამ და ოლეგ პროტოპოპოვმა ზედიზედ ორ ოლიმპიადაზე მოიპოვეს ოქროს მედლები. ჯერ 1964 წელს ინსბურკში და შემდეგ 1968 წელს გრენობლში. 1964-1967 წლებში ოთხ-ოთხჯერ გახდნენ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები. დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ მათ კარიერა გააგრძელეს ლენინგრადის ყინულის საბალეტო დასში. 1979 წლის 24 სექტემბერს, დასი იმყოფებოდა გასტროლებზე შვეიცარიაში, სადაც ლუდმილა ბელოუსოვამ და ოლეგ პროტოპოპოვმა აღარ მოისურვეს სსრკ-ში დაბრუნება და მოითხოვეს პოლიტიკური თავშესაფარი და ამჟამადაც იქ ცხოვრობენ. ამ ამბავმა ძალიან აღაშფოთა სსრკს მთავრობის წარმომადგენლები, ცოლ-ქმარს ჩამოართვეს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. მათი გვარები ამოშალეს ყველა საბჭოთა ცნობარიდან და გამოაცხადეს საბჭოთა კავშირის მტრად და გამყიდველებად.

ირინა როდნინა და ალექსანდრ ზაიცევი

ირინა რადნინა არის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი. 1972 წელს საპოროს ოლიმპიადაზე მისი მეწყვილე იყო ალექსანდრე ულანოვი. 1976 წელს ინსბრუკში და 1980 წელს ლეიკ-პლესიდში იგი უკვე ოლიმპიური ჩემპიონი ხდება თავის ახალ მეწყვილე და მეუღლესთან ალექსანდრ ზაიცევთან. ამ წყვილმა გარდა ოლიმპიური ოქროს მედლებისა, 6-ჯერ მოიპოვა მსოფლიო და 7- ჯერ ევროპის ჩემპიონის ტიტული.

ლუდმილა პოხომოვა და ალექსანდრ გორშკოვი

1976 წელს, ინსბურკის ზამთრის ოლიმპიადაზე სპორტულ ცეკვებში ჩემპიონები ჩემპიონები გახდნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელები – **ლუდმილა პოხომოვა და ალექსანდრ გორშკოვი.** ეს წყვილი ექვს-ექვსჯერ იყო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი.

მალია ლიისა და ჰარი კირვესნიემი

ფინელ ცოლ-ქმარს მალია ლიისას და ჰარი კირვესნიემის ნამდვილად შეუძლიათ იტრაბახონ უნიკალური სპორტული მაჩვენებლებით. ისინი ერთად ასპარეზობდნენ ექვს ოლიმპიადაზე. წყვილმა 1984 წელს სარაევოში მოიპოვა მეტად შთამბეჭდავი გამარჯვება. მალია გახდა სამი ოქროს მედლის მფლობელი 5, 10 და 20 კილომეტრზე რბოლაში, ხოლო ესტაფეტაში მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. მის კოლექციაში კიდევ ხუთი ბრინჯაოს მედალია (სამი 1988 წელს კალგარიში და ორი 1994 წელს ლილეჰამერში). მისმა მეუღლემ 1984 წელს სარაევოში ორი ბრინჯაოს მედალი მოიგო ესტაფეტაში და 15 კმ რბოლაში. გარდა ამისა ჰარი კირვესნიემის მოპოვებული აქვს ბრინჯაოს კიდევ ოთხი მედალი (1980 – ლეიკ-პლესიდი, 1992 – ალბერვილი, 1994 – ლილეჰამერი და 1998 – ნაგანო).

ეკატერინა გორდეევა და სერგეი გრინკოვი

ლილეჰამერის 1994 წლის ოლიმპიადაზე გამარჯვება რუსმა მოციგურავეებმა ცოლ-ქმარმა ეკატერინა გორდეევამ და სერგეი გრინკოვმა მოიპოვეს. ისინი 1988 წელსაც ილიმპიური ჩემპიონები გახდენენ, მაგრამ მაშინ ჯერ არ იყვნენ დაქორწინებულები.

რაფაელ და ლივ-გრეტე პუარე

21-ე საუკუნის ყველაზე ცნობილი წყვილი ბიატლონში – რაფაელ და ლივ-გრეტე პუარეები. ისინი გამორჩეულნი არიან. მათი უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ ცოლ-ქმარი სპორტულ სარბიელზე ასპარეზობდნენ სხვადასხვა ქვეყნის სახელით. რაფაელ პუარემ 2002 წლის სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა საფრანგეთის სახელით, ხოლო მისმა მეუღლემ ლივ-გრეტემ იმავე ოლიმპიადაზე ორი ვერცხლის მედალი მოიგო ნორვეგიის სახელით.

ტყუპები ოლიმპიურ თამაშებზე

მსოფლიო ოლიმპიური სპორტის ისტორიაში უამრავი შემთხვევა, როდესაც სპორტის სხვადასხვა სახეობებში ასპარეზობაზე გამოდიოდნენ ტყუპები.

.

მსოფლიო ოლიმპიური სპორ-ტის ისტორიაში ჯერჯერობით **ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც სამმა ტყუპისცალმა დამ ერთდრო-ულად იასპარეზეს ოლიმპიურ თამაშებზე.** ესტონელმა ტყუპებმა – ლეილამ, ლიინამ და ლილი ლუიკებმა, 2016 წლის რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა. ისინი მარა-თონულ რბენაში გამოდიოდნენ.

ვილჰემ და ერიკ კარლბერგები

პირველი ტყუპები რომლებმაც მოიგეს ოქროს მედლები ოლიმპია-დაზე იყვნენ **შვედი ძმები ვილჰემ კარლბერგი (3 ოქრო) და ერიკ კარლბერგი (2 ოქრო).** ისინი 1912 წლის სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებზე ტყვიით სროლაში გამოდიოდნენ.



ბორის და ევგენი მაიოროვები ზამთრის ოლიმპიური თამაშების პირველი ტყუპი ჩემპიონები არიან. დაიბადნენ მოსკოვში 1938 წლის 11 თებერვალს. „უფროსი“ ტყუპისცალი – ბორისი (დაიბადა 20 წუთით ადრე) ყოფილი სსრკ-ს ჰოკეისტთა ნაკრები გუნდის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კაპიტანი იყო, ის ორჯერ გახდა ზამთრის ოლიმპიური თამაშების (1964 წელს ინსბრუკ-ში და 1968 წელს გრენობლში) და ექვსჯერ მსოფლიოს ჩემპიონი (1963-1968 წლებში). „უმცროსი“ ძმამ ევგენიმ კი 1964 წელს ინსბრუკის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

ფილ და სტივ მარეები

ამერიკელმა სამთო მოთხილამურე ტყუპებმა ფილიპ ფერდინანდ „ფილ“ და სტივენ ირვინგ „სტივ“ მარემ 1984 წლის სარევოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე შესაბამისად ოქროსა და ვერცხლის მედალი მოიპოვეს სლალომში, ფილმა თავის უმცროს ტყუპისცალს (იგი ოთხი წუთით უფროსია) 0,5 წამით აჯობა. ფილ მარე ასევე არის ლეიკ-პლესიდის 1980 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი. იგი მსოფლიო თასის სამგზის მფლობელია (1981-1983 წ.). თავისი წარმატებული კარიერის მანძილზე, 1976-1983 წლებში 27-ჯერ იმარჯვა მსოფლიო თასის ეტაპებზე. სტივ მარეს 1982 წელს გიგანტურ სლალომში მოპოვებული აქვს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ანატოლი და სერგეი ბელოგლაზოვები



განსაკუთრებულად გამოსარჩევია რუსი მოჭიდავეები, **ტყუპი ძმები ანატოლი და სერგეი ბელოგლაზოვები.** ისინი დაიბადნენ კალინინ-გრადში 1956 წლის 16 სექტემბერს. ერთი გამო-დიოდა 52 კგ. წონით კატეგორიაში (ანატოლი), მეორე 57 კგ-ში (სერგეი). **ანატოლი** არის მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი. **ხოლო სერგეი** ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი (1980 წელს მოსკოვში და 1988 წელს სეულში), მსოფლიოს ექვსგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი. ოთხჯერ მოიპოვა მსოფლიო თასი.

ბერნანდ და იორგ ლანდფოიხტები

მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ორადგილიანი ნავით, პირველი ადგილი დაიკავეს გერმანელმა ტყუპებმა – ბერნანდ და იორგ ლანდფოიხტებმა, რომლებმაც მეორე ადგილზე გასულ რუს ტყუპებს ნიკოლაი და იური პიმენოვებს რამოდენიმე წამით აჯობეს.

ნიკოლაი და იური პიმენოვები

მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ორადგილიანი ნავით, მეორე ადგილზე გავიდნენ და ვერცხლის მედლები მოიპოვეს **რუსმა ტყუპებმა - ნიკოლაი და იური პიმენოვებმა.** ისინი გამარჯვებული გერმანელ ტყუპებს - ბერნანდ და იორგ ლანდფოიხტებს სულ ცოტათი ჩამორჩნენ.

კარენ და სარა ჯოზეფსონები

გინესის რეკორდების წიგნში შესულია სარეკორდო ასაკი, რომელშიც მოპოვებულ იქნა ოლიმპიური ოქროს მედალი სინქრონულ ცურვაში-28 წელი და 210 დღე. ეს რეკორდი ეკუთვნით ტყუპ დებს შეერთებული შტატებიდან – კარენ და სარა ჯოსეფსონებს, რომლებმაც ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს ბარსელონას 1992 წლის თამაშებზე.

პეტერ და პავოლ ჰოხშორნერები

ტყუპები სლოვაკეთიდან, პეტერ და პავოლ ჰოხშორნერები, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონები არიან კანოე სლალომში. მათ ოქროს მედლები მოიპოვეს სიდნეის 2000 წლის, ათენის 2004 წლისა და პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. 2012 წელს ლონდონში კი ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ. ჰოხშორნერებს 10 - ჯერ აქვთ მოგებული მსოფლიო ჩემპიონატი, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული აქვთ 16 მედალი (10 ოქრო, 3 ვერცხლი და 3 ბრინჯაო).

ჯორჯინა და კარალინ ევერს - სვინდელები

ახალი ზელანდიის წარმომადგენლები, ტყუპი დები ჯორჯინა და კარალინ ევერს – სვინდელები ორგზის ოლიმპიური ჩემპიონები არიან აკადემიურ ნიჩბოსნობაში. მათ ორადგილიანი ნავებით ოქროს მედლები მოიპოვეს ათენის 2004 წლისა და პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე.

კამერონ და ტეილორ უინკლვოსები

კამერონ ჰოვარდ უინკლვოსი და ტეილორ ჰოვარდ უინკლვოსი ამერიკელი ტყუპი ნიჩბოსნები და ბიზნესმენები, დაიბადნენ ნიუ-იორკში 1981 წლის 21 აგვისტოს. 2008 წელს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ორადგილიანი ნავებით რბოლაში გავიდნენ ფინალში, მაგრამ დარჩნენ საპრიზო სამეულს მიღმა. მათი ყველაზე დიდი მიღწევა სპორტში არის 2007 წელს მოპოვებული ოქროს მედალი პანამერიკულ თამაშებზე. ძმები არიან სოციალური ქსელის «ConnectU» -ს დამფუძნებლები. დიდი ხნის განმავლობაში ისინი სასამართლოში უჩიოდნენ მარკ ცუკერბერგს, რომელსაც ბრალად სდებდნენ მათი საიტის იდეის მოპარვას, თავისი ქსელის «Facebook»ის შესაქმნელად.

მიშელ და რონალდ მიულდერები

ტყუპები ნიდელანდებიდან, მიშელ და რონალდ მიულდერები, საციგურაო სპორტში აღიარებული სპორტსმენები არიან. ტყუპისცალები მონაწილეობდნენ სოჭის 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სადაც რონალდმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო მიშელი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა 500 მეტრზე რბოლაში და 1000 მეტრზე ბრინჯაოს მედალი მოიგო. იგი არის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სპრინტერულ მრავალჭიდში (2013, 2014 წ.)

ლიზი და ანი ჰანერები

გერმანელი მარათონელები, ტყუპები, ლიზი და ანი ჰანერები მონაწილეობდნენ რიო დე ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც მათ ხელიხელ-ჩაკიდებულებმა გადაკვეთეს ფინიშის ხაზი და შესაბამისად დაიკავეს 81-ე და 82-ე ადგილები.

ტრეისი და ლენი ბარნსები

ამერიკელი ბიატლონისტები, ტყუპები ტრეისი და ლენი ბარნსები, მონაწილეობდნენ 2010 წლის ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც ათეულს მიღმა დარჩნენ. აღსანიშნავია, რომ ლენ ბარსმა ინდივიდუალურ რბოლაში უშეცდომოდ ისროდა და ეს იყო უკანასკნელი 16 წლის მანძილზე საუკეესო შედეგი ამერიკელ ქალ ბიატლონისტთა შორის.

ვალია და ვიტა სემერენკოები

უკრაინელი ბიატლონისტებმა, ტყუპებმა ვალია და ვიტა სემერენკოებმა სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე 2014 წელს მოიპოვეს ოქროს მედლები ესტაფეტაში. გარდა ამისა, ვიტა სემერენკომ ამავე ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიგო სპრინტში (7,5 კმ). ის არის მსოფლიო ჩემპიონატების სამგზის ბრინჯაოს პრიზიორი და ევროპის ჩემპიონი. ვალია სემერენკო არის მსოფლიო (2015 წ. მას-სტარტი) და ევროპის ჩემპიონი (2010 წ, სპრინტი 7,5 კმ). სულ ტყუპი დების მიერ მოპოვებულია მსოფლიო ჩემპიონატებზე 6 მედალი (1-ოქრო, 5-ბრინჯაო), ევროპის ჩეპიონატებზე კი 7 მედალი (2-ოქრო, 4-ვერცხლი და 1 - ბრინჯაო),

ბობი და მაიკლ ბრაიანები

ამერიკელი ტყუპები ბობი და მაიკლ ბრაიანები – მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელები არიან მამაკაცთა შორის. წყვილთა თანრიგში მათ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლები მოიპოვეს. ოთხი წლით ადრე კი პეკინის 2008 წლის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლები მოიგეს. ტყუპიცალებს 16 ჯერ აქვთ მოგებული მსოფლიოს ყელაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირი - „დიდი მუზარადის“ პრიზი.

ალექსანდრა და ეკატირინა ნემიჩები

რიო და ჟანეიროს 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე სინქრონულ ცურვაში გამოდიოდნენ **ტყუპი დები ყაზახეთიდან ალექსანდრა და ეკატირინა ნემიჩები.** დებმა ეს უფლება 2016 წლის მარტში ბრაზილიაში გამართულ სალიცენზიო ტურნირში მოიპოვეს.

ბია და ბრანკა ფერესები

ტყუპი დები, **ბია და ბრანკა ფერესები,** ბრაზილის ნაკრების სახელით სინქრონულ ცურვაში ასპარეზობდნენ რიო დე ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. ისინი 1988 წლის 22 თებერვალს დაიბადნენ. ვარჯიში ცურვაში დაიწყეს, შემდეგ კი 7 წლის ასაკიდან, სინქრონული ცურვაში გააგრძელეს მეცადინეობები. რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე დაიკავეს მე – 6 ადგილი. „მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ სპორტსმენთა“ რეიტინგში ჟურნალ „The Popcrunch“ ვერსიით 2016 წელს მეორე ადგილზე გავიდნენ.

კატერინა და მიშელ პლოიფები

რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე, კანადის კალათბურთელთა გუნდში თამაშობდნენ ტყუპები კატერინა და მიშელ პლოიფები.

.

დოპინგი და მასთან დაკავშირებული სკანდალები

დოპინგი - ფარმაკოლოგიური საშუალება, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება, რომელიც დროებით, მაგრამ მნიშვნელოვნად აძლიერებს ორგანიზმის ფიზიკურ და ფსიქიკურ მოქმედებას და ხელს უწყობს მაღალი სპორტული შედეგის მიღწევას, თუმცა დიდი ზიანი მოაქვს სპორტსმენის ჯანმრთელობისთვის და, შესაძლოა, სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს.

დოპინგის წარმოშობის ისტორიული ფესვები ალბათ ძალიან შორს წაგვიყვანს. უძველესი დროიდან ატლეტებს სჯეროდათ „სასწაულმოქმედი ელიქსირების“, რომლებსაც სოკოსა და ბალახებისაგან ამზადებდნენ. დროთა განმავლობაში ძველი მეთოდები იხვეწებოდა და ისინი სულ უფრო „სასაულმოქმედები“ ხდებოდნენ.

დოპინგის მოხმარება ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად სრულიად შემთხვევით, 1904 წლის სენტ-ლუისის ოლიმპიურ თამაშებზე დაფიქსირდა. ბრიტანული წარმოშობის ამერიკელ მარათონელს თომას ჰიკსს ფინიშამდე შვიდი მილით ადრე გული წაუვიდა, მისი მწვრთნელი იძულებული გახდა მორბენლის გონზე მოსაყვანად მისთვის სტრიქინის სულფატის ინექცია გაეკეთებინა, რასაც ზედ ფრანგული კონიაკის დიდი ულუფა დაუმატა. ამ „მეთოდმა“ სპორტსმენი გონზე მოიყვანა და რბენა გააგრძელა, მაგრამ ფინიშამდე ოთხი მილით ადრე კვლავ დაეცა.

მწვრთნელმა „მკურნალობა“ ისევ გაიმეორა. და ჰიკსმა ძლივს გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ეს გამარჯვება ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ გონებადაკარგული სპორტსმენი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს და ძლივს მოასულიერეს.

მაგრამ, 1908 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე მარათონში მონაწილე იტალიელმა კონდიტერმა დორანდო პიეტრიმ, უკვე წინასწარ, ქინაქინით შეზავებული ბრენდის მეშვეობით გადაწყვიტა გაეუმჯობესებინა საკუთარი რეკორდი. რბენის წინ მან მალულად დალია ეს ნაზავი სტიმულირების მიზნით, მაგრამ ეტყობა დოზა ზედმეტი მოუვიდა – იგი სტადიონზე პირველი შევიდა, მაგრამ ორიენტაცია დაკარგა და ნაცვლად იმისა წასულიყო ფინიშისაკენ საწინააღმდეგო მხარეს გაეშურა. მას მსაჯებმა მიუთითეს სწორი მიმართულება, მაგრამ ფინიშამდე 70 მეტრში გრძნობა დაკარგა და ბილიკზე დაეცა. მასთან ტრიბუნებიდან ჩამოსული ორი მაყურებელი მივიდა გრძნობაზე მოიყვანეს, მიეხმარენ და ფინიშამდე მიიყვანეს. იმ პერიოდში არანაირი კანონი დოპინგის შესახებ არ არსებობდა მაგრამ ის მაინც დისკვალიფიცირებული იქნა, რადგან ფინიშის ხაზი სხვისი დახმარებით გადაკვეთა. დორანდო პიეტრიმ რამოდენიმე დღე საავადმყოფოში გაატარა, რამაც ბრიტანელი დედოფლის ალექსანდრას თანაგრძნობა გამოიწვია. იგი თავისი ინიციატივით ესტუმრა სპორტსმენს და გადასცა მას იმ ოლიმპიური ოქროს თასის ასლი, რომელსაც ოლიმპიურ თამაშებზე მარათონულ რბენაში გამარჯვებულს დამატებით გადასცემენ ოქროს მედალთან ერთად.

XX საუკუნეში დოპინგის განვითარება ფარმაკოლოგიის მიღწევებს უკავშირდება. 30-იან წლებში გამოჩნდა ამფეტამინები, 40-იან წლებში – სტეროიდები, 50-იანი წლების ბოლოს – ანაბოლური სტეროიდები. დოპინგის პრეპარატების მომრავლებასთან ერთად იზრდებოდა მათი მიზეზით დაღუპულ სპორტსმენთა რიცხვიც. 1967 წელს “ტურ დე ფრანსის“ დროს ამფეტამინისა და ალკოჰოლის ნაზავის ჭარბი დოზის მიღების გამო მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ დაიღუპა 29 წლის ბრიტანელი ტომ სიმფსონი. სწორედ ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ დაუდო დასაბამი დოპინგის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას. 1967 წლის 20 დეკემბერს სოკმა მიიღო გადაწყვეტილება სპორტში დოპინგის აკრძალვისა და საერთაშორისო შეჯიბრებებზე დოპინგსაწინააღმდეგო კონტროლის დაწესების შესახებ. შეიქმნა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო („ვადა“), რომელმაც თავისი საქმიანობის კორდინაციის გასაუმჯობესებლად შექმნა რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციები.

2007 წელს მინკსში "ვადას" ინიციატივით ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელშიც ამჟამად გაერთიანებულია 12 ქვეყანა: საქართველო, ბელორუსია, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, მოლდოვა, სერბეთი, მონტენეგრო, მაკედონია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ალბანეთი.

სპორტში დოპინგის მოხმარებას არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია უცხადებს ბრძოლას. გაეროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ისიც კი განაცხადა, რომ თუ დოპინგის მოხმარების პრობლემას არაფერი ეშველება, არ არის გამორიცხული გარკვეული დროის მანძილზე დადგეს საკითხი რომელიმე სპორტის სახეობის აკრძალვის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში არაერთი სპორტსმენი დაისაჯა, დოპინგი მაინც პრობლემად რჩება და საერთაშორისო ოლიმპიური დოპინგ-სკანდალებიც გრძელდება.

რეკორდების მოხსნისთვის და ჩემპიონის ტიტულის მისაღებად ბევრი სპორტსმენი დღესაც აგრძელებს აკრძალული მეთოდების გამოყენებას. თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პროცესმა ძირეული გარდატეხა შეიტანა დოპინგ კონტროლის გამკაცრების კუთხით და დღეისათვის უფრო შესაძლებელი გახდა ადრეულ პერიოდში აღებული სინჯების საფუძვლიანი შემოწმება, რასაც 2008 და 2012 წლების ოლიმპიურ თამაშებზე მიღწეული შედეგების ხელახალ გასინჯვას საკმაოდ ბევრი შედეგების ანულირება მოჰყვა.

წარმოგიდგენთ მსოფლიო სპორტის ისტორიაში ყველაზე გახმაურებულ დოპინგ-სკანდალებს, რის გამოც, ბევრი ცნობილი სპორტსმენის კარიერას წერტილი დაესვა.

- ✓ 1968 წელს დოპინგის გამოყენებისათვის ბრინჯაოს მედლები ჩამოართვეს **შვედეთის თანამედროვე ხუთჭიდის ნაკრებს.**
- ✓ 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი ჩამოართვეს **ამერიკელ რიკ დემონტს** (ცურვა 400 მეტრზე, თავისუფალი სტილი). ვერცხლის მედალი ჩამოართვეს **მონღოლ ძიუდოისტს ბახვაინ ბუიადაას.** ბრინჯაოს მედლები კი ესპანელ ველოსიპედისტს **ხაუმე უელამოს** და ნიდერლანების ველოსიპედისტთა **ნაკრებ გუნდს.**
- ✓ 1976 წელს დოპინგის მიღებაში მხილებულ იქნენ მონრეალის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის მფლობელები, პოლონელი და ბულგარელი ძალოსნები, **ზბიგნევ კაჩმარეკი და ვალენტინ ხრისტოვი,** ასევე ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი ბულგარელი ძალოსანი **ბლაგოი ბლაგოევი.**
- ✓ 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლები ჩამოართვეს შვედ მოჭიდავეს – **ტომას იუხანსონს** და ფინელ მძლეოსანს (მორბენალს 10000 მეტრზე) – **მარტი ვაინიოს.**



✓ 1988 წელს სეულის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე მსოფლიოს 27 რეკორდი დამყარდა. ერთმა რეკორდმა მხოლოდ სამ დღეს იარსება: კანადელმა **ბენ ჯონსონმა** 100 მეტრზე რბენა მსოფლიო რეკორდით (9,79) მოიგო, მაგრამ დოპინგ-ტესტზე ჩავარდა, რის გამოც გამარჯვებიდან სამი დღის შემდეგ ოლიმპიური ოქროს მედალიც ჩამოართვეს და მსოფლიო რეკორდიც გაუუქმეს. ჯონსონის ამბავი ყველაზე ხმაურიანი დოპინგ-სკანდალი იყო ოლიმპიადების ისტორიაში. ამავე ოლიმპიადაზე მოპოვებული ოქროს მედლები ჩამოართვეს უნგრელ ძალოსანს **ანდორ სანის** და ბულგარელ ძალოსნებს **მიტკო გრაბლევს და ანგელ გენჩევს.**

✓ 1999 წლის აგვისტოში, ბარსელონას 1992 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, სიმაღლეზე ხტომაში, მსოფლიო რეკორდსმენს, კუბელ **ჰავიერ სოტომაიორს** კოკაინის გამოყენებისათვის ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. დღეისათვის ჰავიერ სოტომაიორს ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი (245 სმ).

✓ 1998 წლის ნაგანოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე კანადელმა სნოუბორდისტმა **როს რებალიატიმ** ოქროს მედალი მოიპოვა, მაგრამ შეჯიბრების დასრულების შემდეგ აღებულმა დოპინგ სინჯმა დადებითი შედეგი უჩვენა და მას მოპოვებული ჯილდო ჩამოართვეს.

✓ 2000 წლის სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკელმა მძლეოსანმა **მერიონ ჯონსმა** სამი ოქროსა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მისმა თანაგუნდელმა **ანტონიო პეტიგრიუმ და ჯერომ იანგმა** აშშ-ს ნაკრებთან ერთად იმარჯვეს ამანათრბენში 4 x 400 მეტრზე. მაგრამ 2007 წელს სინჯების ხელახალი შემოწმების შედეგად მათ დაუდგინდათ დოპინგის მიღება და ყველას ჩამოერთვათ ტიტულები და მედლები. თუმცა მოგვიანებით მერიონ ჯონსს, ლოზანის საარბიტრაჟო სასამართლომ (CAS) 2010 წლის გადაწყვეტილებით დაუბრუნა ესტაფეტებში აღებული ჯილდოები.

✓ კიდევ რვა სპორტსმენს, რომლებმაც სიდნეიში სხვადასხვა სინჯის მედლები მოიპოვეს ჩამოერთვათ ეს ჯილდოები და ორ-ორი წლით დისკვალიფიკაცია მიეცათ. ესენი იყვნენ სპორტსმენები რუმინეთიდან (**ანდრეა რედუკანი,** ტანვარჯიში მრავალჭიდში – ოქროს მედალი), გერმანიიდან (**ალექსანდრ ლიაიპოლდი** თავისუფალ ჭიდაობაში – ოქროს მედალი), ბულგარეთიდან (**იზაბელა დრაგნევა,** ძალოსნობა

– ოქრო, **ივან ავანივი,** ძალოსნობა – ოქრო, **სევდალინ მინჩევი,** ძალოსნობა – ბრინჯაო), სომხეთიდან **(აშოტ დანიელიანი,** ძალოსნობა – ბრინჯაო) და კოლუმბიიდან (მარია ლუიზა კალე, ველოსპორტი – ბრინჯაო).

- ✓ 2002 წლის სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიური თამაშების ცხრა მონაწილეს ჩამოართვეს მედლები, მათ შორის ესპანელ მოთხილამურეს **იოჰან მიულეგს,** რომელმაც 3 ოქროს მედალი მოიგო, ერთი ოქრო დოპინგის გამო ჩამოართვეს, ასევე ოქროს მედლები ჩამოართვეს რუსეთის წარმომადგენლებს მოთხილამურეებს **ოლგა დანილოვას და ლარისა ლაზუტინას**. სამ სპორტსმენს ვერცხლის და ერთს ბრინჯაოს მედლები ჩამოერთვათ.
- ✓ 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების **თექვსმეტი მონაწილე** გახდა დოპინგის მსხვერპლი, მათ შორის მედლები **ჩამოართვეს რვა ჩემპიონს** (უნგრელ მძლეოსანებს, უროს მტყორცნელ – **ადრიან ანუშს** და ბადროს მტყორცნელ – **რობერტ ფაზეკაშს,** უკრაინელ მძლეოსანს, ბირთვის მკვრელ – **იური ბელონოგს,** ამერიკელ სპრინტერს – **კრისტალ კოკს,** ამერიკელ ველოსიპედისტს – **ტეილორ ჰამილტონს,** რუს მძლეოსანს, ბირთვის მკვრელ – **ირინა კორჟანენკოს,** ირლანდიელ ცხენოსანს – **კიან ო'კონორს** და **გერმანელთა ცხენოსნობის ნაკრებ გუნდს). მედლები ჩამოართვეს სამ ვერცხლის და ხუთ ბრინჯაოს პრიზიორს.**

- ✓ **2004** წლის ნოემბერში ამერიკელ მძლეოსანს, სიდნეის 2000 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს ესტაფეტაში 4 x 400 მეტრზე და 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონს 400 მ. სირბილში, **ჯერემ იანგს** სამუდამოდ აუკრძალეს შეჯიბრებებში მონაწილეობა დოპინგის გამოყენების გამო. იანგის სპორტულ კარიერაში ეს პირველი დოპინგ სკანდალი არ იყო, რადგან ანალოიგური ბრალდება 1999 წელსაც წაუყენეს. აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტოს წესებით, სპორტსმენს, რომელსაც დოპინგის გამოყენებაში ორჯერ ამხელენ, სამუდამო დისკვალიფიკაციით ისჯება. ჯერემი იანგის ყველა შედეგი, რომელიც მან აჩვენა 1999 წლის 1 იანვრის შემდეგ, ანულირებულ იქნა.

- ✓ 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშების **26 მონაწილეს** ჩამოართვეს მედლები, მათ შორის ორ ოლიმპიურ ჩემპიონს (ძალოსანს ყაზახეთიდან – **ილია ილინს** და ბახრეინელ მძლეოსანს, 1500 მეტრზე მორბენალს – **რაშიდ რამზის),** ილინის წონაში (94 კგ) ოლიმპიადის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი პოლონელ **შიმონ კოლეცკის** ერგო, ხოლო მეოთხე ადგილზე გასულ ჩვენ თანამემამულეს - **არსენ**

კასაბიევს ვერცხლის მედალი გადაეცა. პეკინი ოლიმპიურ თამაშებზე ასევე მედლები ჩამოერთვათ ვერცხლის ათ და ბრინჯაოს თოთხმეტ პრიზიორს.

- ✓ 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე 24 სპორტსმენს ჩამოართვეს ჩამოართვეს მედლები. დისკვალიფიცირებულთა შორის მოხვდა **ოლიმპიური თამაშების ცხრა ჩემპიონი** (რუსი მძლეოსნები. 3000მეტრზე მორბენალი – **იულია ზარიპოვა**, სპორტული მოსიარულე – **სერგეი კირდიაპკინი,** მძლეოსანი, ურიოს მტყორცნელი – **ტატიანა ლისენკო,** ყაზახეთის წარმომადგენლები, ძალოსნები – **ილია ილინი, ზულფია ჩინშანლო, სვეტლანა პოდობედოვა და მაია მანეზა,** ბელორუსელი ბირთვის მკვრელი – **ნადეჟდა ოსტაპჩუკი,** თურქი მძლეოსანია 500 მეტრზე მორბენალი **ასლი აპტეკინი),** 8 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალოსანი.
- ✓ 2012 წელს დიპონგ სკანდალში სახელგანთქმული ამერიკელი ველომრბოლელი ლენს არმსტრონგი გაეხვა. ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიესაჯა, სპორტსმენს ასევე 1998 წლიდან მიღებული ყველა ჯილდო, ოლიმპიური მედლები, ჩემპიონის ტიტულები ჩამოერთვა.
- ✓ 2016 წელს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გააუქმა 2008 წელს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე იამაიკის ნაკრების მიერ ნაჩვენები შედეგი მძლეოსნობაში, (ესტაფეტაში 4 x100 მეტრზე). დოპინგ სინჯის გადამოწმებამ უჩვენა, რომ ესტაფეტაში მონაწილე ერთ სპორტსმენს, ნესტა კარტერს, ანალიზში აღმოაჩნდა აკრძალული პრეპარატი. ამის გამო მთელ გუნდს და მათ შორის უსაინ ბოლტსაც ჩამოერთვათ ოლიმპიური ოქროს მედლები.
- ✓ რიო-დე-ჟანეიროს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე დოპინგ-სკანდალი დაფიქსირდა ჯერ კიდევ თამაშების დაწყებამდე. უმსხვილეს სპორტულ მოვლენას ერთდროულად სამი ათლეტი დაემშვიდობა. ლოზანის სპორტული არბიტრაჟის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ოლიმპიადაზე გამოსვლა ჩინელ მოცურავე **ჩინ სინის,** პოლონელ ძალოსან **ტომაშ ზელენსკისა** და 3 000 მეტრზე მორბენალ ბულგარელ მძლეოსან **სილვია დონკოვას** აეკრძალათ. ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ დოპინგ-ტესტებზე ჩავარდნენ და მედლები ჩამოერთვათ: ამერიკელ მძლეოსანს – **გილ რობერტს** (ოქრო), რუსეთის წარმომადგენელს, მოკრივეს – **მიხეილ ალოიანს** (ვერცხლი), კირგიზ ძალოსანს **იზაატ არტიკოვს** (ბრინჯაო) და რუმინელ ძალოსანს **გაბრიელ სინკრზიანს** (ბრინჯაო). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გილ რობერტს ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციამ, რომელიც იხილავდა სპორტსმენის საქმეს, გაამართლა იგი და მას დაუბრუნეს ოქროს მედალი და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტული.
- ✓ 2016 წლისათვის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, მედლები ჩამოერთვა 115 სპორტსმენსა და გუნდს. მაგრამ მოგვიანებით თერთმეტს დაუბრუნეს ჯილდოები და აღუდგინეს ტიტულები. დღეისათვის სულ 104 სპორტსმენია, რომელსაც ჩამორთმეული აქვს ოლიმპიური მედლები. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი რაოდენობა – **38 მოდის ძალოსნებზე** (არც ერთ მათგანს მედლები არ დაბრუნებიათ), **შემდეგ მძლეოსნებზე – 37** (აქ ექვსი შემთხვევაა

დაფიქსირებული, როდესაც ოლიმპიური მედლები დაუბრუნდათ). ხშირია მედლების ჩამორთმევის შემთხვევები **სათხილამურო და ველო სპორტში.**

- ✓ ყველაზე მეტჯერ მედლების ჩამორთმევა დაფიქსირდა **2008 წლის პეკინის (26 ჯერ,** მაგრამ ორს უკან დაუბრუნდა მედალი) **და 2012 წლის ლონდონის (24 ჯერ,** არავისთვის მედლები არ დაუბრუნებიათ) ოლიმპიადებზე.
- ✓ ქვეყნებს შორის, დოპინგის გამო, ყველაზე მეტი მედლები ჩამოერთვათ **რუსეთის ნაკრებს – 35** (არც ერთი დაბრუნება), **აშშ-ს ნაკრებს – 15** (4 სპორტსმენს მედალი დაუბრუნდა), **ყახახეთს – 8** (არც ერთი დაბრუნება).
- ✓ **რუსეთის ფედერაციამ: 2008 წლის პეკინის ზაფხულის ოლიმპიურ** თამაშებზე სულ მოიპოვა 73 მედალი (23 ოქრო, 21 ვერცხლი დ 29 ბრინჯაო), მაგრამ დოპინგ კონტროლის შემდეგ **მათ ჩამოერთვათ 11 მედალი (1 ოქრო, 4 ვერცხლი და 6 ბრინჯაო).**
- ✓ **2012 წლის ლონდონის ზაფხულის ოლიმპიადაზე** რუსების მონაგარი იყო 82 მედალი, მაგრამ დოპინგ კონტროლის შემდეგ იგი დავიდა 71-მდე. რუსეთის გუნდს **11 მედალი ჩამოართვეს (3 ოქრო, 7 ვერცხლი და ერთი ბრინჯაო).**
- ✓ **2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე** რუსებმა 33 მედალი მოიგეს, მაგრამ საბოლოოდ მათ დოპინგ-კონტროლის შემდეგ 20 მედალი დარჩათ. მათ **4 - ოქროს, 8 - ვერცხლისა და 1- ბრინჯაოს მედალი ჩამოერთვათ**.
- ✓ 2017 წლის ბოლოს, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, მსოფლიო სპორტის ისტორაში უპრეცენდენტო გადაწყვეტილება მიიღო, 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე, რომელიც სამხრეთ კორეის ქალაქ პიონჩანში ჩატარდა, რუსეთის ოლიმპიური ნაკრების არც ერთი სპორტსმენი არ დაუშვეს. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა რუსეთის გუნდს შეჯიბრებაში მონაწილეობა აუკრძალა დოპინგის გამო. ზამთრის ოლიმპიადაზე რამდენიმე რუსი სპორტსმენი მაინც გამოჩნდა, თუმცა დამოუკიდებლად, ინდივიდუალური შემოწმების შემდეგ. მაგრამ რუსეთის დროშის ქვეშ ვერც ისინი გამოვიდნენ, მათ ნეიტრალური – ოლიმპიადის დროშის ქვეშ მოუწიათ ასპარეზობა.

ყველაფერი ქართველი ოლიმპიელების შესახებ

საქართველოს სპორტის ოლიმპიური ისტორია XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება.

სამწუხაროდ, საქართველოს სპორტსმენებს 1952 წლამდე არ შეეძლოთ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დამოუკიდებ-ლობადაკარგული ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა და მხოლოდ მისი სახელით შეეძლო ასპარეზობა ასეთი დონის საერთაშორისო შეჯიბრებაში. მაგრამ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას თითქმის 30 წლის მანძილზე არანაირი მცდელობა არ ჰქონია გაერთიანებულიყო საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, რაც მათ საშუალებას მისცემდა ეასპარეზათ მსოფლიოს უდიდეს სპორტულ ფორუმზე. როცა საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში მონაწილეობის თაობაზე, 1951 წლის 23 აპრილს შეიქმნა სსრკ ოლიმპიური კომიტეტი.

1951 წლის 7 მაისს ვენის სესიამ სსრკ ოლიმპიური კომიტეტი სოკის წევრად მიიღო. ამ წინადადებას დაეთანხმა სოკის 31 წევრი, სამმა კი თავი შეიკავა. იქვე გადაწყდა, რომ საბჭოთა სპორტსმენებს მიიწვევდნენ 1952 წლის ზამთრისა (ოსლო) და ზაფხულის (ჰელსინკი) ოლიმპიადებზე.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პირველმა სესიამ დაადგინა, რომ საბჭოთა სპორტსმენები 1952 წელს მხოლოდ ზაფხულის თამაშებში იასპარეზებდნენ, ზამთრის ოლიმპიადებში კი 1956 წლიდან ჩაებმებოდნენ.

- **ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე სსრკ ნაკრების შემადგენლობაში მხოლოდ ერთადერთი ქართველი სპორტსმენი, ტრამპლინიდან თხილამურებით მხტომელი კობა წაქაძე ასპარეზობდა. იგი მონაწილეობდა ოთხ ოლიმპიურ თამაშებზე (1956, 1960, 1964, 1972 წლებში).**

- საქართველოს სპორტსმენებმა 1952 წლიდან 2018 წლის ჩათვლით მონაწილეობა მიიღეს ზაფხულის 16 და ზამთრის 11 ოლიმპიურ თამაშებში
- აქედან სსრ კავშირის სახელით (1952-1988 წ.წ.) იასპარეზეს ზაფხულის 9 და ზამთრის 4 ოლიმპიადაზე, სადაც მოიპოვეს 95 მედალი, მათ შორის:

31- ოქრო

23 - ვერცხლი

41- ბრინჯაო

- 1992 წელს საქართველოს სპორტსმენები ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობდნენ გაერთიანებული გუნდის სახელით (დსთ) და მოიპოვეს 8 მედალი (3 ოქრო, 5 ვერცხლი);
- ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე ძიუდოისტმა დავით ხახალეიშვილმა პირველმა მოიპოვა ოქროს მედალი და პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში გაჟღერდა საქართველოს ჰიმნი და აღიმართა საქართველოს დროშა.

- დამოუკიდებელი საქართველოს სახელით 1994 წლიდან 2018 წლის ჩათვლით ჩვენმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ზაფხულის 6 და ზამთრის 7 ოლიმპიადაზე;
- სულ, მოპოვებულია 31 მედალი, მათ შორის:

8 - ოქრო

8 - ვერცხლი

15- ბრინჯაო

- 1952 წლიდან 2018 წლის ჩათვლით საქართველოდან ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა 280 სპორტსმენი (45 ქალი);
- სულ, საქართველოს სპორტსმენებს, ოლიმპიურ თამაშებზე 1952 წლიდან დღემდე, მოპოვებული აქვთ 126 მედალი (39 ოქრო, 31 ვერცხლი, 56 ბრინჯაო).

ყველაზე მეტჯერ ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზეს:

- ნინო სალუქვაძემ – 8-ჯერ (1988, 1992, 1996, 2000, 2004, 2008, 2012, 2016);
- კობა წაქაძემ – 4-ჯერ (1956, 1960, 1964, 1972);
- ვიქტორ სანეევმა – 4-ჯერ (1968, 1972, 1976, 1980.);
- ილია გიორგაძემ – 4-ჯერ (1996, 2000, 2004, 2008);
- ქრისტინე ესებუამ – 4-ჯერ (2004, 2008, 2012, 2016);
- ხათუნა ფუტკარაძე-ნარიმანიძემ – 4-ჯერ (2000, 2004, 2008, 2016);
- ომარ ფხაკაძემ – 3-ჯერ (1964, 1968, 1972);
- თამაზ იმნაიშვილმა – 3-ჯერ (1980, 1988, 1996)
- ლუკა კურტანიძემ – 3-ჯერ (1996, 2000, 2004);
- ხათუნა ქვრივიშვილმა – 3-ჯერ (1992, 1996, 2000);
- კახაბერ წაქაძემ – 3-ჯერ (1992, 1998, 2002);
- ოთარ თუშიშვილმა – 3-ჯერ (2000, 2004, 2008);
- ლევან აბრამიშვილმა – 3-ჯერ (1994, 1998, 2002);
- ნესტორ ხერგიანმა – 3-ჯერ (2000, 2004, 2008);
- დავით ილარიანმა – 3-ჯერ (2004, 2008, 2012);
- ლუბა გოლოვინამ – 3-ჯერ (2008, 2012, 2016);

67-მა სპორტსმენმა მონაწილეობა მიიღო ორ-ორ ოლიმპიადაზე, დანარჩენმა 203 კი – თითო-თითოჯერ.

სპორტის სახეების მიხედვით ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი:

1) თავ. ჭიდაობა – 60 (სპორტსმენი - 34)
2) ძიუდო – 56 (სპორტსმენი - 42)
3) ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 45 (სპორტსმენი – 36)
4) მძლეოსნობა – 33 (სპორტსმენი - 29)
5) ძალოსნობა – 19 (სპორტსმენი - 15)
6) ცურვა –17 (სპორტსმენი - 14)
7) ტყვიის სროლა –17 (სპორტსმენი - 6)

შენიშვნა: თუ თავისუფალ ჭიდაობაში მონაწილეობდა 60 პირი და ფრჩხილებში წერია 34 სპორტსმენი, ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი სპორტსმენი 2 ან 3 ოლიმპიურ თამაშში მონაწილეობდა.

სამი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა:

ვიქტორ სანეევმა – მძლეოსნობაში (სამხტომი) – 1968 წელს, მეხიკოში, 1972 წელს, მიუნჰენში და 1976 წელს, მონრეალში.

ორი ოქროს მედალი აქვს თავისუფალი სტილით მოჭიდავე **ლევან თედიაშვილს** (1972 წელს, მიუნჰენში და 1976 წელს, მონრეალში).

დანარჩენ 34 სპორტსმენს მოპოვებული აქვს თითო ოქროს მედალი.

ცამეტ სპორტსმენს (რომლებიც ცხოვრობდნენ და სპორტში მეცადინეობები დაიწყეს საქართველოში) **14 ოქროს მედალი მოპოვებული აქვს სხვა ქვეყნისთვის:**

1. **არსენ მეკოკიშვილს** რუსეთისთვის (თავისუფალ ჭიდაობაში, 1952 წელს ჰელსინკში);

2. **სტანისლავ ლუგაილოს** რუსეთისთვის (ფრენბურთში 1964 წელს, ტოკიოში);

3. **ალექსანდრე გაზოვს** რუსეთისთვის (ტყვიის სროლაში 1976 წელს, მონრეალში);

4. **ვლადიმერ დოროხოვს** რუსეთისთვის (ფრენბურთში 1980 წელს, მოსკოვში);

5. **ბორის კოკორევს** რუსეთისთვის (ტყვიის სროლაში 1996 წელს ატლანტაში);

6. **სერგეი ალიფერენკოს** რუსეთისთვის (ტყვიის სროლაში 2000 წელს, სიდნეიში);

7. **სერგეი კოვალენკოს** უკრაინისთვის (კალათბურთში 1972 წელს, მიუნჰენში);

8. **კახი კახიაშვილს** საბერძნეთისთვის - 2 (ძალოსნობაში 1996 წელს, ატლანტაში და 2000 წელს, სიდნეიში);

9. **ანტონ სიხარულიძეს** რუსეთისთვის (ფიგურულ სრიალში 2002 წელს, სოლტ ლეიკ სიტიში);

10. **ანა დოღონაძეს** გერმანიისთვის (ბატუტზე ხტომაში 2004 წელს, ათენში);

11. **ალექსანდრე დოხტურიშვილს** უზბეკეთისთვის (ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2004 წელს, ათენში);

12. **ჯარჯი ზვიადაურს** საბერძნეთისთვის (ძიუდოში 2004 წელს, ათენში).

13. **დავით ჩაკვეტაძეს** რუსეთისათვის (ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, 2016 წელს, რიო დე ჟანეიროში).

ერთ ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტი - 6 ოქროს მედალი ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 1972 წელს, მიუნხენის XX ოლიმ-პიურ თამაშებზე:

ზურაბ საკანდელიძემ – კალათბურთი;
მიხეილ ქორქიამ – კალათბურთი;
შოთა ჩოჩიშვილმა – ძიუდო;
ლევან თედიაშვილმა – თავ. ჭიდაობა;
ვიქტორ კრატასიუკმა – ნიჩბოსნობა;
ვიქტორ სანეევმა – მძლეოსნობა;

სულ ოლიმპიურ თამაშებზე, სპორტის სახეობების მიხედვით, ოქროს მედლები მოპოვებული აქვთ სპორტის 14 სახეობის წარმომადგენლებს:

- **თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს - 8** (1952 წელს ჰელსინკში დ. ციმაკურიძეს, 1956 წელს სიდნეიში – მ. ცალქალამანიძეს, 1972 წელს მიუნჰენში და 1976 წელს მონრეალში ლ. თედიაშვილს, 1988 წელს სეულში დ. გობეჯიშვილს, 1992 წელს ბარსელონაში ლ. ხაბელოვს, 2008 წელს პეკინში რ. მინდორაშვილს და ვლადიმერ ხინჩეგაშვილს, 2016 წელს რიო დე ჟანეიროში);

- **ძიუდოისტებს – 6** (1972 წელს მიუნჰენში შ. ჩოჩიშვილს, 1980 წელს მოსკოვში შ. ხაბარელს, 1992 წელს ბარსელონაში დ. ხახალეიშვილს, 2004 წელს ათენში ზ. ზვიადაურს, 2008 წელს პეკინში ი. ცირეკიძეს და ლ. შავდათუაშვილმა 2012 წელს ლონდონში);

- **ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს – 5** (1956 წელს მელბურნში გ. კარტოზიას, 1960 წელს რომში ა. ქორქიას, 1968 წელს მეხიკოში რ. რურუას, 1980 წელს მოსკოვში ვ. ბლაგიძეს, და 2008 წელს პეკინში მ. კვირკველიას);

- **მძლეოსნებს – 4** (1960 წელს რომში რ. შავლაყაძეს, 1968 წელს მეხიკოში, 1972 წელს მიუნჰენში და 1976 წელს მონრეალში ვ. სანეევს);

- **ძალოსნებს – 4** (1952 წელს რ. ჩიმიშკიანს ჰელსინკში, 1992 წელს ბარსელონაში კ. კახიაშვილს, 2004 წელს ათენში გ. ასანიძეს და ლაშა ტალახაძეს 2016 წელს რიო დე ჟანეიროში);
- **ტანმოვარჯიშეებს – 2** (1952 წელს ჰელსინკში მ. ჯუღელს, 1988 წელს სეულში ვ. გოგოლაძეს);

- **კალათბურთელებს – 2** (1972 წელს მიუნჰენში მ. ქორქიას და ზ. საკანდელიძეს);

- **მოფარიკავეებს – 2** (1964 წელს ტოკიოში ნ. ასათიანს, 1988 წელს სეულში ვ. აფციაურს);

თითო ოქროს მედალი აქვთ:

- **ტყვიის მსროლელებს** (1988 წელს სეულში ნ. სალუქვაძეს);
- **ფრენბურთელებს** (1964 წელს ტოკიოში ვ. კაჭარავას);
- **ხელბურთელებს** (1976 წელს მონრეალში ა.ანპილოგოვს);
- **ნიჩბოსნებს** (1972 წელს მიუნჰენში ვ. კრატასიუკს);
- **მშვილდოსნებს** (1980 წელს მოსკოვში ქ. ლოსაბერიძეს);
- **ფეხბურთელებს** (1988 წელს სეულში გ. კეტაშვილს);

ყველაზე მეტი ოლიმპიური მედალი მოპოვებული აქვთ:

- ვ. სანეევს – 4 (3 ოქრო, 1 ვერცხლი);
- ლ. თედიაშვილს – 2 (2 ოქრო);
- ნ. სალუქვაძეს – 3 (1 ოქრო, 1 ვერცხლი 1 ბრინ-ჯაო);
- მ. ჯუღელს – 2 (1 ოქრო, 1 ვერცხლი);
- რ. რურუას – 2 (1 ოქრო, 1 ვერცხლი);
- ა. ანპილოგოვს – 2 (1 ოქრო, 1 ვერცხლი);
- დ. გობეჯიშვილს – 2 (1 ოქრო, 1 ბრინჯაო);
- ლ. ხაბელოვს – 2 (1 ოქრო, 1 ვერცხლი);
- გ. კარტოზიას – 2 (1 ოქრო, 1 ბრინჯაო);
- შ. ჩოჩიშვილს – 2 (1 ოქრო, 1 ბრინჯაო);
- მ. ქორქიას – 2 (1 ოქრო, 1 ბრინჯაო);
- გ. ასანიძეს – 2 (1 ოქრო, 1 ბრინჯაო)
- დ. შანიძეს – 2 (2 ვერცხლი);
- ნ. დვალიშვილი-ხნიკინას - 2 (2 ბრინჯაო);
- გ. კოსტავას – 2 (2 ბრინჯაო);
- ლ. კურტანიძეს – 2 (2 ბრინჯაო);

ოლიმპიური მედლები სპორტის სახეობების მიხედვით

ცხრილი N15

№	სპორტის სახეობები	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ
1.	თავისუფალი ჭიდაობა	8	7	11	26
2.	ძალოსნობა	4	3	2	9
3.	ძიუდო	6	4	9	19
4.	ბერძ-რომაული ჭიდაობა	5	3	8	16
5.	მძლეოსნობა	4	3	4	11
6.	კალათბურთი	2	5	4	11
7.	სპორტული ტანვარჯიში	2	1		3
8.	ფარიკაობა	2	-	2	4
9.	ტყვიის სროლა	1	2	1	4
10.	ხელბურთი	1	1	-	2
11.	მშვილდოსნობა	1	-	1	2
12.	ფრენბურთი	1		-	1
13.	ნიჩბოსნობა	1	-	-	1
14.	წყალბურთი	-	2	2	4
15.	ფეხბურთი	1	-	5	6
16.	კრივი	-	-	2	2
17.	ცურვა	-	-	1	1
18.	ველოსპორტი	-	-	1	1
19.	წყალში ხტომა	-	-	1	1
20.	თანამედროვე ხუთჭიდი	-	-	1	1
21.	ჩოგბურთი	-	-	1	1
	სულ	**39**	**31**	**56**	**126**

ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ყველა მედალი

1952 წ. XV ოლიმპიადა (ჰელსინკი)

საქართველოდან მონაწილეობდა 14 სპორტსმენი,

მოიპოვეს 9 მედალი (**3** ოქრო, **4** ვერცხლი, **2** ბრინჯაო).

ოქროს მედალოსნები

- **დავით ციმაკურიძე (თავისუფალი ჭიდაობა);**
- **რაფაელ ჩიმიშკიანი (ძალოსნობა);**
- **მედეა (მზია) ჯუღელი (ტანვარჯიში).**

ვერცხლის მედალოსნები

- მედეა (მზია) ჯუღელი (ტანვარჯიში);
- ოთარ ქორქია (კალათბურთი);
- ნოდარ ჯორჯიკია (კალათბურთი);
- ლევან სანაძე (მძლეოსნობა, ესტაფეტა 4 x 100).

ბრინჯაოს მედალოსნები

- ნადეჟდა დვალიშვილი-ხნიკინა (მძლეოსნობა, სირბილი 200 მ);
- ნინო დუმბაძე (მძლეოსნობა, ბადროს ტყორცნა).

1956 წ. XVI ოლიმპიადა (მელბურნი)

საქართველოდან მონაწილეობდა 10 სპორტსმენი.

მოიპოვეს 8 მედალი (2 ოქრო, 6 ვერცხლი).

ოქროს მედალოსნები

- **გივი კარტოზია (კლასიკური ჭიდაობა)**
- **მირიან ცალქალამანიძე (თავისუფალი ჭიდაობა)**

ვერცხლის მედალოსნები

- ვახტანგ ბალავაძე (თავისუფალი ჭიდაობა)
- გიორგი სხირტლაძე (თავისუფალი ჭიდაობა)
- რომან ძნელაძე (კლასიკური ჭიდაობა)
- ნადეჟდა დვალიშვილი- ხნიკინა (მძლეოსნობა, სიგრძეზე)
- ბორის ნიკიტინი (ცურვა)
- ნოდარ გვახარია (წყალბურთი)

1960 წ. XVII ოლიმპიადა (რომი)

საქართველოდან მონაწილეობდა 16 სპორტ-სმენი, მოიპოვეს 10 მედალი (2 ოქრო, 5 ვერ-ცხლი, 3 ბრინჯაო).

ოქროს მედალოსნები

- **რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა, სიმაღლეზე ხტომა)**
- **ავთანდილ ქორიძე (კლასიკური ჭიდაობა)**

ვერცხლის მედალოსნები

- გიორგი სხირტლაძე (თავისუფალი ჭიდაობა)
- გურამ მინაშვილი (კალათბურთი)
- ვლადიმერ უგრეხელიძე (კალათბურთი)
- გივი ჩიქვანაია (წყალბურთი)
- ლერი გოგოლაძე (წყალბურთი)

ბრინჯაოს მედალოსნები

- ვლადიმერ რუბაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
- გივი კარტოზია (კლასიკური ჭიდაობა)
- გურამ კოსტავა (ფარიკაობა)

1964 წ. XVIII ოლიმპიადა (ტოკიო)

საქართველოდან მონაწილეობდა 18 სპორტსმენი, მოიპოვეს 11 მედალი (2 ოქრო, 4 ვერცხლი, 5 ბრინჯაო).

ოქროს მედალოსნები

- **ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა, ხმალი)**
- **ვაჟა კაჭარავა (ფრენბურთი)**

ვერცხლის მედალოსნები

- რომან რურუა (კლასიკური ჭიდაობა)
- გურამ საღარაძე (თავისუფალი ჭიდაობა)
- შოთა ქველიაშვილი (ტყვიის სროლა)
- ლევან მოსეშვილი (კალათბურთი)

ბრინჯაოს მედალოსნები

- გურამ კოსტავა (ფარიკაობა, დაშნა)
- ნოდარ ხოხაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
- დავით გვანცელაძე (კლასიკური ჭიდაობა)
- ანზორ კიკნაძე (ძიუდო)
- ფარნაოზ ჩიკვილაძე (ძიუდო)

1968 წ. XIX ოლიმპიადა (მეხიკო)

საქართველოდან მონაწილეობდა 14 სპორტსმენი, მოიპოვეს 11 მედალი (2 ოქრო, 2 ვერცხლი, 2 ბრინჯაო).

ოქროს მედალოსნები

- **რომან რურუა (კლასიკური ჭიდაობა)**
- **ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა, სამხტომი)**

ვერცხლის მედალოსნები

- დიტო შანიძე (ძალოსნობა)
- შოთა ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა)

ბრინჯაოს მედალოსნები

- ზურაბ საკანდელიძე (კალათბურთი)
- სერგეი კოვალენკო (კალათბურთი)

1972 წ. XX ოლიმპიადა (მიუნხენი)

საქართველოდან მონაწილეობდა 16 სპორ-ტსმენი, მოიპოვეს 11 მედალი (6 ოქრო, 1 ვერცხლი, 4 ბრინჯაო).

ოქროს მედალოსნები

- **ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა, სამხტომი)**
- **ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)**
- **შოთა ჩოჩიშვილი (ძიუდო)**
- **ზურაბ საკანდელიძე (კალათბურთი)**
- **მიხეილ ქორქია (კალათბურთი)**
- **ვიქტორ კრატასიუკი (ნიჩბოსნობა, ბაიდარები)**

ვერცხლის მედალოსნები

- დიტო შანიძე (ძალოსნობა)

ბრინჯაოს მედალოსნები

- ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი, ტრეკი)
- გივი ონაშვილი (ძიუდო)
- მურთაზ ხურცილავა (ფეხბურთი)
- რევაზ ძოძუაშვილი (ფეხბურთი)

1976 წ. XXI ოლიმპიადა (მონრეალი)

Montréal 1976

საქართველოდან მონაწილეობდა 11 სპორტსმენი, მოიპოვეს 6 მედალი (3 ოქრო,1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო).

ოქროს მედალოსნები

- **ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)**
- **ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა, სამხტომი)**
- **ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი)**

ვერცხლის მედალოსნები

- რამაზ ხარშილაძე (ძიუდო)

ბრინჯაოს მედალოსნები

- შოთა ჩოჩიშვილი (ძიუდო)
- მიხეილ ქორქია (კალათბურთი)

1980 წ. XXII ოლიმპიადა (მოსკოვი)

საქართველოდან მონაწილეობდა 16 სპორტ-სმენი, მოიპოვეს 12 მედალი (3 ოქრო, 4 ვერცხლი, 5 ბრინჯაო).

ოქროს მედალოსნები

- **ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა)**
- **ვახტანგ ბლაგიძე (კლასიკური ჭიდაობა)**
- **შოთა ხაბარელი (ძიუდო)**

ვერცხლის მედალოსნები

- ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა, სამხტომი)
- საიდა გუნბა (მძლეოსნობა, შუბის ტყორცნა)
- თეიმურაზ ხუბულური (ძიუდო)
- ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი)

ბრინჯაოს მედალოსნები

- ლიანა ცოტაძე (წყალში ხტომა)
- ნიკოლოზ დერიუგინი (კალათბურთი)
- ალექსანდრე ჩივაძე (ფეხბურთი)
- თენგიზ სულაქველიძე (ფეხბურთი)
- რევაზ ჩელებაძე (ფეხბურთი)

1988 წ. XXIV ოლიმპიადა (სეული)

საქართველოდან მონაწილეობდა 16 სპორტსმენი, მოიპოვეს 12 მედალი (5 ოქრო, 2 ვერცხლი, 5 ბრინჯაო).

ოქროს მედალოსნები

- **ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა)**
- **დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)**
- **ვლადიმერ აფციაური (ფარიკაობა)**
- **ვლადიმერ გოგოლაძე (ტანვარჯიში)**
- **გელა კეტაშვილი (ფეხბურთი)**

ვერცხლის მედალოსნები

- ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა)
- ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა)

ბრინჯაოს მედალოსნები

- ამირან ტოტიკაშვილი (ძიუდო)
- გიორგი თენაძე (ძიუდო)
- ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი)
- მიხეილ გიორგაძე (წყალბურთი)
- მაია აზარაშვილი (მძლეოსნობა)

1992 წ. XXV ოლიმპიადა (ბარსელონა)

საქართველოდან მონაწილეობდა 12 სპორტსმენი, მოიპოვეს 8 მედალი (3 ოქრო, 5 ბრინჯაო).

ოქროს მედალოსნები

- **დავით ხახალეიშვილი (ძიუდო)**
- **კახი კახიაშვილი (ძალოსნობა)**
- **ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა)**

ბრინჯაოს მედალოსნები

- გიორგი კოღუაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
- დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
- ლეილა მესხი (ჩოგბურთი)
- რამაზ ფალიანი (კრივი)
- ხათუნა ქვრივიშვილი (მშვილდოსნობა)

1996 წ. XXVI ოლიმპიადა (ატლანტა)

საქართველოდან მონაწილეობდა 32 სპორტსმენი, მოიპოვეს 2 ბრინჯაოს მედალი.

- სოსო ლიპარტელიანი (ძიუდო)
- ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა)

2000 წ. XXVII ოლიმპიადა, სიდნეი.

საქართველოდან მონაწილეობდა 36 სპორტსმენი, მოიპოვეს 6 ბრინჯაოს მედალი.

- გიორგი ვაზაგაშვილი (ძიუდო)
- გიორგი ასანიძე (ძალოსნობა)
- აკაკი ჩაჩუა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
- ვლადიმერ ჭანტურია (კრივი)
- მუხრან ვახტანგაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
- ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა)

2004 წ. XXVIII ოლიმპიადა (ათენი)

საქართველოდან მონაწილეობდა 33 სპორტსმენი, მოიპოვეს 4 მედალი (2 ოქრო, 2 ბრინჯაო)

ოქროს მედალოსნები

- ზურაბ ზვიადაური (ძიუდო)
- გიორგი ასანიძე (ძალოსნობა)

ბრინჯაოს მედალოსნები

- ნესტორ ხერგიანი (ძიუდო)
- რამაზ ნოზაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)

2008 წ. XXIX ოლიმპიადა (პეკინი)

საქართველოდან მონაწილეობდა 35 სპორტსმენი, მოიპოვეს 6 მედალი (3 ოქრო, 3 ბრინჯაო)

ოქროს მედალოსნები

- მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
- ირაკლი ცირეკიძე (ძიუდო)
- რევაზ მინდორაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)

ბრინჯაოს მედალოსნები

- ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა)
- ოთარ თუშიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
- გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა)

2012 წ. XXX ოლიმპიადა (ლონდონი)

საქართველოდან მონაწილეობდა 36 სპორტსმენი, მოიპოვეს 7 მედალი (1 ოქრო, 6 ბრინჯაო)

ოქროს მედალოსნები

- **ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო, 66 კგ)**

ვერცხლის მედალოსნები

- რევაზ ლაშხი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 60 კგ)
- ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა, 55კგ)
- დავით მოძმანაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა, 120კგ)

ბრინჯაოს მედალოსნები

- მანუჩარ ცხადაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 66კგ)
- დავით მარსაგიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა, 84კგ)
- გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა, 96კგ)

2016 წ. XXXI ოლიმპიადა.
რიო დე ჟანეირო.

საქართველოდან მონაწილეობდა 36 სპორტსმენი, მოიპოვეს 7 მედალი (2 ოქრო, 1 ვერცხლი, 4 ბრინჯაო)

ოქროს მედალოსნები

- **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)**
- **ლაშა ტალახაძე (ძალოსნობა)**

ვერცხლის მედალოსნები

- ვარლამ ლიპარტელიანი (ძიუდო)

ბრინჯაოს მედალოსნები

- ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო)
- ირაკლი თურმანიძე (ძალოსნობა)
- შმაგი ბოლქვაძე - (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
- გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)

ოლიმპიური ჩემპიონები საქართველოდან

დავით (ამურ) ციმაკურიძე
(თავისუფალი ჭიდაობა)



დაიბადა 1925 წლის 26 მარტს ქ. ფოთში. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქართველ სპორტსმენთა შორის. მან ოქროს მედალი 1952 წელს ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა. შვიდჯერ მოიპოვა სსრკ-ს ჩემპიონის წოდება (1945-1952 წლებში).

ჰელსინკის ოლიმპიადაზე შვედ ბენგტ ლინტბლადთან მსაჯებმა წააგებინეს. რომელიც საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელობამ გააპროტესტა და თანხაც გადაიხადა აპელაციისთვის. სანამ საკითხს განიხილავდნენ დ. ციმაკურიძემ ორი მეტოქე დაამარცხა და ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

ბატონი დავითი იგონებდა ამ ფინალური შეხვედრის პერიპეტიებს „ფინალში ორი მეტოქე ჰყავდა: უნგრელი დიორდ გირიჩი და ირანელი გულამ რეზა ტახტი. პირველი შეხვედრა 7:0 მოვიგე და გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ირანელ ფალავანთან მომიწია შეხვედრა. ამ შეხვედრის წინ ტახტი მუხლებზე დაემხო და ლოცვა-კურთხევა შესთხოვა ალაჰს. ვიფიქრე, ამას ჩემი შინებია-მეთქი და უფრო თამამად გავედი საჭიდაოდ. ხელის ჩავლებისთანავე მივხვდი, როგორ ძლიერ მეტოქესთან მქონდა საქმე. შევუტიე და საბოლოო ჯამში 9:2 დავამარცხე ირანის შახის საყვარელი ატლეტი. კვარცხლბეკზე რომ ვიდექი, მთელი საქართველო თვალწინ დამიდგა და ცრემლიც მომადგა, მე გავხდი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან.“

დავით ციმაკურიძეს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის, სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

1955 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზკური კულტურის ინსტიტუტი. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით, არის ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.

დავით ციმაკურიძე გარდაიცვალა 81 წლის ასაკში, 2006 წლის 8 მაისს.

მედეა (მზია) ჯუღელი

(სპორტული ტანვარჯიში)

დაიბადა 1926 წლის 1 აგვისტოს ქუთაისში. პირველი ქართველი ქალი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

ოქროს მედალი 1952 წელს ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა სპორტულ ტანვარ-ჯიშში, გუნდურ ასპარეზობაში), ხოლო მეორე პრიზიორი გახდა საგნით ჯგუფურ ვარჯიშში. მსოფლიოს სტუდენტური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი (1951, 1954), სსრკ რვაგზის ჩემპიონი ბჯენით ხტომებში (1946-1955).

1958 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკუ-რი კულტურის ინსტიტუტი. იყო საქართველოს (1962-1965) და სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1965-1970), სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქარ-თველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშო-რისო კატეგორიის არბიტრი.

1992 წლიდან იყო საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი.

1996 წელს მზია ჯუღელი ატლანტის საიუბილეო ოლიმპიურ თამაშებზე საპატიო ოლიმპიელი ქალის სტატუსით მიიწვიეს, სადაც ქალ ოლიმპიელთა მუზეუმში მისი ფოტოებიც იყო გამოფენილი.

2005 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ მას ქალთა სპორტში გაწეული წვლილისთვის დიპლომი გადასცა; იმავე წელს გახდა საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი.

თბილისის საპატიო მოქალაქე, ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი.

მზია ჯუღელი გარდაიცვალა 89 წლის ასაკში, 2016 წლის 8 იანვარს.

რაფაელ ჩიმიშკიანი
(ძალოსნობა)



დაიბადა 1929 წლის 23 მარტს თბილისში. ჰელსინკის 1952 წლის XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს ორგზის (1954, 1955) და ევროპის ექვსგზის ჩემპიონი (1950,1951, 1954-1957), მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1951), 1949-1960 წლებში ათჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირი ჩემპიონის ოქროს მედლები.

კარიერის მანძილზე თერთმეტჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, მათ შორის ხუთი რეკორდი დამყარებული აქვს სამჭიდში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

XX საუკუნის მიწურულს, როცა სპორტის სხვადასხვა სახეობებში საუკეთესოები გამოავლინეს, რაფაელ ჩიმიშკიანი საქართველოს უძლიერეს ძალოსნად აღიარეს!

ერთი საინტერესო დეტალი რაფაელ ჩიმიშკიანის სპორტული ცხოვრებიდან - 1950 წელს პარიზში ერთდროულად გაიმართა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები. საფრანგეთში საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ჩვენი ძალოსანი სათადარიგოდ წაიყვანეს (ძირითად მოასპარეზედ ივან უდუგოვი დაასახელეს). პარიზში უდუგოვმა ვერ იასპარეზა – ავად გახდა, ფიცარნაგზე მის ნაცვლად გასულმა რაფაელ ჩიმიშკიანმა კი ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მსოფლიო ჩემპიონატზე კი ირანელმა ნამდუმ და ჩიმიშკიანმა თანაბარი წონები დაძლიეს, მაგრამ ოქროს მედალი ირანელს ერგო, რადგან ის 100 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა.

რაფაელ ჩიმიშკიანი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი. 2012 წელს მიენიწა სპორტის რაინდის წოდება.

2018 წლის 22 მაისს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვდა

გივი კარტოზია

(ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)



ქართულ სპორტს დიდებით მოსილი ბევრი ათლეტი ჰყოლია. გივი კარტოზია მათ შორის უპირველესია და არა მხოლოდ ჭიდაობაში. ქართული სპორტის ისტორიაში ის იყო, საერთოდ, პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი, ქართველ მოჭიდავეთაგან კი პირველმა სამგზის მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, მსოფლიო თასიც პირველს ხვდა წილად, პირველი დადგა ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ქართველთა შორის. ჩატარებული ორთაბრძოლებიდან მოგება-წაგების შეფარდება კრივში უფროა მიღებული, მაგრამ გივი კარტოზიასთან დაკავშირებით, აქაც უნიკალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თავისი სპორტული კარიერის მანძილზე გივი კარტოზიას 96 პაექრობა აქვს ჩატარებული და მათგან – 94 შეხვედრაში გაიმარჯვება აქვს მოპოვებული.

გივი კარტოზია დაიბადა 1929 წლის 29 მარტს ბათუმში. 1954 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზკური კულტურის ინსტიტუტი.

მელბურნის 1956 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და რომის 1960 წლის XVII ოლიმპიადის მესამე პრიზიორია.

1951 წელს გაიმარჯვა სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე.

1953, 1955 და 1958 წლებში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი. 1956 წელს მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა. იყო სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1952-1955 წლებში). სპორტის დამსახურებული ოსტატი. გივი კარტოზია იყო საქართველოს მეოცე საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ვერცხლის პრიზი). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“, ღირსების, ვახტანგ გორგასლის მეორე და მესამე ხარისხის და ფილას ორდენებით. 2001 წელს მისი სახელი მიენიჭა თბილისის სპორტის სასახლეს.

გარდაიცვალა 69 წლის ასაკში, 1998 წლის 3 აპრილს.

მირიან ცალქალამანიძე

(თავისუფალი ჭიდაობა)



დაიბადა 1927 წლის 9 მარტს თელავის რაიონის სოფელ კონდოლიში. ჭიდაობაში ვარ-ჯიში იმ ასაკში დაიწყო, რომელშიც სხვა სპორ-ტსმენები უკვე თავს ანებებენ აქტიურ სპორტს. სპორტულ დარბაზში პირველად 24 წლის ასაკში მივიდა და პირველი მწვრთნელიც მაშინ გაიცნო. მაგრამ მირიანს ზურგს უმაგრებდა სოფლის საჭიდაო არენაზე მიღებული გამოცდილება და იქ ნასწავლი ქართული ჭიდაობის ილეთები.

მისი სპორტული კარიერის მწვერვალი მელ-ბურნის ოლიმპიური თამაშები იყო, სადაც მან თითქმის შეუძლებელი შეძლო. ცალქალამანიძე სამ მეტოქეს იოლად გაუმკლავდა, მაგრამ მეოთხე წრეში თურქ ჰუსეინ აკბასთან მოეცარა ხელი. თუმცა მომდევნო შეხვედრაში აკბასი ირანელ ხოჯასტეპურთან დამარცხდა და ქართველ სპორტსმენს ჩემპიონობის თეორიული შანსი მიეცა. ჩვენ ფალავანს შეეძლო ოქროს მედლის მოპოვება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ ირანელს სუფთად დაამარცხებდა. ეს ამოცანა შეხვედრის მეოთხე წუთზე შესრულდა, მირიან ცალქალამანიძემ ქართული შუაკაურით ხალჩას გააკრა ხოჯასტეპური და ოლიმპიურ ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

გარდა ამისა მირიან ცალქალამანიძე არის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე (1957) და მესამე (1954) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მეორე პრიზიორი (1956), სსრკ ხალხთა I სპარტაკიადის ჩემპიონი (1956), სსრკ ჩემპიონი (1954)

სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი.

მირიან ცალქალამანიძე გარდაიცვალა 73 წლის ასაკში, 2000 წლის 3 აგვისტოს.

რობერტ შავლაყაძე

(მძლეოსნობა, სიმაღლეზე ხტომა)



დაიბადა 1933 წლის 1 აპრილს თბილისში. ქართული სპორტის ისტორიაში პირველი მძლეოსანი ოლიმპიური ჩემპიონი, რომელმაც რომის 1960 წლის XVII ოლიმპიურ თამაშებზე სენსაციური გამარჯვება მოიპოვა სიმაღლეზე ხტომაში. მან პირისპირ ბრძოლაში აჯობა ამერიკელ მსოფლიოს ხუთგზის რეკორდსმენს ჯონ თომასს და მის თანამემამულეს, წინა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ჩარლზ დიუმასს. სწორედ შავლაყაძე აღმოჩნდა ის პირველი ევროპელი სპორტსმენი, რომელმაც დაამხო ამერიკელთა მრავალწლიანი ჰეგემონია. 1962 წელს ევროპის ჩემპიონატზე რობერტ შავლაყაძემ ბრინჯაოს მედალი მოიგო. 1964 წელს გახდა სსრკ ჩემპიონი. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ ერთხანს საკავშირო ნაკრებში მუშაობდა მწვრთნელად , შემდეგ საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას ხელმძღვანელობდა, 1977-1980 წლებში მუშაობდა კონგოს რესპუბლკაში. 1981-1993 წლებში სათავეში ედგა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრას. არის აგრარული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, დაჯილდოვებულია ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და სოკის ორდენებით.

2018 წლის 22 მაისს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვდა.

ავთანდილ ქორიძე

(ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)



დაიბადა 1935 წლის 15 აპრილს თბილისში. 1960 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ჭიდაობა დაიწყო 1949 წლიდან. სსრკ ჩემპიონატზე მისი დებიუტი შედგა 1954 წელს, სადაც მე-7 ადგილი დაიკავა. ავთანდილ ქორიძე იყო 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს 1961 წლის ჩემპიონი, სსრკ ჩემპიონატის ორგზის მეორე (1957, 1960) და მესამე (1958) პრიზიორი, ადრიატიკის თასის მფლობელი (1959), საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი.

ავთანდილ ქორიძემ რომში 6 შეხვედრა ჩაატარა, აქედან 5 მოიგო, ერთი ფრედ დაამთავრა და ოქროს მედალს დაეუფლა. თუმცა ნახევარფინალში ისეთი გაუგებრობა მოხდა, კინაღამ საერთოდ უმედლოდ დარჩა. ბულგარელ დიმიტრი სტოიანოვთან ჭიდილში ქართველმა სუფთა გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ მაროჟე კულონმა მიიჩნია, რომ ფიქტიური ჭიდაობა იყოო და ორივე მოჭიდავის დამარცხებულად გამოცხადება მოითხოვა. ხალიჩის მსაჯები კატეგორიულად შეეწინააღმდეგენ კულონს, რომელიც იძულებული გახდა დაეთმო, თუმცა სუფთა მოგება მაინც არ ჩაუთვალეს, მაგრამ ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა.

ერთი წლის შემდეგ, იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში, ავთანდილმა დაამტკიცა, რომ რომში გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა. საჩემპიონო გზაზე ყველა მეტოქე დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. იმ ხანად, ქორიძის ბადალი არ ჰყავდა მსუბუქ წონით კატეგორიაში.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ავთანდილ ქორიძე 31 წლის ასაკში, 1966 წლის 11 აპრილს დაიღუპა ავტოკატასტროფაში ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორ რომან ძნელაძესთან ერთად.

ვაჟა კაჭარავა

(ფრენბურთი)

დაიბადა 1937 წლის 2 იანვარს, თბილისში. 1955-64 წლებში თამაშობდა თბილისის „ბურევეს-ტნიკში“, 1965-71 წლებში კი – მოსკოვის „დინა-მოში“, იყო ამ გუნდების კაპიტანი და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი 1959-67 წლებში.

ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი 1967 წელს და მესამე პრიზიორი 1963 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი 1966 წელს, მსოფლიოს თასის მფლობელი 1965 წელს, მსოფლიო უნივერსიადის ორგზის ჩემპიონი 1963 და 1965 წლებში, სსრკ-ის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი 1965 წელს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ორგზის მეორე 1967 და 1971 წლებში და მესამე პრიზიორი 1963 წელს.დაამთავრა მოსკოვის ნ. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი 1972 წელს.

იყო მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკური სასწავლებლის გუნდის (1973-81 წლებში თამაშობდა სსრკ-ის უმაღლეს ლიგაში), სსრკ-ის ახალგაზრდული ნაკრების (1976-77 წლებში), სსრკ-ის სტუდენტური ნაკრებისა და საქართველოს ნაკრების (1984-94 წლებში) მთავარი მწვრთნელი. არის სსრკ-ის სპორტის დამსახურებული ოსტატი, რუსეთის ფედერაციისა და სსრკ-ის დამსახურებული მწვრთნელი. 1990 წელს დაასახელეს სსრკ-ის საუკეთესო მწვრთნელთა შორის. ვაჟა კაჭარავა ასევე ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და სეოკის ორდენების კავალერია. ახალი თბილისის ტერიტორიაზე მდებარე ფრენბურთის არენას ოლიმპიური ჩემპიონის, ვაჟა კაჭარავას სახელი მიენიჭა, თავად ვეტერან სპორტსმენს კი – სპორტის რაინდის წოდება.

.

2018 წლის 22 მაისს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვდა

ნუგზარ ასათიანი

(ფარიკაობა)

დაიბადა 1937 წლის 16 ივლისს წყალტუბოს რაიონ სოფელ დღნორისში. 1960 წელს, დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, 1968 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადაზე გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ხმლით ფარიკაობაში. ნახევარფინალამდე ნუგზარმა ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხა, ფინალში გასასვლელად კი საბჭოთა ნაკრები პოლონელ მოფარიკავეებს დაუპირისპირდა. პოლონელებმა ასათიანის წინააღმდეგ პაექრობისას ორი ორთაბრძოლის თავიანთ სასარგებლოდ დასრულება მოახერხეს, რის გამოც საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა ოქროს მედლებისთვის გადამწყვეტ შეხვედრაში ქართველის დაყენებისგან თავის შეკავება გადაწყვიტეს. ამას კატეგორიულად შეეწინააღმდეგნენ ნაკრების დანარჩენი წევრები, რომლებმაც თავისი გაიტანეს და ჩვენმა თანამემამულემაც ფინალში ბრწყინვალედ იასპარეზა. ჩემპიონობისთვის გადამწყვეტ მატჩში, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა იტალიის გუნდს სძლია და პირველად მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული. ნუგზარ ასათიანმა სამ იტალელ მოფარიკავეს სძლია და ლომის წილი შეიტანა საბჭოთა ნაკრების გამარჯვებაში. მან სძლია ისეთ აღიარებულ მოფარიკავეებს, როგორების იყვნენ: ჩეზარე სალვადორი, ჯამპაოლო კალანჩინი და პიერლუიჯი ჩიკა.

ნუგზარ ასათიანმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ოთხ ჩემპიონატზე. 1965 წელს გუნდურ შეჯიბრებაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ორჯერ (1961, 1963) ვერცხლის მედლები დაისაკუთრა, ერთხელაც (1962) ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. სპორტის დამსახურებული ოსტატი. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი

ნუგზარ ასათიანი გარდაიცვალა 1992 წლის 2 აპრილს.55 წლის ასაკში.

ვიქტორ სანეევი

(მძლეოსნობა, სამხტომი)



დაიბადა 1945 წლის 3 ოქტომბერს სოხუმში. თავიდან ვარჯიშობდა სიმაღლეზე ხტომაში, შემდეგ გადავიდა სამხტომზე.

1968 წელს პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი შემდეგ კიდევ 7-ჯერ მოიპოვა ეს ტიტული (1968-1971, 1973-1975 და 1978 წლებში). ორგზის მეორე პრიზიორი (1971,1978), მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1971).

XIX, XX და XXI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1968 - მეხიკო, 1972 - მიუნხენი და 1976 მონრეალი) მოსკოვის XXII ოლიმპიადის მეორე პრიზიორი. ამ ოლიმპიურ თამაშებზე მას ოქროს მედალი „წაართვეს“. ამის შესახებ ვიქტორ სანეევი იგონებს: „მოსკოვში მეორე ადგილზე გავედი. რაც შეეხება ესტონელ ააკ უუდმიაეს, ვინც ოქრო მოიგო, მის მიმართ არავითარი წყენა არ მაქვს. მას ძალიან ვაფასებ! მისი რა ბრალია, რომ ვიღაც უსინდისო მოხელეებმა ნახტომის გაზომვის დროს მას რამდენიმე სანტიმეტრი აჩუქეს.“

ვიქტორ სანეევმა რვაჯერ მოიგო ევროპის ზამთრისა და ზაფხულის ჩემპიონატები (1969,1971-1972,1974-1977). არის სსრკ ხალხთა V (1971) და VI (1975) სპარტაკიადების ჩემპიონი, ევროპის თასის ოთხგზის მფლობელი (1970, 1973-1975), მსოფლიოს უნივერსიადის ჩემპიონი (1971), სამგზის მსოფლიო რეკორდსმენი. საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1968, 1972, 1976).

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ოქროს პრიზი). სპორტის დამსახურებული ოსტატი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ღირსების ორდენის, ვახტანგ გორგასლის I და II ხარისხის ორდენების კავალერი. 1992 წლიდან ცხოვრობს ავსტრალიაში და არის ამ ქვეყნის მოქალაქე. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე (2000) იყო საქართველოს ოლიმპიური ატაშე.

2018 წლის 22 მაისს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვდა.

რომან რურუა

(ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)



დაიბადა 1942 წლის 25 ნოემბერს მარტვილის რაიონ სოფელ მუხურჩაში.

მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი. მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონი (1966, 1967, 1969, 1970). საბჭოთა კავშირის ხალხთა III, IV და V სპარტაკიადების ჩემპიონი (1963, 1967, 1971), საბჭოთა კავშირის 3-გზის ჩემპიონი (1964, 1965, 1970), საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1984-1985) და სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1984-1987).

რომან რურუა იგონებს: „საკავშირო ნაკრების თავკაცს ვიაჩესლავ კოჟარსკის ჩემი წაყვანა არ სურდა ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიადაზე, მაგრამ მის პირად მოსწავლეს გენადი საპუნოვს ყველა შეხვედრა მოვუგე, თუმცა ვლადივოსტოკში, ოლიმპიადის წინ გამართულ უკანასკნელ შეკრებაზე კიდევ ერთი გამოცდა დანიშნა: მე და საპუნოვს იური კოლოპოვთან და ვიტალი ტულუპოვთან უნდა გვეჭიდავა. ვინც ყველაზე შთამბეჭდავად მოიგებდა, ტოკიოშიც ის წავიდოდა. კოლოპოვმა და ტულუპოვმა იოლად, რამოდენიმე წამში წააგეს საპუნოვთან, ჩემთან კი ბოლომდე დაიხარჯნენ, მაგრამ ჩემი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ კოჟარსკიმ თავის ფავორიტის პირველ ნომრად დაყენება ვერ გაბედა და მეც ტოკიოში გავემგზავრე. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო გამოცდილება მაკლდა, მაინც შევძელი ფინალში გასვლა. ოლიმპიური ოქრო უნგრელ იმრე პოიაკს, იუგოსლავიელ მარტინოვიჩს და ჩემს შორის უნდა გათამაშებულიყო. ყველაზე ტიტულიანი 37 წლის პოიაკი გახლდათ: მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების სამგზის ფინალისტი... ფინალური ორთაბრძოლების წინ მარტინოვიჩმა ტრავმა მოიმიზეზა და მოიხსნა. ამის გამო პოიაკი მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდა: ფრე ხელს აძლევდა – ჩემპიონი ხდებოდა, მე კი აუცილებლად უნდა მომეგო. რამდენიმე ილეთი შევასრულე, ხალიჩიდანაც გავიყვანე, მაგრამ არაფერი ჩამითვალეს - ფრე 0:0, ეს კი პოიაკის გამარჯვებას უდრიდა. წარმოგიდგენიათ? ერთი შეხვედრაც არ წამიგია, მაგრამ მაინც მეორე ადგილზე გავედი“.

სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის, სოკის, ფილას და ღირსების ორდენების კავალერი.

2018 წლის 22 მაისს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვდა.

ლევან თედიაშვილი

(თავისუფალი ჭიდაობა)

დაიბადა 1948 წლის 15 მარტს საგარეჯოში. 1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო ფიზკური კულტურის ინსტიტუტი, 1976 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდული ფაკულ-ტეტი.

1972 წლის მიუნხენისა და 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს 5-გზის (1971, 1973-2, 1974, 1975), ევროპის 3-გზის ჩემპიონი (1974, 1976, 1978).

1980-1982 წლებში საქართველოს კომკავშირის ცკ-ს სპორტული და თავდაცვის მუშაობის განყოფი-ლების გამგე; 1982-1984 წლებში საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; 1986-1989 წლებში თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე; 1989-1993 წლებში ერთობლივი საწარმოების "თსბ"-სა და "აბჯრის" პრეზიდენტი; 1993-1995 წლებში კახეთის რეგიონში სახელმწიფო მეთაურის რწმუნებული. საქართველოს მე-4 (1995-1999 წ.) და მე-5 მოწვევის (1999-2004 წ.) პარლამენტის წევრი. არის თბილისის საპატიო მოქალაქე.

1971 წელს თეირანში გაიმართა ჭიდაობის საერთაშორისო ტურნირი "არიამეჰრის" ანუ შაჰინშაჰის სახელობის პრიზზე. ამ ტურნირზე მსოფლიოს მრავალ ცნობილ ფალავანს შორის გამოდიოდა ლევან თედიაშვილიც.

ლევან თედიაშვილი იგონებს ამ ტურნირის პერიპეტიებს: „ფული შემომაძლიეს, რომ არ მომეგო შაჰის ფალავანისთვის, "ვიცოტავე", კიდევ დაამატეს. ამ ვაჭრობა-ვაჭრობაში ყველაფერი ასი ათას დოლარამდე ავიდა. მერე გავედი ხალიჩაზე და იმათი ფალავანი შაჰის თვალწინ დავამარცხე... ფულს ვინღა მომცემდა. როდესაც ლევანს შეეკითხნენ – მართლა არ დაგენანათ ასი ათასი? მან უპასუხა – „გაყიდული შეხვედრით არავინ გამდიდრებულა. მერე თვალებში როგორ შემეხედა ჩემი შვილებისთვის". არიამეჰრის პრიზი თეირანში ლევან თედიაშვილმა, მოგვიანებით კიდევ ორჯერ (1972 და 1977 წლებში) მოიპოვა.

იგი არის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის, სოკის, ფილას, ღირსების ორდენების კავალერი. 1973 წელს დასახელებული იყო საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენად.

2018 წლის 22 მაისს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვდა.

ზურაბ საკანდელიძე

(კალათბურთი)

დაიბადა 1945 წლის 9 აგვისტოს ქუთაისში. 1963-75 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“ 1965-1973 წლებში იყო სსრკ ნაკრების წევრი. მეხიკოს მე-19 ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლისა და მიუნ-ხენის 1972 წლის მე-20 ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს 1967 წლის ჩემპიონი და 1970 წლის მესამე პრიზიორი. 1965, 1967, 1969 და 1971 წლების ევროპის ჩემპიონი. 1973 წელს მოიპოვა ბრინჯაოს მედალი და სსრკ თასი. 1967 წლის ევროპის ჩემპიონატზე აღიარეს საუკეთესო მცველად, იმავე წელს შეიყვანეს მსოფლიოს სიმბოლური ნაკრებში და დაასახელეს საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად.

როგორც თავად ამბობდა, მისთვის ყველაზე უძვირფასესი ჯილდო იყო მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი. ოლიმპიური თამაშების პროგრამაში კალათბურთი 1936 წელს შეიტანეს და მას შემდეგ (1972 წლამდე) ჩემპიონის ტიტულს მხოლოდ ამერიკელები ფლობდნენ.

ფინალური შეხვედრის პერიპეტიებზე ზურაბ საკანდელიძე წერდა: „ამერიკელებთან ურთულესი შეხვედრა გადავიტანეთ, თუმცა ამას ველოდით კიდეც. ვიცოდით, რომ ისინი ოლიმპიადის მთავარი ფავორიტები იქნებოდნენ. ფინალში საქმე ისე წავიდა, კვლავ ოქროს გარეშე უნდა დავრჩენილიყავით. წამებიღა რჩებოდა მატჩის დასრულებამდე, წინ იყვნენ, ქულას გვიგებდნენ. ბურთს ჩვენ ვფლობდით, სერგეი ბელოვმა ჩემსკენ გამოგზავნა ბურთი, მაგრამ ეს პასი ამერიკელმა მაკენზიმ ჩაჭრა. მე მაკენზის გავეკიდე, დავეწიე, წინ დავხვდი და შევეჯახეთ ერთმანეთს. იმ მომენტში ჩემთვის მთავარი იყო დრო შემეჩერებინა, ამერიკელებს ბურთი არ შეენარჩუნებინათ და ეს შევძელი კიდეც. მოკლედ, ხავსს ვეჭიდებოდით. მაკენზიმ ჯარიმები ისროლა და თამაში ჩვენ განვაახლეთ. მოგვიანებით ჩემს აკიდებულ ჯარიმას „ოქროს ფოლი" უწოდეს და დღესაც ასე იხსენიებენ. იმ ჯარიმამ მოგვცა უმცირესი, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, წარმატების რეალური შანსი. სამად სამი წამი რჩებოდა შეხვედრის დასრულებამდე, კალათბურთში კი, თქვენც კარგად იცით, ეს ძალიან დიდი დროა. სასწაულის იმედად ვიყავით და წამოიდგინეთ, მოხდა კიდეც ეს სასწაული! ბურთი ჩვენ შემოვიტანეთ, ივან ედეშკომ საშა ბელოვს გადააწოდა - უზუსტესი პასი იყო, ბურთმა მთელი მოედანი გადასერა და საჯარიმოს მისადგომთან მდგარ ბელოვს მიუვიდა. მანაც ზუსტად ისროლა და ორი ქულა მოგვიტანა. მეტი არც გვინდოდა - 51:50 მოვიგეთ და ოლიმპიური ჩემპიონები გავხდით!

ზურაბ საკანდელიძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის და ღირსების ორდენებით.

გარდაიცვალა 2004 წლის 25 იანვარს, 59 წლის ასაკში.

მიხეილ ქორქია

(კალათბურთი)



დაიბადა 1948 წლის 10 სექტემბერს ქუთაისში. 1965-79 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში.“ 1971- 1979 წლებში იყო სსრკ ნაკრების წევრი. მიუნხენის 1972 წლის მე-20 ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის მფლობელი და მონრეალის 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი. 1971 წლის ევროპის ჩემპიონი, 1975 და 1977 წლების ვერცხლის მედლის მფლობელი. 1968 წელს მოიპოვა სსრკ ჩემპიონის ტიტული, 1969 ვერცხლის მედალი და სსრკ თასი. 1998 წლიდან იყო ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდის – „ტორპედოს“ ერთერთი მეპატრონე და მისი პრეზიდენტი.

მიუხედავად იმისა, რომ სსრკ ჩემპიონატებზე წარმატებულად თამაშობდა ნაკრებში ვერ ხვდებოდა. ამის შესახებ მიხეილ ქორქია მოგვიანებით იხსენებდა:

„დინამოს" ერთ-ერთ ლიდერად ვითვლებოდი, მაგრამ ნაკრებში ვერაფრით ვხვდებოდი. 1968 წლის ოლიმპიური თამაშების წინ, მწვრთნელებმა მითხრეს, ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი ხარ, შენთვის ჯერ ადრეაო და გუნდს მიღმა დამტოვეს. ერთი წლის შემდეგ, ევროპის ჩემპიონატის წინ, სულ ბოლო მომენტში ამომშალეს სიიდან. 1971 წელს, ევროპის მორიგი პირველობის წინ, კვლავ კანდიდატთა შორის ვიყავი და როცა საბოლოო სიაში ჩემი შეყვანა-არშეყვანის საკითხი წყდებოდა, ზურაბ საკანდელიძემ დამიცვა. მწვრთნელებთან შესულა და უთქვამს, თუ მიშას გუნდს მიღმა დატოვებთ, ჩემოდანს ჩავალაგებ და მეც თბილისში დავბრუნდებიო. ეტყობა, მისმა მუქარამ გაჭრა - მწვრთნელებმა ნაკრებში ჩამრთეს. იმ წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მეთერთმეტედ მოიგო ევროპის ჩემპიონის ტიტული, ზურაბმა მეოთხედ, მე კი პირველად!

მიხეილ ქორქია გამორჩეულად მიიჩნევს ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვებას. იგი იხსენებდა მიუნხენის ფინალურ თამაშს:„ფინალში ჩვენი მეტოქეები ამერიკელები იყვნენ. ერთ მომენტში, დუაიტ ჯონსთან ორთაბრძოლისას, ბურთი ვერ გავიყავით. ამერიკელი მეუხეშა და არც მე დამიკლია, მსაჯებმა კი ორივე გაგვაგდეს. სათადარიგოთა სკამისკენ რომ მივდიოდი, მწვრთნელს თვალს ვერ ვუსწორებდი, ვფიქრობდი, მორჩა ნაკრებში ჩემი კარიერა დასრულდა-მეთქი. მაგრამ კონდრაშინი თვითონ მოვიდა, თამაშისთვის მადლობა გადამიხადა, ბეჭზე ხელი მომითათუნა და მითხრა: „იცი შენ ვინ გააგდე"? ფინალი როგორც დასრულდა, გემახსოვრებათ: საკანდელიძის „ოქროს ფოლი", ივან ედეშკოს „ოქროს პასი" და სერგეი ბელოვის „ოქროს ორი ქულა". საბჭოთა კავშირის ნაკრები პირველად გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.

მიხეილ ქორქია 2004 წელს, 56 წლის ასაკში გარდაიცვალა.

შოთა ჩოჩიშვილი

(ძიუდო)



დაიბადა 1950 წლის 10 ივლისს ქარელის რაიონ სოფ. ღვლევში. 1973 წელს დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი, 1978 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1972 წლის მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ოქროს მედალი, 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადზე კი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. არის ევროპის 3-გზის ვერცხლის (1973, 1974, 1975) და ბრინჯაოს (1977) პრიზიორი. 1977 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

2008 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

ნაკრების მთავარ მწვრთნელს ანდრეევს წარმოუდგენელი ბრძოლა დასჭირდა ჩოჩიშვილის ძირითად შემადგენლობაში დასაყენებლად და თავისი გაიტანა. 93 კგ წონითი კატეგორიის ძიუდოისტებში უპირობო ლიდერად მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფუმიო სასახარა მოიაზრებოდა და მისგან მხოლოდ გამარჯვებას ელოდნენ. შოთა ჩოჩიშვილი იგონებდა: „იაპონელი დიდებულ სპორტულ ფორმაში იყო, პირველ შეხვედრაში სუფთად დაამარცხა მეტოქე და მეორე წრეში ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდით, ვაზარით ვაგებდი, დასრულებამდე 48 წამი იყო დაჩენილი, სასახარა ერთ მომენტში მოდუნდა თითქოს. ამ დროს ტრიბუნიდან ჩემი მწვრთნელის გურამ პაპიტაშვილის ხმა გავიგე: „ე, ბიჭო კისრული!“ და წამში მივიღე გადაწყვეტილება… ფუმიო სასახარამ ჰაერში წრე მოხაზა და ბეჭებით დაენარცხა ტატამზე“. ამის შემდეგ შოთას არ გასჭირვებია სხვა მეტოქეების ძლევა და ის საბჭოთა ძიუდოისტებიდან პირველი გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. იმ წელს იაპონიაში დაბადებულ ლამის ყველა მეორე ვაჟს შოთა დაარქვეს.

1989 წელს ქართველი ფალავანი იაპონიაში ლეგენდარულმა ანტონიო ინოკიმ მიიწვია, რომელიც პროფესიონალ მოჭიდავეთა ეროვნულ ასოციაციას ხელმძღვანელობდა და მეტად საინტერესო ორთაბრძოლებს ატარებდა. ჩოჩიშვილთან დაპირისპირებამდე იგი ლეგენდარულ მოკრივე მუჰამედ ალის შეხვდა – ორთაბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. როგორც ამბობენ, ინოკისთან შერკინების წინ, ქართველ ძიუდოისტთან ორთაბრძოლის ორგანიზატორები მივიდნენ და სოლიდური თანხის სანაცვლოდ ქართველს პაექრობის „დათმობა“ შესთავაზეს, რაზედაც ჩვენი ფალავანისაგან სასტიკი უარი, მიიღეს. ორთაბრძოლა ქართველის გამარჯვებით დასრულდა.

სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაჯილდოვებულია საპატიო ნიშნის, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენებით.

შოთა ჩოჩიშვილი 59 წლის ასაკში, 2009 წლის 27 აგვისტოს გარდაიცვალა.

ვიქტორ კრატასიუკი

(ნიჩბოსნობა, ბაიდარა)

დაიბადა 1951 წლის 30 იანვარს ქ. ფოთში. 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (ორადგილიანი ბაიდარა); 1971 და 1972 წლებში გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. 1971 წლის სსრ კავშირის ხალხთა საპტაკიადის ჩემპიონი. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტიტი.

ვიქტორ კრატასიუკმა სანიჩბოსნო სპორტში სისტემატური ვარჯიშების დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოსწავლეთა შორის. ერთადგილიან ბაიდარებში. მომდევნო წელს კი ქ. ერევანში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დაიკავა.

დიდ სპორტში წარმატება კი ვიქტორისათვის 1971 წლიდან იწყება. ვიქტორის მწვრთნელმა ავერი მატკავამ, რომელიც მასზე 10 წლით უფროსი იყო, გადაწყვიტა ვიქტორი ორადგილიან ბაიდარაში გადაესვა და მისი მეწყვილე თავად გამხდარიყო. ექსპერიმენტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სსრ კავშირის ხალხთა მე-5 სპარტაკიადაზე. მიუხედავად იმისა, რომ ფინალურ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონების ორი ეკიპაჟი მონაწილეობდა (უკრაინელები – შარაპენკო და სტეცენკო, რუსები – კოსტენკო და კონონოვი), ქართულმა წყვილმა შანსი არ დაუტოვეს მრისხანე მეტოქეებს. მათ უპირობოდ აჯობეს ყველას. ქართულმა ეკიპაჟმა 1000 მეტრიანი დისტანციის გავლას 3 წუთი და 50,34 წამი მოანდომა. მეორე ადგილზე გასულმა ყაზახეთის წარმომადგენლებმა კი თითქმის 2 წამით უარესი დრო აჩვენეს (3 წ. 52,25). ორი წამი კი ნავის 2 კორპუსია (2 ადგილიანი ნავის სიგრძე 6.5 მეტრია) და ასეთი უპირატესობით გამარჯვება იოლი საქმე არ არის. მაშინ ვიქტორ კრატასიუკი 22 წლის იყო.

მიუნხენის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადება ჩვენ სპორტსმენს ავერი მატკავას გარეშე მოუხდა. მის ახალ მეწყვილედ კი, თავად მატკავას რჩევით, ბელორუსი ნიკოლაი გორბაჩოვი შეირჩა. ახალმა წყვილმა დამაჯერებლად იმარჯვა სსრკ პირველობაზე და 1972 წლის მიუნხენის მე-20 ოლიმპიურ თამაშებზე პირველ ნომრად წარსდგნენ და თავიანთი ტრიუმფალური გამოსვლები ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის რანგში დაამთავრეს.

ვიქტორ კრატასიუკი საქართველოს ოლიპიური სპორტის ისტორიაში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონია სანიჩბოსნო სპორტში.

სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.

ვიქტორ კრატასიუკი 52 წლის ასაკში, 2003 წლის 18 მარტს გარდაიცვალა.

ალექსანდრე ანპილოგოვი

(ხელბურთი)

დაიბადა თბილისში 1954 წლის 18 იანვარს. 1970-1985 წლებში თამაშობდა თბილისის „ქარიშხალას“ სახელგანთქმულ გუნდში. იყო სსრკ თასის მფლობელი (1978 წ), სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1977, 1980, 1981 წ.), სსრკ სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1975წ). მოგვიანებით გადავიდა გერმანიის „ლანდსჰუტში“ (1987-1992 წ), სადაც ჯერ მოთამაშის, შემდეგ კი მოთამაშე მწვრთნელის ფუნქციას ასრულებდა. 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (6 მატჩი, 13 გოლი) და 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის მეორე პრიზიორი (6 მატჩი, 29 გოლი). მსოფლიოს ჩემპიონი (1982) და მეორე პრიზიორი (1978), 1974-1984 წლებში სსრკ ნაკრებში ითამაშა 217 მატჩი და გაიტანა 572 გოლი. იყო საბერძნეთის ქალთა ნაკრების მწვრთნელი (2000-2001წ.).

„მოსკოვის ოლიმპიადა ძლიერად დავიწყეთ. ჯგუფში მხოლოდ ერთხელ წავაგეთ - რუმინეთთან 19:22, თუმცა ფინალის საგზური მაინც ჩვენ დაგვრჩა. გადამწყვეტ შეხვედრაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს ვხვდებოდით. პირველ ტაიმში მართლა უნაკლოდ ვითამაშეთ, შვიდი თუ რვა ბურთით მოვიგეთ და შესვენებაზე გულდამშვიდებულები გავედით. ამ დროს კი ნაკრების მწვრთნელი ევტუშენკო გასახდელში აღელვებული შემოვიდა, თან პარტაქტივი ახლდა. ბიჭებს შავი დღე გვაყარა, იცოდეთ, ჩემი ტაქტიკით თუ არ ითამაშებთ, ციმბირი უკან დაგრჩებათო! გაგვთათხა და დაგვემუქრა! მწვრთნელის ასეთმა საქციელმა ხასიათი წაგვიხდინა. მეორე ტაიმში ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ მწვრთნელის „გონივრული დარიგების" შემდეგ კონცენტრაცია დავკარგეთ, ამის შედეგად უპირატესობა თვალსა და ხელს შუა შემოგვეცალა და საბოლოოდ ფინალი 22:23 წავაგეთ. ...მწვრთნელმა ვერც ბანკეტზე მოისვენა, კვლავ საყვედურებით აგვავსო. ერთ მომენტში ვერ მოვითმინე და შევეპასუხე. ამას მოჰყვა ის, რომ მწვრთნელმა გუნდიდან ამომაგდო, თან, ჩემს გარდა ყველამ მიიღო სახელმწიფო ჯილდო. ევტუშენკო არც შემდგომში აპირებდა ნაკრებში ჩემს მიწვევას, მაგრამ მწვრთნელთა საბჭომ უკან დახევა მოსთხოვა და 1982 წელს კვლავ გუნდში მიხმო. იმ წელს მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგეთ!“

სპორტის დამსახურებული ოსტატს, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენების კავალერს ალექსანდრე ანპილოგოვს 2017 წელს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს უმაღლესი ჯილდო, „სპორტის რაინდის წოდება“ მიენიჭა.

2018 წლის 22 მაისს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვდა.

ქეთევან ლოსაბერიძე

(მშვილდოსნობა)

დაიბადა 1949 წლის 1 აგვისტოს ქ. ტყიბულში. 1970 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი.

საქართველოს 1980 წლის საუკეთესო სპორტსმენი; 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი პირად ჩათვლაში; 1973 და 1981 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოიპოვა ოქროს მედლები; მსოფლიოს ექვსი რეკორდის მფლობელი; 1972 წელს ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი და 1978 წლის ევროპის ჩემპიონი. მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული; პირველი და ერთადერთი ევროპელი ოლიმპიური ჩემპიონი მშვილდოსანი ქალი. 2002-2005 წლებში ქეთევან ლოსაბერიძე საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი გახდა.

ქეთევან ლოსაბერიძე იგონებს: „მოსკოვის ოლიმპიური თამაშების წინ ძალიან კარგ ფორმაში ვიყავი – ზედიზედ ვიგებდი ტურნირებს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ნაკრებში ადგილის მოსახვედრად ბოლომდე უნდა მებრძოლა. ერთ-ერთ ბოლოსწინა შეჯიბრებაზე, პოლონეთში, მესამე ადგილი დავიკავე, ამის გამო გუნდის ხელმძღვანელებმა ლამის ნაკრებს მიღმა დამტოვეს. მე, ბუტუზოვა, როგოვა და რუსტამოვა – ჩვენ ოთხნი ვიყავით კანდიდატები. საბოლოოდ მე და ბუტუზოვა შეგვიყვანეს გუნდში. როგოვას უზბეკეთის სპორტის მესვეურები მფარველობდნენ, რომლებიც მიდგნენ-მოდგნენ და იმდენი ქნეს, რომ ოლიმპიადამდე ორი კვირით ადრე ჩვენს შორის დამატებითი, ოთხდღიანი პაექრობა დაინიშნა. როგოვამ მცირე ხნით ადრე პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე 30-მეტრიან დისტანციაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა, საკუთარი თავის ძალიან ეიმედებოდა ... ამ გადათამაშებაზე 2569 ქულა მოვაგროვე და დიდი უპირატესობით გავიმარჯვე! სხვათა შორის, მესამე დღის შემდეგ თვითონ ოლგამ მთხოვა, შევწყვიტოთ ორთაბრძოლა, ჩემზე ძლიერი ხარ, ნაკრებში შენ უნდა იყოო. მერე მომიბოდიშა კიდეც, მე სულ არ მინდოდა ეს დამატებითი შეჯიბრება, მაიძულეს გამოვსულიყავიო...

...ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი 1980 წლის 3 აგვისტოს მოვიგე. ეს დღე არასდროს დამავიწყდება

სპორტის დამსახურებული ოსტატი ქეთევან ლოსაბერიძე ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერია.

2018 წლის 22 მაისს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვდა

შოთა ხაბარელი

(ძიუდო)

დაიბადა ქარელის რაიონის სოფ. ძლევის-ჯვარში 1958 წლის 26 დეკემბერს. 1982 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალ-მცოდნეობის სპეციალობით.

მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. 1982 წელს მოიპოვა სსრ კავშირის და 1963 წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული.

1987-1991 და 1997-2009 წლებში იყო საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. 2002. 2003, 2006 და 2008 წლებში დასახელებულ იქნა ევროპის საუკეთესო მწვრთნელად.

საქართველოს მე-8 და მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ვიკიპედიაში ვკითხულობთ: „შოთა ხაბარელი არის ქართული ძიუდოს სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ტიტულოვანი წარმომადგენელი. ხაბარელის ჭიდაობის ტექნიკური ილეთები, ისე, როგორც სხვა ქართველი ძიუდოისტებისა, მთლიანად დაფუძნებულია ქართული ეროვნული ჭიდაობის ელემენტებზე. მეორე ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილისაგან განსხვავებით, რომელიც იყენებდა კლასიკურ ძიუდოს და ქართული ჭიდაობის შერეულ ტექნიკას, ხაბარელი მეტ უპირატესობას ქართული ჭიდაობის ილეთებს ანიჭებდა. იმ პერიოდის საბჭოთა ძიუდოისტები ხაბარელის ჭიდაობის სტილს „ანტი ძიუდოს“ უწოდებდნენ. მაგრამ სწორედ ეს განსხვავებულობა გახდა მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებზე შოთა ხაბარელის წარმატების საფუძველი. ფინალურ ორთაბრძო-ლაში ის კუბელ ხუან ფერერს შეხვდა, რომელმაც აქამდე ყველა მოწინააღმდეგე „უჩი-მატას“ ილეთით დაამარცხა. ფერერმა, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა ქართულ ჭიდაობაზე, ვერაფერს გახდა ხაბარელის წინააღმდეგ და იძულებული გახდა ვერცხლის მედლით დაკმაყოფილებულიყო.

სპორტის დამსახურებული ოსტატი შოთა ხაბარელი არის „საპატიო ნიშნის,“ ღირსების და ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენიის კავალერი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ვახტანგ ბლაგიძე

(ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)

დაიბადა 1954 წლის 23 ივლისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

მოსკოვის 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 1978 და 1981 წლებში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულები. არის ევროპის ორგზის ჩემპიონი (1978 და 1981 წლებში). 1977 წელს გახდა მსოფლიოს სტუდენტთა უნივესიადის ჩემპიონი.

ვახტანგ ბლაგიძე იგონებს – „მართალია სპორტსმენის კარიერაში ოლიმპიური ჩეპიონობა უმაღლესი ტიტულია, მაგრამ აუცილებლად უნდ გავიხსენო 1978 წელი, როდესაც ჯერ ევროპის ფინალში მოვუგე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს უნგრელ რაცს და რამოდენიმე თვის შემდეგ გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი, სადაც ფინალში ასევე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ რუმინელ ჯუნგას ვძლიე.

რაც შეეხება მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს, ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ ნახევარ-ფინალში რუმინელ ჯინგას ვძლიე წმინდად, ფინალში ტრადიციული მეტოქე უნგრელი რაცი მელოდებოდა. შეხვედრამდე კარგა დრო იყო დარჩენილი. სათადარიგო დარბაზში შევედი. რაცი ხალიჩაზე წამოწოლილიყო. იქვე კუთხეში სპორტსმენები ჩაის და ყავის რიგში იდგნენ, არ მომრიდებია, ჯიქურ მივადექი დახლს, ქალებმა უარი მითხრეს – რიგში ჩადექიო, მეტიც არ მინდოდა - გაბრაზებულმა ზედ რაცის თავზე კედელზე გავირბინე. არ დამავიწყდება გაოგნებული მეტოქის ფართოდ გახელილი თვალები. ფინალში საჭიდაოდ რომ გვიხმეს, შევნიშნე, რომ რაცს მუხლები უცახცახებდა. მივხვდი, რომ გადამწყვეტი ორთაბრძოლა მოგებული მქონდა. მართლაც, 19:1 გავიმარჯვე და ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი. სარბიელიდან გამოსვლის წინ პირჯვარი გადავიწერე და ხალიჩას სამჯერ ვაკოცე. ეს ჟესტი ძვირად დამიჯდა.

დაჯილდოების შემდეგ უცხო პირები მოვიდნენ და მთელი ამბავი გადამხდა. ჩემი სამომავლო კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მაინც არ ვნანობ მაშინდელ საქციელს, რადგან ის გამარჯვება უფლის ნებაც იყო“.

ვახტანგ ბლაგიძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ვლადიმერ აფციაური

(ფარიკაობა)



დაიბადა მანგლისში, 1962 წლის 4 თებერვალს. 1985 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. 1981 წლიდან იყო საბჭოთა კავშირის მოფარიკავე რაპირისტთა ნაკრები გუნდის წევრი. 1982 წელს მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული (გუნდური), 1988 წელს მესამე და 1982, 1986 და 1990 წლებში მესამე ადგილები. 1984 წელს მოიპოვა საერთაშორისო მეგობრული თამაშების ოქროს მედლები პირად და გუნდურ შეჯიბრებაში, იმავე წელს გახდა სსრკ ჩემპიონი (პირადშიც და გუნდურშიც) 1985 წელს გახდა ევროპის თასის მფლობელი გუნდურ ასპარეზობაში. არის 1986 წლის მსოფლიოს სტუდენტთა უნივერსიადის მეორე პრიზიორი.

1988 წელს სამხრეთ კორეის დეაქალაქ სეულში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი. სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.

სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ გააგრძელა სპორტში მოღვაწეობა. 1998 2010 წლებში იყო ქუვეიტის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. მისმა გაწვრთნილმა რაპირისტთა ნაკრებმა ექვსჯერ მოიპოვა არაბული ქვეყნების ჩემპიონის ტიტული.

ვლადიმერ აფციაური სეულის ორთაბრძოლებზე იგონებდა: „ პირველ ორ შეხვედრაში პრობლემების გარეშე გავიმარჯვეთ, მაგრამ მომდევნო მოწინააღმდეგე - ჩინეთის გუნდი, კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. ისინი ყველა შეხვედრაში თავგამოდებით იბრძოდნენ, პირველივე შეხვედრა წავაგეთ, შემდეგ ჩემი ჯერი დადგა და მეტოქე ძნელ ბრძოლაში დავამარცხე, დანარჩენებმაც იყოჩაღეს და უკვე ნახევარფინალში უნგრელებთან მოგვიწია შეხვედრა. უნგრელებს ერთერთ ფავორიტად მიიჩნევდნენ. ეს შეხვედრა ჩვენთვის ძალიან ცუდად დაიწყო. ვინ წარმოიდგენდა, რომ ზედიზედ ორ შეხვედას წააგებდა სსრკ ნაკრების უპირობო ლიდერი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ალექსანდრე რომანკოვი, თანაც კატასტროფული ანგარიშით 0:5 და 1: 5. მე მომდევნო ორი შეხვედრა მოვიგე, მოიგეს ნაკრების სხვა წევრებმაც და ოლიმპიური თამაშების ფინალში გავედით, სადაც გერმანელთა ძლიერი გუნდი გველოდებოდა. ფინალში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. დარჩენილი იყო ორი შეხვედრა რომელიც მე და ანვარ იბრაგიმოვს უნდა ჩაგვეტარებინა. გერმანელები წინ იყვნენ ორი ქულით. ოქროს მედლების მოსაპოვებლად ორივე შეხვედრა უნდა მოგვეგო თანაც ისე, რომ ჯამში ორივეს ექვს ჩხვლეტაზე მეტი არ უნდა მიგვეღო. ძალიან მძიმე სიტუაციაში აღმოვჩნდით. მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ისე დამთავრდა რომ ჩვენ გავიმარჯვეთ და შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ჩხვლეტების უკეთესი მაჩვენებლებით ჩვენ მოვიპოვეთ ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლები.

ვლადიმერ აფციაური, 50 წლის ასაკში, გარდაიცვალა 2012 წელს.

დავით გობეჯიშვილი

(თავ.ჭიდაობა)

დაიბადა 1963 წლის 3 იანვარს ონის რაიონის სოფელ ხურუთში. ჭიდაობა დაიწყო ონში 1975 წელს; 1989 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინ-ჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. 1982, 1983 და 1984 წლებში მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული. 1986 წელს გახდა სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი. 1985 და 1990 დასახელებულ იქნა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად. 1985, 1986 და 1988 წლებში იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 1987,1989 წლებში მეორე და 1990 წლის მესამე პრიზიორი. 1985 და 1990 წელს მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, 1986 წლის მეორე ადგილი. ევროპის 1985 წლის ჩემპიონი. 1986 და 1988 წელს მოიგო მსოფლიო თასი.1990 წელს გახდა კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1992 წელს მოიპოვა დსთ-ს ჩემპიონის ტიტული.

დავით გობეჯიშვილმა 1988 წელს სეულში მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს და 1992 წელს ბარსელონაში ბრინჯაოს მედალი. სპორტის დამსახურებული ოსტატი.

საინტერესოდ წარიმართა 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ფინალური შეხვედრა ორ უძლიერეს მძიმეწონასან მოჭიდავეს – ამერიკელ ბრიუს ბაუმგარტნერსა და დავით გობეჯიშვილს შორის. მილიონობით ტელემაყურებელმა ნახა როგორ ასწია ხელი და გაიღიმა დავითმა შეხვედრის ბოლო წუთზე. საქმე იმაში იყო, რომ ფინალური ორთაბრძოლის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ქართველი მოჭიდავე 3:0 უგებდა ამერიკელს. აქ გობეჯიშვილმა ტაქტიკური სვლა გააკეთა - შეგნებულად გადააყვანინა თავი „პარტერში“ და ერთი ქულა დაუთმო მოწინააღმდეგეს. შეხვედრის დამთავრებამდე რამოდენიმე წამი რჩებოდა და სწორედ ხელის აწევით და ღიმილით დაამშვიდა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ლეგენდარული ივან იარიგინი – „ ნუ ნერვიულობ ყველაფერი რიგზე იქნება“

აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ იყო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე–პრეზიდენტი, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

დავიტ გობეჯიშვილი ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერია.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ვლადიმერ გოგოლაძე

(ტანვარჯიში)



დაიბადა თბილისში 1966 წლის 18 აგვისტოს. 1984 წელს მსოფლიო ახალგაზრფულ ჩემპიონატზე ორი ოქროს (თავისუფალი ვარჯიში და ღერძი) და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა (მრავალჭიდში). 1985 წელს სსრკ ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა მრავალჭიდში. იმავე წელს ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვა ორძელზე ვარჯიშში და მრავალჭიდში. 1986 წელს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მოიპოვა ოქროს (ორძელზე), ვერცხლის (მრავალჭიდი) და ორი ბრინჯაოს მედალი (მრავალჭიდი და გუნდური). 1988 და 1989 წლებში სსრ კავშირის პირველობაზე გახდა ვერცხლის მედლების მფლობელი (მრავალჭიდში). ვლადიმერ გოგოლაძემ მსოფლიოში პირველმა შეასრულა სამმაგი მალაყი.

1988 წელს სეულის ზაფხულის 24-ე ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი (გუნდურში).

სეულის ოლიმპიადის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე ვლადიმერ გოგოლაძე იგონებს: „ ტანმოვარჯიშეთა ოლიმპიური ტურნირის დაწყებამდე ერთი დღეღა რჩებოდა, მე კი ჯერაც არ ვიცოდი, მოვხვდებოდი თუ არა ძირითად გუნდში. ღამეები არ მეძინა, მთელ ჩემ კარიერაზე ვფიქრობდი. განვლილ წლებზე, გაუთავებელ ტრავმებზე, პირადი მწვრთნელის, არნოლდ კვეტენაძის შრომაზე. ისიც აქ იყო, სეულში, თუმცა ვერაფრით ვერ მეხმარებოდა. ნაკრების საბოლოო შემადგენლობა უფროს მწვრთნელს, ლეონიდ არკაევს უნდა დაესახელებინა. ექვსიდან ხუთის ვინაობა უკვე ცნობილი იყო. ახლა არჩევანი ჩემსა და ვალენტინ მოგილნის შორის უნდა გაეკეთებინა. მოსკოველი ტანმოვარჯიშე შედარებით გამოცდილი იყო, ტიტულებიც მეტი ჰქონდა. იგი მსოფლიო ჩემპიონიც და მსოფლიო თასის მფლობელიც იყო. ჩემს კოლექციაში კი ევროპის ჩემპიონატზე მრავალჭიდში მოპოვებული ბრინჯაოს ერთადერთი მედალი იყო. შანსები თანაბარი გვქონდა. საბოლოოდ, ტანვარჯიშში ოლიმპიური ტურნირის დაწყებაბე ერთი დღით ადრე არკაევმა გააკეთა თავისი არჩევანი. მოგილნის თვალები ცრემლებით აევსო, მე კი იმ ღამეს ალბათ ყველაზე მშვიდად მეძინა უკანასკნელი თვეების მანძილზე“.

ვლადიმერ გოგოლაძე ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ჩიკაგოს მახლობლად ცხოვრობს და მოზარდ ტანმოვარჯიშეებს გადასცემს თავის უდიდეს გამოცდილებას.

სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

გელა კეტაშვილი

(ფეხბურთი)

დაიბადა თბილისში 1965 წლის 27 სექტემბერს. ფეხბურთის თამაში დაიწყო 1976 წელს „ნორჩ დინამოელში.“ 1981-1983 წლებში თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში", რომლის რიგებშიც სსრკ-ს უმაღლესი ლიგის 27 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. 1984-1990 და 1995 წლებში თამაშობდა თბილისის „იბერია"/„დინამოში", 1991 წელს ლანჩხუთის „გურიაში", 1993-1994 წლებში იყო თბილისის „თეთრი არწივის" მცველი.

1984-1985 წლებში იყო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი. 1985 წელს მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი საბჭოთა კავშირში ჩატარდა. ამ ტურნირის 6 შეხვედრიდან კეტაშვილმა 5 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ერთი გოლი გაიტანა.1986-1988 წლებში იყო საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრი. ორჯერ (1988 და 1989 წ.) მოხვდა სსრკ ჩემპიონატის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში.

1988 წელს სეულის 24-ე ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ოქროს მედალი. მონაწილეობა მიიღო საფეხბურთო ტურნირის ყველა შეხვედრაში. ჯგუფურ ეტაპზე საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა სამი შეხვედრიდან ორი მოიგო (არგენტინასთან 2:1 და ამერიკის შეერთებულ შტატებთან 4:2) და ერთი ფრედ დაასრულა (სამხრეთ კორეასთან 0:0). მეოთხედფინალში ავსტრალიას (3:0), ხოლო ნახევარფინალში იტალიას მოუგო (3:2) და ფინალში გავიდა, სადაც მეტად დრამატულ მატჩში 2:1 დაამარცხა ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრები, რომლის რიგებშიც ისეთი ვარსკვლავები თამაშობდნენ, როგორებიც მომავალი მსოფლიო ჩემპიონები რომარიო, ბებეტო, ტაფარელი, ჟორჟინიო, მაზინიო და სხვები იყვნენ.

საქართველოს ეროვნული ნაკრების შექმნის შემდეგ - მან გუნდის პირველი კაპიტნის რანგში მონაწილეობა მიიღო ლიტვის ნაკრებთან გამართულ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრაში, თუმცა ეს იყო მისი ერთადერთი მატჩი საქართველოს ნაკრებში, რადგან გარკვეულ მიზეზთა გამო აქტიური საფეხბურთო კარიერა 25 წლის ასაკში დაასრულა.

გელა კეტაშვილი საქართველოს სპორტის ისტორიაში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონია ფეხბურთში. იგი არის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის და ღირსების ორდენის კავალერი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ნინო სალუქვაძე

(ტყვიის სროლა)

დაიბადა 1969 წლის 1 თებერვალს თბილისში. 1990 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

ნინო სალუქვაძეს, ოლიმპიურ ასპარეზობაზე დებიუტი 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე ჰქონდა (მაშინ ნინო 19 წლის იყო). რიო დე ჟანეიროს 31-ე ოლიმპიური თამაშები ნინოსთვის მე-8 ოლიმპიური თამაშები გამოდგა. იგი ამ მაჩვენებლით მესამე სპორტსმენი ქალია მსოფლიოში, რომელმაც ზედიზედ 8 ოლიმპიადაზე იასპარეზა (8 ოლიმიადაზე იასპარეზეს ნიჩბოსანმა – გერმანელმა იოზეფა იდემმა და კანადელმა ლესლი ტომპსონმა).

ნინო სალუქვაძის 28-წლიანი ოლიმპიური მონაგარი სამივე სინჯის მედლია. მან 1988 წელს სეულში ოლიმპიურ ჩემპიონობასთან ერთად ვერცხლის მედალიც მოიპოვა, ხოლო 2008 წელს პეკინში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. გარდა ოლიმპიური მონაგარისა, ნინო სალუქვაძე არის მსოფლიოს 7-გზის ჩემპიონი, მსოფლიოს სუპერთასის 7-გზის მფლობელი. დამყარებული აქვს მსოფლიოს ოცამდე რეკორდი. არის ევროპის ხუთგზის ჩემპიონი პირადსა და გუნდურ ასპარეზობაში (1989, 1990 და 1993), 4-გზის ვერცხლისა (1999, 2005 ,2008 და 2009 წ.) და ამდენივე გზის ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1991-2003 წ.).

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების 122 წლიანი ისტორიის მანძილზე ერთსა და იმავე ოლიმპიურ თამაშებში 70 -ჯერ მონაწილეობდა მამა - შვილი. ხოლო დედა- შვილმა სამჯერ იასპარეზეს ოლიმპიურ თამაშებში. რიო დე ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე – საერთოდ ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად იასპარეზეს დედამ და ვაჟიშვილმა – **ნინო სალუქვაძემ და ცოტნე მაჭავარიანმა,** ისინი პნევმატიკური პისტოლეტიდან სროლაში გამოდიოდნენ.

ნინო სალუქვაძე არის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების, ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

კახი კახიაშვილი

(ძალოსნობა)

დაიბადა 1969 წლის 13 ივლისს ცხინვალში. ძალოსნობაში ვარჯიში 12 წლის ასაკში დაიწყო. პირველ დიდ წარმატებას 1989 წელს მიაღწია, როცა აშშ ქალაქ მაიამიში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მსოფლიოს ორი რეკორდით მოიგო. იმავე წელს ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონიც გახდა.

შემდგომ დაიწყო კახი კახია-შვილის ნამდვილი ტრიუმფის ხანა. 1992, 1996 და 2000 წლებში ოლიმპიურ ოქროს მედლებს ეუფლება. იგი არის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1995, 1998 და 1999 წლებში) და ორგზის მეორე პრიზიორი (1993 და 1994წლებში), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1992, 1993, 1995 და 1996 წლებში), 1994 წელს მეორე და 1998 წელს მესამე პრიზიორი. 1993 წელს მოიპოვა ევროპის სუპერთასი, ხოლო 1992 და 1994 წლებში მსოფლიო სუპერთასის გათამაშებაზე დაიკავა მეორე ადგილები. მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი. 1992 წელს გახდა დსთ-ის ჩემპიონი. 1992-1993 წლებში დასახელებულ იქნა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად. 1994 წლიდან გამოდიოდა საბერძნეთის სახელით. 2005 წელს აღიდგინა საქართველოს მოქალაქეობა. დღეისათვის არის საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

კახი კახიაშვილი იგონებს: „1992 წელს, ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემს წონაში ფავორიტებად მე და უზბეკი სერგეი სირცოვი ვითვლებოდით. სირცოვმა ატაცში ოლიმპიური რეკორდი დაამყარა – 190კგ. მე 177,5 კილოზე გავჩერდი. აკვრაში 222,5-ზე მეტი ვერ დაძლია. ბოლო ცდა – 235 კილოგრამი შევუკვეთეთ, რაც ოლიმპიური თამაშების რეკორდი იყო. შტანგასთან მშვიდად მივედი. ვიცოდი, არაფერს ვკარგავდი – ვერცხლის მედალი ჯიბეში მედო, ცდის გამოყენების შემთხვევაში კი ოლიმპიური ჩემპიონი ვხდებოდი... შტანგას დავეჭიდე და ავკარი! ამ შედეგით სირცოვს გავუთანაბრდი და რადგან მასზე 200 გრამით ნაკლები ვიყავი, ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი! სიხარულისგან მეც და ჩემი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი მეცხრე ცაზე ვიყავით!

...ესპანეთში, ოლიმპიადის მონაწილის ბარათში რუსეთი ჩამიწერეს. ჩემპიონი რომ გავხდი, კვარცხლბეკზე ასვლის წინ ვხედავ, რუსეთის დროშის აფრიალებას აპირებენ. გავაპროტესტე, ახლავე საქართველოს დროშა მოიტანეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მედალს არ მივიღებ-მეთქი. მალე ჯანო ბაგრატიონი ჩაერია საქმეში და საბედნიეროდ, ყველაფერი მოგვარდა: საქართველოს ჰიმნიც აჟღერდა და ჩვენი დროშაც აიწია.

სპორტის დამსახურებული ოსტატი კახი კახიაშვილი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერია.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

დავით ხახალეიშვილი

(ძიუდო)

დაიბადა 1971 წლის 20 თებერვალს ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

1991 წელს გახდა სსრ კავშირისა და ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი, 1992 წელს მოიგო დსთ-ს ჩემპიონატი. არის ევროპის სამგზის ჩემპიონი (1993, 1996 წ.) მსოფლიოს 2-გზის ვერცხლის (1991, 1993 წ.) და 2-გზის ბრინჯაოს (1993, 1995) პრიზიორი. მონაწილეობდა ატლანტას ოლიმპიურ თამაშებზე. 1996 და 1997 წლებში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული სამბოში.

არაოფიციალურად დავით ხახალეიშვილი არის დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი. ეს მოხდა 1992 წელს ბარსელონას 25-ე ოლიმპიურ თამაშებზე. მართალია, მაშინ ყოფილი სსრკ რესპუბლიკები და მათ შორის საქართველოც, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) გუნდის სახელით ასპარეზობდა, მაგრამ პირველად ოლიმპიადების ისტორიაში სწორედ დავით ხახალეიშვილის გამარჯვების აღსანიშნავად აღიმართა ჩვენი დროშა და აჟღერდა საქართველოს ჰიმნი.

დავით ხახალეიშვილი იხსენებს: „ასი პროცენტით დარწმუნებული ვიყავი, ოლიმპიადაზე ჩემს წაყვანაზე სიტყვასაც არავინ ჩამოაგდებდა. თამაშების დაწყებამდე ერთი თვეც არ იყო დარჩენილი, რესტორანში მეგობრების სუფრას ვთამადობდი ომარ მერაბიშვილმა რომ მომაკითხა, - არიქა, ოლიმპიადაზე წასვლის შანსი გაგვიჩნდაო. არ დავიჯერე. მეორე დღეს თბილისში წამოვედით. ცოტა ვივარჯიშე, შემდეგ კი პოდოლსკში რუს კოსოროტოვთან საკონტროლო შეხვედრა მომიწყვეს. მოვუგე, მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი კაპლინი მაინც კოსოროტოვის მხარეს იყო. საჭირო გახდა საქართველოსა და რუსეთის სპორტის მაღალჩინოსნების ბჭობა და მოლაპარაკებები, რომ ოლიმპიურ ტატამზე გამოსვლის უფლება მოეცათ. ჯანო ბაგრატიონმა ბოლომდე იბრძოლა ჩემთვის და როგორც იქნა, ოლიმპიურ დელეგაციაში ჩამრთეს“.

ბარსელონას ძიუდოისტთა ტურნირის პირველსავე დღეს, სტარტზე ხახალეიშვილმა „იპონით" სძლია სენეგალელ დიუფს. შემდეგ კიდევ სამი შეხვედრა მოიგო და ფინალში იაპონელთა კერპს, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს, ნაოიო ოგავას დაუპირისპირდა. იაპონელს უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ერთი შეხვედრა არ წაუგია. ფინალამდე მან ყველა მეტოქეს "იპონით" მოუგო. რა თქმა უნდა ფსიქოლოგიური უპირატესობა იაპონელის მხარეს იყო. მაგრამ ფინალური შეხვედრის პირველსავე წუთზე ქართველა ძიუდოისტმა იპონზე დააგდო იაპონელი, მაგრამ მსაჯებმა მხოლოდ „ვაზარი“ დააფიქსირეს. ცოტა ხანში კვლავ „ვაზარი“ და შემდეგ შებოჭვა. ორთაბრძოლა წუთსა და ოთხ წამში დამთავრდა. ოგავა გაოგნებული იყო. მერე თავად უთქვამს, – ერთ შეხვედრაში სამჯერ სუფთად წავაგეო.

დავიტ ხახალეიშვილი არის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის და ღირსების ორდენების კავალერი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ლერი ხაბელოვი

(თავისუფალი ჭიდაობა)



დაიბადა 1964 წლის 5 ივლისს თბილისში. 1985 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, ხოლო 2000 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1982 წელს მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჭაბუკებში, 1983 კი ახალგაზრდებს შორის. სსრკ სამგზის ჩემპიონი (1985, 1987, 1988), სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი (1986), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1985, 1987, 1988, 1992), მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1985,198, 1990, 1991, 1993) და 1995 წლის მესამე პრიზიორი, მსოფლიო თასის მლობელი (1991). სეულის 1988 წლის 24-ე ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ვერცხლის მედალი. ბარსელონას 25-ე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

1998 - 2004 წლებში ხაბელოვი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა, ხოლო 2004-2008 წლებში ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი. 2012 წლიდან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე (2012-2016). 2016 წელს მეორედ იქნა არჩეული საქართველოს მე-9 მოწვევის პარლანენტის წევრად.

ლერი ხაბელოვი იხსენებს: „1992 წელს ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რომ გავხდი, კვარცხლბეკზე არ ავედი, რადგან დსთ-ისა და რუსეთის დროშები აღმართეს. მოვითხოვე, მე იმ ქვეყნის სახელით გამოვდივარ, სადაც დავიბადე და სანამ საქართველოს დროშას არ აღმართავენ, არ ავალ-მეთქი. ნახევარი საათი მოუნდნენ დროშის შეცვლას, სანამ საქართველოს დროშა არ აღმართეს და ჩვენი ჰიმნი არ გააჟღერეს, კვარცხლბეკზე არ ავსულვარ. მაშინ რუსეთის პირველ არხს ასეთი რამ ვუთხარი, გამარჯვებას ქართველ და ოს ძმებს ვუძღვნი. შერიგების დრო დადგა და ჩემი ოქროს მედალი შერიგების დასაწყისი გამხდარიყოს-მეთქი.

... ნებისმიერი ადამიანი, რომელიც თავის საქმეში პიკს აღწევს, ბედნიერებისა და ემოციების არნახულ მოზღვავებას, ენით აუწერელ შინაგან მდგომარეობას განიცდის. ჩემს კარიერაში უმაღლეს საფეხურს მივაღწიე, რისკენაც მთელი ცხოვრება ვისწრაფოდი — ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი. დგახარ კვარცხლბეკზე და ფიქრობ, რომ ყველაზე კარგი, ყველაზე თეთრი და ფუმფულა ხარ. დარწმუნებული ვარ, ამას ოლიმპიადის ყველა ჩემპიონი განიცდის“.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ლერი ხაბელოვი არის ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის და ღირსების ორდენის კავალერი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ზურაბ ზვიადაური

(ძიუდო)

დაიბადა 1980 წლის 2 ივნისს ახმეტაში. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ძიუდოს მწვრთნელის კვალიფიკაციით.

პირველ წარმატებას მიაღწია 18 წლის ასაკში, 1998 წელს მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშებზე დაიკავა მეორე ადგილი, 2000 წელს კი მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ახალგაზრდებს შორის. უვე 2001 წლიდან ძალებს ცდის დიდების ასპარეზობაზე და მსოფლიო ჩემპიონატზე იკავებს მეორე ადგილს. 2002 წელს ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ხდება. ამავე წელს მსოფლიოს გუნდურ ასპარეზობაზე იკავებს მეორე ადგილს და ევროპის ჩემპიონატზე პირად პირველობაზე მესამე ადგილს, ხოლო გუნდურ შეჯიბრებაზე 2002 და 2003 წლებში ხდება ევროპის ჩემპიონი. ზურაბ ზვიადაური 2002 და 2003 წლებში ვერცხლის მედლებს იგებს მსოფლიო ჩემპიონატებზე.

ყველაზე დიდ წარმატებას კი ათენის 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე აღწევს. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში იგი ხდება პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი.

ათენში პირველი წრე ბრწყინვალედ დაიწყო. ზვიადაურმა მეტოქეს- იტალიელ ლეპრეს 46-ე წამში სუფთად მოუგო („იპონი“). მეორე წრეში მისი მეტოქე რუსეთის წარმომადგენელი ტაოვი იყო, რომელთანაც შედარებით მეტი ენერგია დახარჯა, თუმცა შეხვედრის დასრულებამდე 46 წამით ადრე მასაც „იპონით“ სძლია. მესამე წრეში მეტოქე გაცილებით სერიოზული – ფრანგი დე მონფოკონი გახლდა, რომელთანაც ზვიდაურს 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ორთაბრძოლა მტკივნეული ილეთით ჰქონდა წაგებული. მაგრამ ოლიმპიადაზე ფორტუნა ქართველი სპორტსმენის მხარეზე აღმოჩნდა. შეხვედრაში მხოლოდ ერთად-ერთი ილეთი შესრულდა, რომელიც მსაჯებმა „იუკოთი“ შეაფასეს და მისი ავტორი ჩვენი სპორტსმენი გახდა. ამ გამარჯვებით ზვიადაური ნახევარფინალში გავიდა, სადაც ბრიტანელი გორდონი ელოდებოდა. ეს შეეედრაც ჩვენი ძიუდოისტის გამარჯვებით დასრულდა და იგი ფინალში გავიდა. ფინალში კი ტრადიციულად იაპონელია. მილიონობით ტელემაყურებელმა იხილა ეს ფინალური ორთაბრძოლა, რომელშიც ზვიადაურმა სამ წუთსა და 3 წამში ტატამზე დაანარცხა მოწინააღმდეგე, „იპონი“, ქართველი ატლეტი ოლიმპიური ჩემპიონია.

2010-2011 წლებში ზვიადაური საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშობდა. 2012-2016 წლებში იყო საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი. არის ღირსების ორდენის კავალერი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

გიორგი ასანიძე

(ძალოსნობა)

დაიბადა 1975 წლის 30 აგვისტოს საჩხერეში. 1996 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია. პირველ წარმატება 18 წლის ასაკში მიაღწია, როდესაც 1993 წლის მსოფლიო თასის გათამაშების პირველ ეტაპზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 1995 წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. გაიმარჯვა 2000, 2001 და 2002 წლებში ევროპის ჩემპიონატებზე და მოიპოვა ოქროს მედლები. 2001 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, 2002 წელს კი ვერცხლის მედალს დაეუფლა. 1998 წელს დაასახელეს საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად.

გიორგი ასანიძე მონაწილეობდა სიდნეის 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სადაც ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, აღსანიშნავია, რომ სიდნეიში პირველობისათვის მებრძოლმა სამმა ძალოსანმა ერთნაირი შედეგი აჩვენა. მათ შორის მედლები პირადი წონის მიხედვით განაწილდა, მესამე ადგილზე ქართველი ძალოსანი საკუთარი წონის „წყალობით“ გავიდა, იგი 200 და 150 გრამით ყველაზე „მძიმე“ აღმოჩნდა.

2004 წელს გიორგი ასანიძემ „სამაგიერო“ გადაუხადა ყველას და პირველ რიგში საბერძნეთის წარმომადგენელს პიროს დიმასს, რომელიც თავის მეოთხე ოლიპიური ოქროს მედლის მოპოვებას აპირებდა საკუთარ კედლებში. ათენის ფიცარნაგზე სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, როდესაც პირველ მოძრაობაში ასანიძემ 177,5 კგ. დააფიქსირა, დიმასმა კი მხოლოდ 175კგ. აწევა შეძლო. ყველაფერი მეორე მოძრაობას - აკვრას უნდა გადაეწყვიტა. ფიცარნაგზე პირველი დიმასი გამოვიდა და საწყისი წონა (202,5) უპრობლემოდ დაძლია, მაგრამ მომევნო წონაში ხელი მოეცარა და საბოლოო ჯამში ორჭიდში 377,5 კგ. დააგროვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბერძნების სათაყვანებელი კერპი ოქროსათვის ბეძოლას გამოეთიშა. გიორგი ასანიძემ ასპარეზობა იმ წონიდან დაიწყო რომლითაც დიმასმა დაასრულა ოლიმპიადაზე გამოსვლა. 202,5 კგ-აწევის შემდეგ ჩვენი ძალოსანი 205 კილოგრამზე მივიდა, ასწია შტანგა, ორჭიდის ჯამში დააგროვა 382,5 კგ. და საქართველოს გუნდს მეორე ოქროს მედალი მოუტანა (ზ. ზვიადაურის შემდეგ).

აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ იგი პოლიტიკაში წავიდა. 2004-2008 წლებში იყო საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი. 2008 წელს იგი კვლავ არჩეულ იქნა პარლამენტის წევრად და 2008 -2012 წლებში იყო სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე. 2013 წლიდან არის საქართველოს ძალოსანთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. არის ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის და ღირსების ორდენის კავალერი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

მანუჩარ კვირკველია

(ბერძნულ-რომაული)

დაიბადა 1978 წლის 12 ოქტომბერს ოზურგეთში. ჭიდაობა დაიწყო მშობლიურ ქალაქში. ნაციონალურ დონეზე პირველი წარმატებების შემდეგ გადავიდა თბილისის დინამოში, სადაც დაიწყო ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავედ ჩამოყალიბება. პარალელურად სწავლობდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში. უმაღლესი დონის საერთაშორისო შეჯიბრებაზე პირველად გავიდა 24 წლის ასაკში, ფინეთის ევროპის ჩემპიონატზე. აქ მან ფინალამდე მიაღწია, სადაც დამარცხდა თურქ სერეფ ეროღლუსთან და დაიკავა მეორე ადგილი. იმავე წელს აიღო მესამე ადგილი მოსკოვში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე 2003 წელს შესანიშნავად იასპარეზა და გახდა ოქროს მედლის მფლობელი. ჩემპიონობისკენ გზაზე დაამარცხა ძველი მეტოქე, მსოფლიო ჩემიპიონი, სერეფ ეროღლუ და 1996 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, პოლონელი რიჩარდ ვოლნი.

2005 წლიდან გადაინაცვლა ერთი საფეხურით უფრო მძიმე წონით კატეგორიაში. ახალ წონით კატეგორიაში ჭიდაობა თავიდან გაუჭირდა. ევროპის ჩემპიონატზე ვენაში აიღო მე-7 ადგილი, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატზე ბუდაპეშტში – მე-10. 2006 წელს ევროპისა (მოსკოვში) და მსოფლიოს (გუანჯოუში) ჩემპიონატებზე მოიპოვა ბრინჯაოს მედლები. 2007 წელს სოფიაში მოიგო თავისი მეორე საერთაშორისო ტიტული და გახდა ევროპის ჩემპიონი.

2008 წლის 13 აგვისტოს ფინალურ ორთაბრძოლაში დაამარცხა ჩინელი ჩან იონხიანი 9:0 და გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. კვირკველიამ პეკინის ოლიმპიადაზე საქართველოს პირველი ოქროს მედალი მოუტანა.

2014-2016 წლებში იყო საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

მანუჩარ კვირკველია არის ღირსების ორდენის და მედლის კავალერი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

რევაზ მინდორაშვილი

(თავ. ჭიდაობა)

დაიბადა 1976 წლის 1 ივლისს გურჯაანის რაიონის სოფ. კოლაგში. ჭიდაობა გვიან, 14 წლისამ დაიწყო. თუმცა სკოლის დამთავრებამდე მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონობა მოასწრო.

2002 წელს ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, 2003 წელს კი ევროპის ჩემპიონი გახდა. იმავე წელს ვერცხლის მედალი მოიგო მსოფლიო ჩემპიონატზე. ვერცხლის მედალი მოიპოვა ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე. 2005 წელს კი მკერდი მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მის გამოსვლა პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. 32 წლის ჩვენს ფალავნს პირველი შეხვედრა გერმანიის სახელით მოასპარეზე **დავით ბიჩინაშვილთან** მოუწია. მართალია პირველი სეტი ბიჩინაშვილმა მოიგო, მაგრამ მომდევნო ორში აშკარა უპირატესობა მინდორაშვილის მხარეს იყო და მეორე წრეში გავიდა. სადაც ასევე იოლად გაუმკლავდა სომეხ **არუთინ იენოკიანს** და ნახევარფინალში დაიბევა ადგილი. აქ მისი მეტოქე იყო თბილისში დაბადებულ-დაოსტატებული და რუსეთის სახელით მოასპარეზე მსოფლიოსა და ევროპის ჩეპიონი **გიორგი კეტოევი (ქეთიშვილი)**, რომელიც ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდა.

მინდორაშვილმა პირველი სეტი 4:2 მოიგო, მეორე სეტის მიწურულს კი, როცა უფრო დიდი ანგარიშით - 7:3 დაწინაურდა, მეტოქე ბეჭებზე გააკრა, წმინდად გაიმარჯვა და ფინალში გავიდა, სადაც მას მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ტაჯიკეთის **წარმომადგენელი-იუსუპ აბდუსალიმოვი** ელოდა. პირველი სეტი ტაჯიკმა მოჭიდავემ 3:2 მოიგო, მაგრამ მომდევნო ორში ქართველმა ფალავანმა 7 ქულა აართვა მეტოქეს ისე, რომ არცერთი ქულა არ დაუთმია და ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

რევაზ მინდორაშვილი არის ღირსების ორდენის და მედლის კავალერი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ირაკლი ცირეკიძე

(ძიუდო)

დაიბადა 1982 წლის 3 მაისს ტყიბულის რაიონის სოფ. ახალსოფელში. ძიუდოში ვარჯიში პატარაობიდან დაიწყო. პირველ წარმატებას კი 12 წლის ასაკში მიაღწია, როდესაც თერჯოლაში რეგიონის პირველობაზე 38 კგ. წონით კატეგორიაში იასპარეზა და ბევრისათვის მოულოდნელად ყველა მეტოქე დაამარცხა და თავისი პირველი შეჯიბრება მოიგო. 1995 წელს გაიმარჯვა საქართველოს ასაკობრივ პირველობაზე. შემდეგ დაიწყო ირაკლი ცირეკიძის წარმატებების წლები უდიდეს საერთაშორისო ასპარეზობებზე.

2007 წელს ევროპის ჩემპიონატზე იგებს ვერცხლის, 2008 და 2011 წლებში კი ბრინჯაოს მედლებს. საქართველოს ნაკრებთან ერთად ოქროს მედლებს ეუფლება ევროპის 2007 და მსოფლიოს 2006, 2008 წლების გუნდურ შეჯიბრებებზე. 2007 წელს ბრაზილიის ქალაქ რიო დე ჟანეიროში პირად პირველობაზე მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მან ფინალში საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ჯარჯი ზვიადაური დაამარცხა. იგი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ძიუდოისტია მსოფლიო ჩემპიონი.

ოლიმპიადაზე ირაკლი ბრძოლაში მეორე ტურიდან ჩაერთო, მისი მეტოქე ეგვიპტელი **ჰეშამ მესბაჰი** გახდა, რომელმაც ყველასათვის მოულოდნელად კორეელი ჩოი დაამარცხა. ჩვენმა ძიუდიისტმა გაიმარჯვა და მეოთხედფინალში გავიდა. აქ მას აზერბაიჯანელი **ელხან მამადოვი** ელოდა, ეს ის მამადოვია, რომელმაც რამოდენიმე თვის უკან ევროპის ჩემპინატის ნახევარფინალში დაამარცხა ჩვენი ატლეტი. მაგრამ ოლიმპიადაზე ცირეკიძემ სრულფასოვანი რევანში აიღო და სუფთად დაამარცხა მეტოქე – „იპონი“. ჩვენი სპორტსმენი ნახევარფინალში რუსეთის წარმომადგენელს **ივან პერშინს** დაუპირისპირდა. ერთ წუთსა და 10 წამში ირაკლი ორი კოკათი დაწინაურდა, შემდეგ ჩოგბჯენში გადაიყვანა და შებოჭა, 2 წუთსა და 16 წამში სუფთა გამარჯვება მოიპოვა და ფინალში გავიდა, სადაც მისი მოწინააღმდეგე ალჟირელი **ამარ ბენხლეფი** იყო. ცირეკიძემ დამაჯერებლად გაიმარჯვა და ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მიოპოვა.

ირაკლი ცირეკიძე საქართველოს ძიუდოისტთა შორის ყველაზე ტიტულოვანია. ის ერთადერთია, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის და ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლებს ფლობს. აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ 2012-2017 წლებში იყო საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი არის ღირსების ორდენის კავალერი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ლაშა შავდათუაშვილი

(ძიუდო)

დაიბადა 1992 წლის 31 იანვარს გორის რაიონის სოფ. კარალეთში. ლაშამ ჭიდაობაში ვარჯიში 11 წლის ასაკიდან გორის ძიუდოს სკოლაში ოლიმპიურ პრიზიორ გია თენაძესთან დაიწყო. პირველი ტიტულები 2011 წელს მოიგო: ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატში გაიმარჯვა, მსოფლიოზე კი მესამე ადგილზე გავიდა. ამას გარდა, თანატოლთა შორის საქართველოს ჩემპიონატი მოიგო, უფროსებში კი მესამე ადგილი დაიკავა. 2012 წელს მან ევროპის გუნდურ ჩემპიონატში გაიმარჯვა, ამას გარდა, პრაღის, ბუენოს აირესის და თბილისის მსოფლიო თასები მოიგო. უხვმოსავლიანი გამოდგა შავდათუაშვილსათვის 2013 წელი, ქართველი ძიუდოისტი ევროპის ჩემპიონი გახდა, გუნდურში კი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებიც მოიგო.

მაგრამ ახალგაზრდა ქართველმა ძიუდოისტმა კარიერაში უდიდეს წარმატებას 2012 წელს ლონდონის ოლიმპიური თამაშებზე მიაღწია. 20 წლის ასაკში შავდათუაშვილმა სენსაციურად მოიგო ოლიმპიური ოქრო 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში. იგი ამ წელს აღიარეს საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად. 2016 წლის რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე ლაშა შავდათუაშვილმა მისთვის ახალ-73 კგ. წონით კატეგორიაში იასპარეზა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ლაშა შავდათუაშვილი პირველ წრეში ჩილელ **ალეჰანდრო სუნიგას** შეხვდა და „იპონით“ სძლია მეტოქეს. სუფთა გამარჯვება მოიპოვა ჩვემნა ძიუდოისტმა მეორ შეხვედრაშიც, მან ტავით ლაროშესას „იპონით“ მოუგო. ასეტი შემართებით გააგრძელა ლაშამ ასპარეზობა და „ტრადიციულად“ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი - **კოლინ ოატესი** ვადაზე ადრე გააკრა ხალიჩას და ნახევარფინალში გავიდა სადაც მას გამოცდილი იაპონელი **მასაში ებინუმა** ელოდებოდა. ლაშამ იაპონელიც იპონით დაამარცხა და ფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე გამოცდილი, 31 წლის უნგრელი, მიკლოშ უნგვარი იყო. უნგრელი ძიუდოისტისათვის ლონდონის ოლიმპიური თამაშები რიგით მესამე იყო. შავდათუაშვილმა ფინალში მართალია ვერ გააგრძელა „იპონით“ მოგების სერია, მაგრამ ქულებით დაამარცხა მეტოქე და ქართული სპორტის ისტორიაში გახდა ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონი. არის ღირსების ორდენის კავალერი

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ვლადიმერ ხინჩაგაშვილი

(თავისუფალი ჭიდაობა)

დაიბადა 1991 წლის 18 აპრილს ქ. გორში. ჭიდაობაში ვარჯიში 8 წლის ასაკში დაიწყო. იყო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი 2014, 2016 და 2017 წლებში სამჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს კი 2015 წელს, ლას-ვეგასში დაეუფლა. ის 2015 წელს, საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენადაც დაასახელეს.

რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე ვლადიმერ ხინჩაგაშვილი უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი სპორტსმენის რანგში წარსდგა (ფლობდა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულებს და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალს). მისთვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა უმაღლესი სპორტული მწვერვალი იყო. ის ასპარეზობაში მეორე წრიდან, მერვედფინალიდან ჩაება და მისი მეტოქე ყაზახი ნურისლამ სანაევი იყო, რომელიც იოლად დაამარცხა და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც საკმაოდ ძლიერი მოჭიდავე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი აზერბაიჯანელი ჰაჯი ალიევი ელოდებოდა. საკმაოდ დაძაბულ ორთაბრძოლაში ჩვენმა ფალავანმა იმარჯვა და ნახევარფინალში ბულგარელ ვლადიმირ დუბოვს შეხვდა. ეს შერკინებაც ხინჩაგაშვილმა თავის სასარგებლოდ დაასრულა და მოიპოვა ფინალის საგზური. მეორე ფინალისტის ვინაობა რამოდენიმე წუთში გაირკვა და ის იაპონელი ჰიგუჩი რეი გახდა.

ფინალური ორთაბრძოლა ძალიან დაძაბული გამოდგა. თავიდანვე იაპონელი ერთი ქულით დაწინაურდა, შემდეგ კიდევ ორი ქულა აუღო ჩვენს ატლეტს და ანგარიში 3:0 გახდა მის სასარგებლოდ. ასეთ რთულ სიტუაციაში ქართველმა სპორტსმენმა თითქმის შეუძლებელი შეძლო, ზედიზედ ჩაუტარა ილეთები, მეტოქე 4:3 დაამარცხა და ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა. ვლადიმერ ხინჩაგაშვილი არის ღირსების ორდენის კავალერი.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ლაშა ტალახაძე

(ძალოსნობა)

დაიბადა 1003 წლის 2 ოქტომბერს საჩხერეში. ბავშვობაში ძალოსნობამდე ბედი ერ ჭიდაობაში, შემდეგ კი ფეხბურთში სცადა.

პირველი მწრთნელი – მამა, კობა ტალახაძე თავად ძალოსანი იყო. იგი 1983 წელს სსრკ ჩემპიონი გახდა იუნიორთა შორის, 2016 წელს კლაშამ იმარჯვა ევროპის 23 წლამდელთა ჩემპიონატზე. 2015 წლიდან უკვე დიდებში გამოდის და აგრძელებს თავის ტრიუმფალურ სვლას. 2016-2018 წლებში სამჯერ იგებს იგებს ევროპის ჩემპიონის ტიტულებს. 2015 - 2017 წლებში ორჯერ ხდება მსოფლიო ჩემპიონი.

2016 წელს დასახელდა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად. 2017 წლიდან არის NIKE-ის ოფიციალური სახე. 2017 წელს დასახელდა მსოფლიოს საუკეთესო ძალოსნად.

განსაკუთრებით შთამბჭდავი იყო ლაშა ტალახაძის გამოსვლა რიო დე ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. ატაცში 215 კილოგრამი დაძლია და მსოფლიოს ახალი რეკორდის მფლობელი გახდა. თუმცა რამოდენიმე წუთში ირანელმა საიდ ალი-ჰოსეინიმ ქართველის შედეგი ერთი კილოგრამით გააუმჯობესა და დაწინაურდა. ყველაფერი მეორე მოძრაობაზე უნდა გადაწყვეტილიყო. აკვრაში ტალახაძემ მესამე ცდაზე 258 კგ. აწია და ჯამში 473 კილოგრამით მსოფლიოს ახალი რეკორდის მფლობელი გახდა და კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიკავა.

ლაშა ტალახაძის რეკორდების სერია 2017 წელსაც გაგრძელდა. ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ხორვატიაში გაიმართა, ატაცში 217 კილოგრამი დააფიქსირა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ხოლო დეკემბერში აშშ-ის ქალაქ ანაჰაიმში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ატაცში 220 კგ დაძლია და თავისივე მსოფლიო რეკორდი 3 კგ-ით გააუმჯობესა. ქართველმა სპორტსმენმა პირველი მოძრაობის შემდეგ ერთბაშად 9 კგ-ით გაუსწრო უმთავრეს კონკურენტად მიჩნეულ ირანელს, ბეჰდად სალიმიქორდასიაბის. ეს უკანასკნელი მე-3 ცდაზე 216-კილოგრამიან შტანგას შეეჭიდა, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ უკვე ცხადი იყო, რომ ლაშას მორიგ ტიტულს ვერავინ შეეცილებოდა, აკვრაშიც სამივე ცდა (243, 250 და 257 კგ) გამოიყენა და ორი მოძრაობის ჯამში თავისივე მსოფლიო რეკორდი 4 კგ-ით გააუმჯობესა. საბოლოოდ, ტალახაძემ მე-2 ადგილზე გასულ ირანელ საეიდ ალიჰოსეინის 23 კგ-ით გაუსწრო. 2018 წლის 22 სექტემბერს ლაშა ტალახაძემ საქართველოს ჩემპიონატზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, მან აკვრაში 264 კგ დაიმორჩილა. აქამდე რეკორდის მფლობელი ჰოსეინ რეზაზადე იყო.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ზვიად გოგოჭური

(ძიუდო)

დაიბადა 1986 წლის 30 ოქტომბერს ახმეტაში. ზვიად გოგოჭური იხსენებს: „ძიუდოზე პირველად ახმეტაში დავიწყე სიარული. ბიძაჩემს უყვარდა ძალიან და იმან მიმიყვანა. თანაც მაშინ ახმეტაში ძიუდოს მეტი არც არაფერი იყო და მეც სხვა ახმეტელებივით ამ სახეობაში დავიწყე ვარჯიში. მწვრთნელები ძალიან მეხმარებოდნენ და ცოტა ხანში თბილისში გადმოვედი. მერე საქართველოს ნაკრებში მოვხვდი, მერე კი იქ, სადაც ახლა ვარ“.

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ყოფილი წევრი, პარაძიუდოისტთა გუნდში მხედველობის პრობლემის გამო მოხვდა. რიო დე ჟანეიროს ოლიმ-პიურ თამაშებამდე ზვიად გოგოჭური უკვე საკმაოდ აღიარებული პარაძიუდოისტი იყო ევროპისა და მსოფლიო არენებზე. მისი დიდი წარმატებები 2011 წლიდან დაიწყო, როდესაც მოიგო მსოფლიო თასი, 2014 წელს ოქროს მედლები მოიპოვა ევროპის გუდურ და კლუბურ ჩემპიონატებზე, 2015 წელს ევროპის ჩემპიონატზე და მსოფლიო თამაშებზე კვლავ ორ ოქროს მედალს იგებს და 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე 90 კგ. წონით კატეგორიაში აშკარა ფავორიტის რანგში იღებს მონაწილეობას.

ოლიმპიადაზე ზვიად გოგოჭური წილისყრამ მეორე წრეში-მეოთხედფინალში განთესა (ამ წონაში სულ 11 მონაწილე იყო). პირველ მეტოქეს, არგენტინელ ხორხე ლენსინას, წუთსა და 38 წამში მოუგო იპონით და ნახევარფინალში გავიდა, სადაც მას ამერიკელი დარტანიონ კროკეტი ელოდა. ჩვენმა ატლეტმა მოწინააღმდეგე წუთნახევარში შებოჭა და ფინალის საგზური მოიპოვა. გადამწყვეტ ბრძოლაში უკრაინელ ოლექსანდრ ნაზარენკოს დაუპირისპირდა და უილეთო შეხვედრაში, 4 წუთსა და 16 წამში 4 გაფრთხილება მიაღებინა და ვადაზე ადრე მიაღწია წარმატებას

ამ გამარჯვებით, 29 წლის სპორტსმენმა, პირველად ქართული სპორტის ისტორიაში, პარალიმპიური თამაშების ჩეპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა და პირველად პარალიმპიური თამაშების ისტორიაში რიო დე ჟანეიროში საქართველოს ჰიმნი აჟღერდა.

2018 წლის 22 მაისს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

.

ოლიმპიური
თამაშების
ემბლემები

ზამთრის ოლიმპიური თამაშების ემბლემები

შამონი, 1924 წ.

სანკტ-მორიცი, 1928 წ.

ლეიკ- პლესიდი. 1932 წ.

გარმიშ-პარტენკირხენი,
1936 წ.

სანკტ-მორიცი, 1948 წ.

ოსლო, 1952 წ.

კორტინა დამპეცო, 1956 წ.



სკვო-ველი, 1960 წ.

ინსბრუკი, 1964 წ.

გრენობლი, 1968 წ.



საპორო, 1972 წ.



ინსბრუკი 1976 წ.

.

ლეიკ-პლესიდი, 1980 წ.

სარაევო, 1984 წ.

კალგარი 1988 წ.

ალბერვილი, 1992 წ.

ლილეჰამერი, 1994 წ.

ნაგანო, 1998 წ.

სოლტ- ლეიკ-სიტი, 2002 წ.

ტორინო, 2008 წ.

ვანკუვერი, 2010 წ.

სოჭი, 2014 წ.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ემბლემები

ათენი, 1896 წ.



პარიზი, 1900 წ.



სოლტ-ლეიკ-სიტი 1904 წ.



ლონდონი. 1908 წ.

სტოკჰოლმი, 1912 წ.

ანტვერპენი, 1920 წ.



პარიზი, 1924 წ.

ამსტერდამი, 1928 წ.

ლოს-ანჯელესი , 1932 წ.

ბერლინი, 1936 წ.

ლონდონი, 1948 წ.



ჰელსინკი, 1952 წ.



მელბურნი, 1956 წ.

რომი, 1960 წ.

ტოკიო, 1964 წ.



მეხიკო, 1968 წ.

მიუნხენი, 1972 წ.

მონრეალი, 1976 წ.

მოსკოვი, 1980 წ.

ლოს - ანჯელესი 1980 წ.

სეული, 1988 წ.

ბარსელონა, 1992 წ.

ატლანტა, 1996 წ.

სიდნეი, 2000 წ.

ათენი, 2004 წ.

პეკინი, 2008 წ.

ლონდონი, 2012 წ.

რიო დე ჟანეირო, 2016 წ.

გურამ ძაგანია

დაიბადა 01.01.1941 წ. ქ. თბილისში. 1958 წელს დაამთავრა თბილისის 65-ე საშუალო სკოლა. 1964 საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. 1976 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. 1967 წლიდან არის საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის, ჩოგბურთისა და ხელბურთის კათედრის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, 1992-2005 წლებში – პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში. 2006 წლიდან სპორტის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N64 განკარგულებით დაინიშნა ახლად დაარსებული საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად. 2015 წლის 22 ივლისს არჩეულ იქნა რექტორად.

გამოქვეყნებული აქვს სამოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, ხუთი სახელმძღვანელო და ექვსი მონოგრაფია.

1987 წელს ქ. კიევის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1999 წელს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია პედაგოგიკაში.

1992 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი (1979 წ.), საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი (2002 წ.), საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ხელბურთში (1984 წ).

ღირსების ორდენის კავალერი (2000 წ).

2015 წელს მიენიჭა სპორტის რაინდის წოდება.

2016 წელს დააჯილდოვდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მედლით.